ჯვარი ვაზისა

4

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი — 1988

ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით, IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ

ძველი

დენნინ

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II ლოცვა-კურთხევით

ᚠᚢᚦᚩᚱᚳ

ᚹᚪᚾᚻᚪᚹᚪᚱᚷᚩᚱ,

ᚾᚩ ᚻᚪᚹᚪᚾᚷᚪᚱᚳᚪᚱ

ᚷᚪᚾᚳ ᚹᚪᚾᚻᚪᚩᚻᚪᚱ



ლოცვა საშინელისა მის ძვრისათვის:

ღმერთო, დიდო, საშინელო და საკვირველო, და დიდო და მართალო, რომელი შემოქმედი ხარ ყოველთა, და კეთილად განაგებ, რომელი მოჰხედავ ქვეყანასა, და ჰყოფ მას შეძრწუნებულ, რომელი შეახებ მთათა, და კუმოდიან, რომელი შეჰსძრავ ცათა საფუძვლითურთ, და სვეტნი მათნი შეირყევიან, რომელი შესძრავ ქვეყანასა, და მიხედვითა შენითა კვალად განამტკიცებ, რომლისაგან ეშინის ყოველთა, და სძრწის პირისაგან ძლიერებისა შენისა, რამეთუ ვერვის ძალ — უძს წინა — ადგომად რისხვასა შენსა, ჩვენ ცოდვილთა ზედა მოწევნულთა საშინელებათა, არამედ აურაცხელ და გამოუთქმელ — არს წყალობად ადთქმისა შენისა: მოიხსენე შენ, წყალობად შენი უფალო, და მოგვადლე ჩვენ, რამეთუ საუკუნითგან და უკუნისამდე არიან წყალობანი შენნი. დაამტკიცე დაბადებული ესე შენი, განამტკიცე ქვეყანად ესე, დააყენე ძრვად ესე, დააყენე ძრვისა მიერი სალმობად ქვეყანისა, და ნუ თანა წარგვწყმედ ჩვენ უსჯულოებათა ჩვენთაებრ, და ნუცა ცოდვათა ჩვენთაებრ დაგვსჯი ჩვენ სიღრმეთა ქვეშე ქვეყანისათა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი, ღმერთი წყალობისა და მაცხოვარებისა, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწდა მარადის და, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!



მოგვეც ჩვენ, უფალო, გული ბრძენი და გონიერი

ნათელი ქრისტესი

განგვანათლებს ჩუენ

გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია. ეს ისტორიული დღე 1988 წლის 1 ოქტომბრით დათარიღდა. იგი სამუდამოდ აღიბეჭდება ქართული ეკლესიის (და არა მარტო ქართული ეკლესიის) მატიანეში. ალბათ, არ იყო შემთხვევითი, ეს დიდად მნიშვნელოვანი თარიღი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლის იუბილეს რომ დაემთხვა... უკვე კარგა ხანია, საუკუნეების მანძილზე ფესვებჩაწყვეტილი, ძველი ქართული აკადემიების ნაფუძარზე დაეშენა დღევანდელი სასულიერო ცოდნის სასახლე... იგი სინათლისადმი ლტოლვამ, ჭეშმარიტების ძიების სიყვარულმა გააცოცხლა და გვწამს, ნათელი ქრისტესი განანათლებს მას... ქართველი ერი დიდი ხანია ელოდა ამ დღეს... იგი თავისი მნიშვნელობით ავტოკეფალიის აღდგენის უდიდეს ფაქტს ედრება...

სასულიერო აკადემიის პირველ ნაკადში ჩაირიცხა 15 სტუდენტი. სწავლება 4 წლიანია.

აკადემიის შენობაშივე დაიდო ბინა სასულიერო სემინარიამ, რომელიც მცხეთიდან გადმოვიდა.

თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნა



ხალხს ვერ იტევდა სიონის დედა-ტაძარი, სადაც ღვთის სადიდებელ პარაკლისს აღავლენდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II.

პარაკლისის შემდეგ აკადემიის დარბაზში მოეწყო პირველი საზეიმო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ სამღვდელოება, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ოფიციალური პირნი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

საქართველოში სასულიერო განათლების ისტორიასა და ახლადდაარსებული სასულიერო აკადემიის წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა აკადემიის რექტორი — ეპისკოპოსი ზოსიმე.

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებითა და მისალმებებით გამოსულებმა ილაპარაკეს იმ დიდ, საშვილიშვილო მისიაზე, რომელიც უნდა შეასრულოს სასულიერო აკადემიამ ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში.

აკადემიის პირველი მსმენელები



სიტყვა

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს

კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ისა

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მამანო, ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო!

დღეს ჩვენთვის, მთელი ჩვენი ერისთვის ბედნიერი დღეა. ღვთის წყალობითა და ლოცვა-კურთხევით იხსნება თბილისის სასულიერო აკადემია. აქვე იწყებს თავის ახალ ცხოვრებას სასულიერო სემინარია. ამიტომაც ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა გავიაზროთ, თუ რა არის ჩვენი მიზანი, რა გზით უნდა განვითარდეს აკადემიაში საღვთისმეტყველო მეცნიერების სწავლება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს და ამავე დროს, გავითვალისწინოთ ის მოთხოვნილება, რასაც გვიყენებს თანამედროვეობა.

როცა წარსულზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ იმ ტრადიციებს, ჩვენს ძველ უმაღლეს სასწავლებლებში რომ არსებობდა. თბილისის სასულიერო აკადემია უნდა იყოს გელათის, გრემის, იყალთოს აკადემიათა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი.

შემთხვევითი არ არის, რომ დავით აღმაშენებელმა უმაღლესი სასწავლებელი მონასტერთან დააარსა. ასკეტიზმი და მეცნიერება, ორივე, რჩეულთა ხვედრია და მათი შერწყმა იდეალურ პიროვნებაში ხდება. ასეთი რჩეულნი მრავლად ჰყავდა საქართველოს: პეტრე იბერი, ეფრემ მცირე, ათონელი მამანი, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი... თვით დავით აღმაშენებელი და სხვანი.

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ გელათის აკადემიას უწოდებდნენ მეორე იერუსალიმს და მეორე ათენს. იერუსალიმით აღინიშნებოდა მისი მაღალი სულიერობა, ხოლო ათენით — მაღალი მეცნიერული დონე.

გელათის აკადემია იყო ის ცენტრი, სადაც იხვეწებოდა და მუშავდებოდა ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზროვნება და ტერმინოლოგია. აქ ითარგმნებოდა არამარტო ცნობილ ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა ნაშრომები, არამედ ანტიკური ფილოსოფიის რჩეული ნიმუშებიც, იწერებოდა ორიგინალური შრომები.

რწმენის ასამაღლებლად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ლოგიკისა და ფსიქოლოგიის სწავლებას, არ ცხრებოდა საღმრთო წერილზე ეგზეგეტიკური მუშაობა...

ასეთი უნდა იყოს ჩვენი გეზიც. და ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ის პრობლემები, რომელიც დღეს დგას ჩვენი ერისა და კაცობრიობის წინაშე. თბილისის სასულიერო აკადემია უნდა იქცეს დამაკავშირებელ ხიდად თანამედროვე მეცნიერებასა და ღვთისმეტყველებას შორის.

როგორც მოგეხსენებათ, ამ საუკუნეში ბევრი ცდილობდა რწმენა და მეცნიერება გაეთიშა და დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის.

განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს? ისინი ხომ ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მოიცავენ: ერთი — ფიზიკურს, მეორე — სულიერს. მაშასადამე, ისინი კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

მეცნიერება ღვთისგან ნაკურთხია. იგი ადამიანის, როგორც ღვთის ხატების, მიღწევაა. ოღონდაც ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ამ მეტად რთულ დროს სწორი მიმართულება და გამოყენება მივცეთ ადამიანის გონების ნაყოფს, უნდა ვეცადოთ, რომ მეცნიერულმა წინსვლამ ხელი არ შეუშალოს პიროვნების სულიერ განვითარებას.

აკადემიაში უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო მომავალი განათლებული სასულიერო პირების მომზადება, არამედ ეს სასწავლებელი უნდა იქცეს კვლევის ცენტრად, რომელთანაც დაკავშირებულნი იქნებიან, როგორც ჩვენი სასულიერო პირნი, ისე მეცნიერები; კავშირი გვექნება, როგორც ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებთან, ისე მართლმადიდებლურ და საერთოდ, ქრისტიანულ უმაღლეს ცენტრებთან.

მე მინდა ჩემი სიტყვა დავამთავრო სოლომონ ბრძენის გამოთქმით: „დასაწყისი სიბრძნისაჲ არს შიში ღმრთისა... გულსა შინა სახიერისა კაცისასა განისვენებს სიბრძნე“.

ყველას გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს. ღმერთმა რწმენა, სიყვარული, სიბრძნე და სიხარული არ მოუშალოს ჩვენს ერს.

ღმერთმა დალოცოს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებლები და მოსწავლენი.

ჩვენთან არს ღმერთი!

ეპისკოპოს ზ ო ს ი მ ე ს მოხსენება

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავარნო

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო და დანო, ძვირფასო პედაგოგ-მასწავლებლებო და სტუდენტებო, პატივცემულო სტუმრებო!

ღვთის დიდი განგებით, ჩვენ დღეს დიდ ეროვნულ საქმეს ვუყრით საფუძველს. ჩვენი გულები მოუცავს საერთო სიხარულს და ამიტომ მეფსალმუნე დავითის სიტყვებით მინდა ყველას მოგმართოთ: „ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან. ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა“. ჭეშმარიტად, ღმერთმა ქმნა დღე ესე. დიდია საქმე, რომელმაც შეგვყარა აქ ჩვენ. ჭეშმარიტად დიდია ის ამოცანა, რომლის შესრულებასაც შევუდექით დღეს, მაგრამ უფრო დიდია იმის განცდა, რომ ღმერთს არ დავვიწყებივართ და თავისი უხვი წყალობით თავი გაგვახსენა, ამიტომ ვმადლობთ კაცთმოყვარე ღმერთს, ვმადლობთ დღევანდელ დღეს და ისევ საგალობლის სიტყვები გვინდა წარმოვთქვათ: „დიდება სულგრძელებასა შენსა უფალო, დიდება შენ“.

საყვარელნო, ქართული სასულიერო აკადემიის გახსნასთან დაკავშირებით, ურიგო არ იქნებოდა მოკლედ გადაგვევლო თვალი ჩვენი წარსულისათვის, კერძოდ, გაგვეხსენებინა, თუ როგორ იყო სწავლა-განათლების საქმე ჩვენში დაყენებული უწინ და როგორი უნდა იყოს დღეს. მე მინდა შევასრულო საპატიო დავალება მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ისა და მცირე მოხსენებით წარვდგე თქვენს წინაშე.

ჩვენში ქრისტიანობის გავრცელებასა და განმტკიცებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სასულიერო სკოლებს, რომლებიც არსებობდნენ ეკლესია-მონასტრებთან, სამღვდელმთავრო კათედრებთან ან სრულიად განცალკევებით — დამოუკიდებლად.

ქრისტიანობას სამართლიანად უწოდებენ მწიგნობრულ რელიგიას. სადაც კი იქადაგეს სახარება, განვითარდა სწავლა-განათლება. ასე იყო ყველგან, მათ შორის ჩვენთან — საქართველოში. ბუნებრივია, რომ მაშინდელი სასულიერო სკოლები უმეტესად პირველდაწყებით სასწავლებლებს წარმოადგენდა, სადაც უპირველესად, საღმრთო წერილის სწავლება და ეკლესიის მსახურთა მომზადება ხდებოდა. ამ სკოლებში, როგორც ღირსი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, ისწავლებოდა „დავითნი და ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ... მწიგნობრობაჲ მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი“. ღირსი მამის, ილარიონ ქართველის ცხოვრებიდან კი ვიგებთ, რომ ილარიონს მოძღვარი ასწავლიდა „წიგნთა სულიერთა ან ღმრთივ-სულიერთა“. აღნიშნული მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ მაშინდელ სკოლებს პრაქტიკული ხასიათი ჰქონდათ: სწავლობდნენ საღმრთო წერილსა და საეკლესიო მოძღვრებას, გალობასაც. იგივე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ვიგებთ, რომ ზემოაღნიშნულ საგანთა გარდა გრიგოლმა შეისწავლა „მწიგნობრობაჲ მრავალთა ენათაჲ“ და აგრეთვე „სიბრძნე იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ“. მას შეუსწავლია უცხო ენები და ფილოსოფია, რაც უდაოა, მაშინდელ სკოლებში ისწავლებოდა.

სასკოლო საქმე განსაკუთრებით დაწინაურდა X საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ქართველები დაუახლოვდნენ ბიზანტიურ სკოლას. ამ პერიოდიდან ბევრმა ქართველმა მიიღო ბიზანტიაში სწავლა-განათლება. ბიზანტიური სკოლის ტრადიციებზე აღიზარდნენ ცნობილი საეკლესიო მამები: ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და სხვები. საქართველოს ისტორიაში კარგადაა ცნობილი ის, რომ გიორგი მთაწმიდელმა 80 უდედმამო ბავშვი წაიყვანა ბიზანტიაში განათლების მისაღებად. ამავე მიზნით, დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა. ბევრმა ქართველმა მიიღო განათლება კონსტანტინე მონომახის მიერ (1044—1047 წწ.) დაარსებულ აკადემიაში.

ბიზანტიური სკოლის ყაიდაზე, ქართველებიც აარსებდნენ სკოლებს, როგორც ჩვენში, ისევე უცხოეთში. 1083 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძემ ბულგარეთში დააარსა ცნობილი პეტრიწონის მონასტერი და მასთან სასულიერო სასწავლებელი, რომლის პირველი გამგე და მოძღვარი იყო ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. აღნიშნული მონასტრის წესდება — ტიპიკონის 24-ე პარაგრაფში განსაზღვრულია პროგრამა და მიზანი სემინარიისა: მას უნდა მიეცა საღვთისმეტყველო განათლება მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირთათვის.

პეტრიწონის სკოლის ტრადიციები გრძელდება საქართველოში დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მონასტერთან დაარსებულ სასულიერო აკადემიაში. აღნიშნული აკადემია, როგორც სწავლა-განათლების ცენტრი, თავის დროსვე იწოდებოდა ათინად. აი, რას ამბობს ამის შესახებ მემატიანე: „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლად ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისა, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“. გელათის აკადემიის მეშვეობით შემოვიდა ჩვენში ქრისტიანული აზროვნების უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები.

XI—XII საუკუნეებში, როდესაც ქართველობამ თავისი კულტურული განვითარების ზენიტს მიაღწია, სასულიერო აკადემიები ჩამოყალიბდა იყალთოსა და გრემშიც. აღნიშნულ სკოლებში ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა, სამართალი და მედიცინა.

XIII საუკუნის დამლევიდან საქართველოსთვის დადგა მძიმე პერიოდი. მონღოლთა ბატონობამ გაანადგურა ყოველივე კულტურული ნამოქმედარი, რამაც დიდად შეაფერხა სწავლა-განათლების საქმე ჩვენში, თუმცა იმ უმძიმეს ვითარებაშიც სასკოლო საქმე მთლიანად არ აღმოფხვრილა. აღორძინება მას დაეტყო XVI საუკუნი-

დან. ჩვენში ისევ მომრავლდა დაწყებითი და საშუალო სასწავლებლები. საგანგებოდ უნდა დავასახელოთ თბილისის სასულიერო სემინარია, რომელიც ანჩისხატის ტაძართან 1755 წლის დამდეგს გაიხსნა. აქ ისწავლებოდა: გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა, ფილოსოფია, ფიზიკა და სხვა.

თბილისის მაგალითმა გამოძახილი ჰპოვა ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც. 1758 წელს სასულიერო სასწავლებელი მეფე ერეკლემ გახსნა თელავში, სადაც სწავლობდნენ სრულწლოვანებიც. თელავის სკოლაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ფილოსოფიის სწავლებას, ამიტომ თანამედროვეთა თვალში იგი თბილისის სკოლაზე მაღლა მდგარა. თელავის სასულიერო სემინარიამ დიდხანს ვერ იარსება. მის ნანგრევებზე 1782 წლის 28 მაისს გაიხსნა ახალი სემინარია, რომელიც მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის ყაიდაზე გაიმართა. ამ სემინარიაში ასწავლიდნენ გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, მათემატიკას და ღვთისმეტყველებას. თელავის სემინარიის პირველი რექტორი არქიმანდრიტი გაიოზი იყო, ხოლო მფარველი და მესვეური — კათალიკოსი ანტონი.

საყოველთაოდ იყო ცნობილი დავით გარეჯის მონასტერიც, სადაც სწავლა-განათლებას ღებულობდნენ მაღალი წოდების წარმომადგენლებიც. სწორედ აქ ეხიარა თავდაპირველად სიბრძნეს XVIII-ს. უდიდესი საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერი, კათალიკოსი ანტონ I. აღნიშნული დროისათვის დავით გარეჯის მონასტერში არსებობდა სკოლა უმდიდრესი ბიბლიოთეკითა და მასწავლებელთა საუკეთესო კადრებით. აქ შეისწავლა საქართველოს მომავალმა მამამთავარმა საღვთო წერილი, საღვთისმეტყველო და საერო საგნები. სწავლა-განათლების აღიარებული ცენტრები იყო გელათი — იმერეთში და შემოქმედის მონასტერი — გურიაში, აგრეთვე ხონი, სადაც წმ. გიორგის ცნობილ ეკლესიასთან მიშენებული იყო სასწავლებელი, რომელშიც აღიზარდა არაერთი სასულიერო და საერო პირი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ, რაც მოხდა 1801 წელს, გაუქმდა ჩვენში არსებული სასულიერო სასწავლებლები, მათ შორის თელავის სასულიერო სემინარია. დავით რექტორის თქმით: „მას ჟამსა რუსნი მოვიდეს... სკოლა შეურაცხ ჰყვეს, და სადა სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა". პოლიტიკური ვითარების შეცვლამ, ქართულ სასკოლო-საგანმანათლებლო საქმეს მნიშვნელოვანი დაღი დაასვა. მეფის რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანი იყო ცარიზმის ერთგულ მოხელეთა მოშზადება და არა ქართველთა განათლება: სკოლას, აგრეთვე, ხელი უნდა შეეწყო ხალხის გარუსებისათვის. ამიტომაც მეფის მთავრობის მიერ ქართული ეროვნული სკოლები სრულიად უარყოფილ იქნა.

1804 წელს თბილისში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა, სასწავლებლები გახსნეს თბილისში, გორში, თელავში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში. 1817 წელს თბილისში დაარსებულ სასულიერო სემინარიას უნდა მოემზადებინა ეკლესიის მსახურნი. აქ მართლაც აღიზარდა ბევრი სასულიერო, თუ საერო პირი. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სემინარიაში, ისე როგორც ჩვენში არსებულ სხვა სასწავლებლებში, რუსულ ენაზე ისწავლებოდა ყველაფერი, მან მაინც შეასრულა გარკვეული როლი ჩვენი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში.

დაწყებითი სასულიერო სასწავლებლები ფუნქციონირებდნენ სხვა ქალაქებშიც, რომლებმაც იარსებეს რევოლუციამდე. შემდეგ წლებში, როცა ისინი დახურეს, სასულიერო პირთა მომზადება ხდებოდა საპატრიარქო და სამღვდელმთავრო კათედრებთან, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი. მოწინავე ქართველი იერარქები და სამღვდელო პირნი დიდად ზრუნავდნენ სასულიერო სასწავლებლის დაარსებისათვის, მაგრამ ჩვენი საუკუნის 60-იან წლებამდე ეს შეუძლებელი გახდა. ღვთის განგებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით, 1963 წელს აწ განსვენებულმა კათალიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ საერო მთავრობისაგან მიიღო სამოძღვრო კურსების გახსნის ნებართვა და აი, მცხეთაში გაიხსნა ორწლიანი სამოძღვრო კურსები, რომლის პირველ რექტორად დაინიშნა მიტროპოლიტი ილია, ახლანდელი კათალიკოს-პატრიარქი. იმ დროს ეს იყო დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული ეკლესიისათვის. კურსებს მოკლე დროში უნდა მოემზადებინა სასულიერო პირნი. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ძალასა და ღონეს არ იშურებდნენ სასწავლებლის მესვეურნი, რომ შესაფერისი საეკლესიო მოშზადება მიეცათ აღსაზრდელთათვის.

რამდენიმე წელიწადში სამოძღვრო კურსები, რომელიც დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, გაბრიელ ეპისკოპოსის სახელს ატარებდა, სამწლიან სასულიერო სემინარიად იქნა გადაკეთებული. თუ სამოძღვრო კურსებს უმეტესად პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა, ახლა სასულიერო სემინარიის წინაშე ეკლესიამ დასვა სერიოზული ამოცანები: სემინარიას, გარდა პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საჭირო ცოდნისა, მომავალი სასულიერო პირებისათვის უნდა მიეცა გარკვეული განათლება ღვთისმეტყველებაში. საამისოდ საჭირო გახდა გაზრდილიყო საბიბლიოთეკო ფონდი. სასწავლებელში მოწვეულნი იქნენ საუკეთესო პედაგოგები, წარჩინებულ სტუდენტთათვის დაწესდა გაზრდილი სტიპენდიები და სხვა. უფრო გვიან სემინარიაში ჩამოყალიბდა სამეცნიერო საბჭო, რომელმაც გაშალა სამეცნიერო მუშაობა მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის. რა თქმა უნდა, სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაზე როცა ვლაპარაკობთ, აქ არ იგულისხმება სერიოზული მეცნიერული კვლევა-ძიება, ამისი ჩვენ არც შესაძლებლობანი გაგვაჩნდა და არც პირობები. დაწესდა საკურსო და სადიპლომო ნაშრომები. ჩვენ უკვე დაგვიგროვდა გარკვეული გამოცდილება ამ საქმეში, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ ასეთი საქმიანობისადმი, როგორც მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა გარკვეული ნაწილი გულგრილი იყო, რაც მომავალში მთლიანად უნდა აღმოიფხვრას.

ჩვენ კარგად გვესმის ის სიძნელეები, რომელიც ეკლესიამ გადაიტანა წარსულში და რამაც უარყოფითად იმოქმედა სწავლა-განათლებაზე. ამას თუ იმასაც და-

ვუმატებთ, რომ განვიცდიდით სასულიერო ლიტერატურის ნაკლებობას, ურომლისოდაც ძნელია სტუდენტის სულიერი განვითარება და აგრეთვე ისიც, რომ საღვთისმეტყველო ლიტერატურა ქართულ ენაზე ბევრი არ არის, გასაგები გახდება ყოველივე ზემოთქმული.

ღვთისმეტყველების განვითარება თავის მხრივ ითხოვს საღვთისმეტყველო ლიტერატურის შესწავლას, თარგმნასა და გამრავლებას. საღვთისმეტყველო თხზულებებზე მუშაობა, ბუნებრივია, საჭიროებს სათანადო საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შექმნას, რაც სამწუხაროდ, დღემდე არ გაგვაჩნია. ნებისმიერი საკითხის დამუშავებისას აუცილებელია საღვთო წერილის გამოყენება. საჭირო გახდა მისი გადახედვა, ტექსტის დაზუსტება, შესწორება და გამოცემა. დაგროვდა მთელი რიგი საკითხები, რომელნიც ჩვენში მხოლოდ უმაღლეს საღვთისმეტყველო სკოლას უნდა გადაეწყვიტა.

ასეთ სკოლად დავისახეთ უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი — აკადემია, რომელმაც ჩვენში, აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა, შეწყვიტა არსებობა. ეს იყო ერთერთი უდიდესი ამოცანა, რომელიც კი ოდესმე ქართულ ეკლესიას დაუსახავს გადასაწყვეტად. დასაწყისში ჩვენ ეს ამოცანა გვაშინებდა და გვაკრთობდა. ვერ წარმოგვედგინა, ჩვენს პატარა სასულიერო სემინარიაზე დიდი აკადემია როგორ უნდა აგვეშენებინა. თავის დროზე ბევრს არ სჯეროდა ამის განხორციელება, ზოგს ეს შეუძლებლად მიაჩნდა და აი, სწორედ ამ შიშისა და გაურკვევლობის ჟამს გაცხადდა ღვთაებრივი ჭეშმარიტება, რომ „კაცთათვის შეუძლებელი ღვთისათვის შესაძლებელ არს“. ჭეშმარიტად სურდა უფალს ქართული აკადემიის დაარსება. ამას გრძნობდა მეთაური ქართული ეკლესიისა, კათალიკოს-პატრიარქი ილია, რომელმაც ეს დიდი რწმენა ჩვენც ჩაგვინერგა და დასახული მიზნის მისაღწევად აგვამოქმედა.

და აი, დადგა დღე, როცა ჩვენი ხალხის დიდი ოცნება რეალობად იქცა. გვინდა უღრმესი მადლობა შევწიროთ ყოვლად წმიდა სამებას, მამას, ძეს და სულიწმიდას, იმ უსაზღვრო სიყვარულისათვის, ჩვენი ერისადმი რომ გამოიჩინა. მადლობას ვწირავთ ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს, რომელმაც მიიტანა უფალთან ჩვენი თხოვნა-ვედრება. მადლობას ვწირავთ ზეცაში გაბრწყინებულ ჩვენს ნეტარხსენებულ წინაპრებს და განსაკუთრებით წმიდა მეფე დავით აღმაშენებელს, რომელთაც არ მოგვაკლეს ღვთის წინაშე მეოხება.

საყვარელნო, დღეს არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისინი, რომელნიც წარსულში სწავლა-განათლების საქმისათვის იღვწოდნენ და დაშვრნენ. ისინი ვერ შეესწრნენ დღევანდელი ჩვენი სიხარულის დღეს. მაგრამ გვჯერა, რომ ქართული აკადემიის ჩამოყალიბებით გამოწვეულ ჩვენს დიდ სიხარულს თავიანთ ზეციურ სიხარულს შეუერთებენ და ამ სასწავლებელს არ მოაკლებენ უხილავ მეოხებასა და სიყვარულს.

განსაკუთრებით გვახარებს, რომ ჩვენი აკადემიის პირველ მასწავლებელთა შორის ვხედავთ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, სახელოვან მეცნიერებს. თქვენთან ერთად მოღვაწეობა ჩვენ იმედით გვავსებს. გვჯერა, რომ უფალი დალოცავს ამ ურთიერთობებს და ორივე მხარეს სიხარულით აღგვავსებს.

დასასრულს, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორატის სახელით, მინდა სასწავლო წლის დაწყება მივულოცო პედაგოგ-მასწავლებლებს და სტუდენტებს. ყველას გისურვებთ დიდ სულიერ სიხარულსა და წარმატებებს. განსაკუთრებით მინდა მივმართო სასულიერო აკადემიის სტუდენტებს: ფეხბედნიერი ყოფილიყავით, გისურვებთ წარმატებებს.

„მღვიძარე იყვენით, მტკიცედ სდექით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით“. (I კორ. 16.13). ამინ!

ილია რუსრუას სიტყვა

მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმენებულის მოადგილე, მწერალი

ღრმად პატივცემულო, ბატონო ილია!

პატივცემულო მღვდელმთავარნო, სამღვდელონო!

პატივცემულო პროფესორ-მასწავლებლებო, ქალბატონებო და ბატონებო!

მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს აპარატის სახელით მოგილოცავთ ამ ღირსსახსოვარ დღეს — ქართული სასულიერო აკადემიის დაფუძნების დღეს.

სიტყვა „აკადემია“ ქართველ კაცს ძველთაგანვე გაცნობიერებული ჰქონდა მთელი თავისი შინაარსით, რადგან ჩვენი ხალხის ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორიის მანძილზე არ გვეგულება არც ერთი დიდმნიშვნელოვანი ხანა, რომ არ გვქონოდა მსგავსი კერები, ვითარცა დასტური ერის მაღალკულტურულობიდან გამომდინარე აუცილებლობისა.

სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრება ხშირად ისე მიემართებოდა, რომ ბევრი მათგანის შუქი ჩაგვიქრო მტრების აურაცხელმა მოძალებამ. ეს უბედურება პირველ რიგში თავზე ატყდებოდა სასულიერო განათლების კერებს, როგორც საკუთრივ საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მდებარე სავანეებში...

და აი, დღეს თქვენთან ერთად განვიცდით დიდ სიხარულს იმის გამო, რომ ქართულ ეკლესიას შესაძლებლობა მიეცა კვლავ გააღვივოს ასეთი კერა — ამიერიდან ჰქონდეს საკუთარი აკადემია.

ალბათ, ჭეშმარიტების წინაშე არ შევცოდავთ, თუ ვიტყვით, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მისი გახსნის საკითხის უბრალოდ დაყენებაც კი შეუძლებლად ითვლებოდა. არადა, ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობით კარგად ვიცი, რომ ქართული ეკლესიის დღევან-

დელი საჭეთმპყრობელი კათალიკოს-პატრიარქის მაღალ ტახტზე დაბრძანების პირველი დღეებიდანვე სხვა მრავალ კეთილ განზრახულობებთან ერთად ესწრაფვოდა ამას. ჩვენი ხალხის სულიერი ერთიანობის განმტკიცებისაკენ მიმართული ეს ჩანაფიქრები დღეს უკვე ხორცს ისხამს რესპუბლიკის თავკაცების მხრივ სრული გაგებისა და მხარდაჭერის მეოხებით. ყველანი მოწმენი ვართ, თუ მორწმუნეთა ნება-სურვილის გათვალისწინებით, სრული კანონიერების საფუძველზე, როგორ ზედიზედ იხსნება დიდი ხნიდან გაუქმებული ტაძარ-ეკლესიები და სამლოცველო სახლები.

ხელისუფლების ამგვარი მხარდაჭერა გამომდინარეობს იქიდან, რომ თანდათან ვეთხოვებით იმ გაუბრალოებულ, პრიმიტიულ წარმოდგენას ეკლესიაზე, რომლის თანახმადაც ზოგიერთებს მისი საზოგადოებრივი როლი მეტისმეტად დაკნინებულად ეჩვენებოდათ. ცხოვრების ლოგიკამ დაადასტურა, რომ ეს ასე არ ყოფილა. ქართულ ეკლესიას დღეს ბევრი რამის გაკეთება ძალუძს თავისი ერისა და ქვეყნისათვის.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად იზრდება თვით ეკლესიის მსახურთა როლი და პასუხისმგებლობა. სხვა რომ არაფერი, რამდენ საზრუნავს უჩენს მათ ამდენი ეკლესიის გახსნა თითქმის ყველა კუთხეში. ამასთან, ჩვენი რესპუბლიკის განსაკუთრებული მდგომარეობა, მისი ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე მათგან მოითხოვს არა მარტო საკუთარი ერის ისტორიის, სასულიერო საკითხების ზედმიწევნით ღრმა ცოდნას, არამედ პიროვნების დონემდე ამაღლებასაც, რათა საკუთარი საქმის დაფიქრებული, ტაქტიანი წარმართვით ადგილებზე არ გამოიწვიონ რაიმე გაუგებრობანი და გართულებანი სხვა ეროვნებისა და რელიგიური რწმენის ადამიანებთან ურთიერთობისას.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემად გვესახება ჩვენი ეკლესიის სახისა და დონის წარმოჩენა სასულიერო მოღვაწეობის ასპარეზზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ყველანი ვხედავთ, თუ რაოდენ გაიზარდა რელიგიური ცენტრების ეკუმენური კავშირ-ურთიერთობანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შეუძლებელია კმაყოფილებას არ გვგვრიდეს ის, რომ ასე მოხშირებულ სხვადასხვა მასშტაბის შეკრებებზე ქართული ეკლესიის სიტყვაც ისმის. ამაში, და ეს აუცილებლად უნდა ითქვას, განსაკუთრებული როლი მიუძღვის ბატონ ილიას პიროვნებას. იმასაც მოგახსენებთ, რომ ქართული ეკლესიის ავტორიტეტის წარმოჩენის ტვირთი ჯერჯერობით მთლიანად კათალიკოს-პატრიარქისა და ორიოდე მღვდელმთავრის მხრებზე გადადის, სხვები კი ხშირად გასაგები მიზეზების გამო, ჩრდილში ყოფნას არჩევენ. მაშასადამე, აუცილებელია მრავალმხრივ განათლებული, ერუდირებული მღვდლის აღზრდაზე ზრუნვა, რომელიც ახლო მომავალში ქართულ ეკლესიას მეტ პატივისმცემლებსა და მეგობრებს შესძენს. სასულიერო აკადემიის მსმენელთა პირველი ნაკადი, რომელიც უმაღლესდამთავრებული, ხალხის წიაღიდან გამოსული, უმეტესად, ინტელიგენტური ოჯახების შვილებისაგან შესდგება, გვავსებს იმის იმედით, რომ ისინი ღირსეულად გაართმევენ თავს თავიანთ მოწოდებას.

აქედანვე გაცნობიერებულ პასუხისმგებლობას, უთუოდ, უფრო გაზრდის იმის შეგნება, რომ მათ ამიერიდან მწვრთნელ-მოძღვრებად გვერდით ეყოლებათ აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებად მოწვეული ჩვენი საუკეთესო მეცნიერები.

ყველაფერი ეს ქმნის გარანტიას, რომ ქართული სასულიერო აკადემია ღირსეულად და პირნათლად შეასრულებს თავის მისიას.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ამ ღირსსახსოვარ დღეს და ვუსურვებთ ახლადდაფუძნებულ აკადემიას წარმატებებს, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ეკლესიისა და მთელი ქართველი ერის სასახელოდ.

ნოდარ ამაღლობელის სიტყვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სახელით, მინდა მივულოცო ქართულ ეკლესიას, მის წინამძღვარს, — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მის უწმიდესობას, ილია II-ს და მის თანამოაზრეებს ქართული ეკლესიის ცხოვრებაში მომხდარი დიდი მოვლენა — სასულიერო აკადემიის გახსნა.

ქართული ეკლესია ყოველთვის იყო ძირითადი წარმმართველი ძალა ქართველი ერის განათლების საქმეში, ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში. ამაზე მეტყველებს არაერთი ისტორიული ფაქტი, ამაზე მეტყველებს ის მატერიალურ-ისტორიული ძეგლები, რომლებიც დღემდე შემოგვრჩა.

დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, როდესაც ბევრი რამ მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანი დაითრგუნოს, დაკარგოს ინდივიდუალობა და ლამის დაყვანილ იქნას ჭიანჭველის დონეზე, თბილისის უნივერსიტეტს და სასულიერო აკადემიას ბევრი საერთო პრობლემა აქვს გადასაწყვეტი.

ჩვენ მზად ვართ ამ თანამშრომლობისათვის. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები მზად არიან თავიანთი წვლილი გაიღონ ამ თანამშრომლობის სრულყოფისათვის. უნივერსიტეტი მზად არის თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა შესაძლებლობანი საფუძვლად დაუდოს ამ თანამშრომლობას.

ჩვენდა სამარცხვინოდ, დღემდე ვერ მოვახერხეთ იმ

დაპირების განხორციელება, რაც რამდენიმე თვის წინ აღგითქვით. ჩვენი ბიბლიოთეკიდან უნდა გადმოგვეცა სასულიერო ხასიათის წიგნები და სახელმძღვანელოები, მაგრამ ამ ფაქტს მცირედი გამართლება აქვს: ჩვენი ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადავიდა, ვერ მოვახერხეთ წიგნების გადარჩევა; არცთუ ისე ადვილი იყო ამის გაკეთება. მოგეხსენებათ, რომ თავის დროზე სასულიერო სემინარიამ თავისი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი გადასცა უნივერსიტეტს და აი, ახლა ვაპირებთ მის უკან დაბრუნებას. ამაზე თანხმობა გვაქვს ჩვენი მთავრობიდან. ყველაფერი მოგვარებულია, ოღონდ საჭიროა წიგნების მოძიება და რესტავრაცია.

ამას ჩვენ უახლოეს დროში მოვახერხებთ.

კიდევ ერთხელ მინდა ყველას მოგილოცოთ ეს დიდი ფაქტი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში და ვუსურვო დიდი წარმატებები სასულიერო აკადემიასა და სემინარიას.

გიორგი ცინცაძის სიტყვა

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სასულიერო აკადემიის პროორექტორი.

მე მინდა, პირველ რიგში, დღევანდელი დღე მივულოცო ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს, უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს — ილია II-ს; ვულოცავ ჩვენი ეკლესიის ყველა წევრს, ვულოცავ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, ვულოცავ ქართველ ერს.

ბევრი რამ გაკეთდა ქართულ ეკლესიაში ბოლო ათი წლის მანძილზე, და რაც მთავარია, აღსრულდა ის, რაც ამ ათი წლის წინ აუხდენელ ოცნებად ითვლებოდა: გაიხსნა სასულიერო აკადემია, უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებელი, რომლის როგორც არსებობას, ისე არარსებობას საქართველოში საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს.

პარადოქსი იყო ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემი მოსვლა სასულიერო სემინარიაში ფილოსოფიის მასწავლებლად. დღეს კი სასულიერო აკადემიის ლექტორებად მოწვეულნი არიან ჩვენი უნივერსიტეტის საუკეთესო წარმომადგენლები. და ისინი მოვიდნენ აკადემიაში ისე, როგორც ბრუნდებიან მშობლიურ კერასთან უცხოობაში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ — როგორდაც შეშფოთებულნი, თითქოსდა შეშინებულნიც კი. და სწორედ ეს შიშნარევი სიხარულია იმის თავდები, რომ საქართველოში კვლავ განახლდება საუკუნეთა წინათ გაწყვეტილი ტრადიცია, აღსდგება ერის ისტორიული მთლიანობა.

ქართულ ეკლესიაში არ გაციებულა კერია. იგი მუდამ ენთო. ეს სასწაულია, მაგრამ ფაქტია: ვიღაც ინახავდა ცეცხლს, ინახავდა წარსულს, ელოდა დილის დადგომას და ელოდა უძღებ შვილებს. ეს დილაც დადგა.

კეთილი იყოს მისი ნათელი.

ზურაბ კიკნაძის სიტყვა

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თქვენო უწმიდესობავ, მღვდელმთავარნო, წმიდა მამანო, პატივცემულო საზოგადოებავ, ერისკაცნო!

ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ 70 წელზე მეტმა განვლო, არა მგონია, უფრო დიდი სიხარული განეცადოს საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, ვიდრე ამ უკანასკნელ დღეებში განიცდის. ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა და უბრუნდება დიდი ხნის წინათ დადუმებული ტაძრები: ზარების ხმა გაისმის გელათში, მარტვილში, შიომღვიმეში...

დღეს კი მოწმენი და მონაწილენი ვართ ჩვენი ეკლესიის ისტორიაში ღირსშესანიშნავი მოვლენისა: ვზეიმობთ უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის გახსნას, რასაც მოკლებულნი იყვნენ ქართველი ერის ათეულობით თაობები. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ საეკლესიო დღესასწაული; დღევანდელი კრებული მოწმობს, რომ ჩვენ ვესწრებით საერთო ეროვნულ დღესასწაულს, რომლის სიხარულს თანაბრად ინაწილებს ბერი და ერი.

განა ოდესმე ყოფილა ხარვეზი ეკლესიასა და საერო საზოგადოებას შორის ჩვენი ქვეყნის ისტორიაში? ქართული ეკლესიის შექმნაში და განმტკიცებაში მონაწილეობდა როგორც ბერი, ისევე ერი. საუკუნეთა მანძილზე ბერი და ერი ერთად, თანხმობით იღვწოდა ქვეყნად ქრისტეს სარწმუნოების გადასარჩენად და ჭეშმარიტებისა და მაღალი სულიერების დასამკვიდრებლად. ერთნაირად გაბრწყინდა ჩვენს მიწაზე არგვეთელ მთავართა და თევდორე მღვდლის დათხეული სისხლი. ქართული ეკლესიის დიდება ქართველი ხალხის დიდება იყო და დღესაც არის. დღევანდელი დღე ამის დადასტურებაა. დღესაც ქართველი საერო საზოგადოება არა მხოლოდ მოზეიმეა ამ დღისა, არამედ აქტიური მონაწილეც არის ამ დღის დადგომისა. უმაღლესი სასულიერო მეცნიერების კერა იხსნება მღვდელმთავართა ლოცვა-კურთხევით, მაგრამ ჩვენს ერისკაცობას მასში უდევს არამცი-

რედი წვლილი და გამოთქვამს იმედს, რომ გაზრდის ამ წვლილს.

ამ სამოცდაათი წლის წინათ უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონმა აკურთხა ქართული უნივერსიტეტი, ქართველ სწავლულ ერისკაცთა ძალისხმევით შექმნილი. ეს კურთხევა დღემდე ადგას მის გუმბათს, რომელიც წარმოადგენდა ტაძრის გუმბათს, არა მხოლოდ მეცნიერების ტაძრისა. ეს კურთხევა ჩვენამდე მოდის იმ ბნელი წლების წიაღ და ბნელი იგი ვერ ეწია მის ნათელს.

უნივერსიტეტის აღზრდილნი, სხვა რომ არა იყოს რა, მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ სასულიერო აკადემიის შექმნაში, რაზეც კირიონ კათალიკოსის ხანაში და, მით უმეტეს, მის შემდეგ, ოცნებაც კი ძნელი იყო. დღეს ეს ოცნება აღარ არის, დღეს იგი სინამდვილის ფაქტია სხვა სასიხარულო ფაქტებთან ერთად. თუ ოდესმე ჩვენი ეკლესიის მღვდელმთავარნი ოცნებობდნენ აკადემიის აღდგენაზე საქართველოში, ჩვენ დღეს განვიცდით, ვგრძნობთ მათ სასოებას — ისინიც უერთდებიან დღევანდელ სიხარულს.

ეს პირშშო ჩვენი ეკლესიისა, გელათისა და იყალთოს აკადემიების შორეული შთამომავალი, როგორც ახალშობილი ყრმა, შემოდის ჩვენს ცხოვრებაში; ის ჯერ კიდევ ჩვილია, ის მდოგვის უმცირესი მარცვალია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რა დიდება მოელის მდოგვის მარცვალს, „რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა“ (მათე, 13, 32), თუკი იქნება მტკიცე რწმენა, სასოება და ერთგულება ჭეშმარიტებისადმი.

ნუთუ შემთხვევით ხდება, ძვირფასო საზოგადოებავ, რომ ქართული უნივერსიტეტის სამოცდამეათე წლისთავზე, სწორედ იმ თვეში, მწიფობისთვეს, როცა მისი დღეობაა, იბადება ახალი კერა — საღვთო მეცნიერების ტაძარი?

მოგილოცავთ, გიხაროდეთ! მადლი ღმერთს, რომ მოვესწარით ამ დღეს!

რეზო ჩხეიძის სიტყვა

კინორეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

მე მინდა ეს ბედნიერი დღე ქართველი ერის ცხოვრებაში, უპირველესად მივულოცო იმ ადამიანს, რომელმაც ბევრი იღვაწა, რომ ეს საქმე აღორძინებულიყო, მივულოცო უწმიდესსა და უნეტარესს, ილია II-ს. მინდა მივულოცო ჩვენს მღვდელმთავრებს და მთელ ქართველ ერს.

მე ღრმად მწამს, რომ ამ კერიდან წამოსული სულიერი ნაკადი იქნება ჩვენი ხალხის ის განწმედა და ამაღლება, რომელიც დიდი ხანია გვენატრება და რომლის გარეშე არსებობა აღარ შეიძლება.

მჯერა, აკადემიაში აღზრდილი. სულიერად განათლებული ადამიანები ყველაფერს გაკეთებენ, რომ ჩვენ აღარასოდეს დავდგეთ იმ გზაზე, როგორზეც დავდექით 70 წლის წინათ. ეს აღორძინება ჩვენი ხალხის ცხოვრებისა, რომელიც ყოველ დარგში შეინიშნება, არის დიდი მოვლენა განწმედისა, ნიშანი ქართველი ერის იმ დიდი სულიერი განძის დაბრუნებისა, როცა შეგვეძლება გარჩევა ავისა და კარგის, კარგს ერქმევა კარგი, ბოროტს — ბოროტი და ჩვენი ცხოვრება წავა იმ გზით, რომლითაც ყოველთვის მიდიოდა საუკუნეების მანძილზე ღვთის ლოცვითა და ქართველ წმიდანთა შეწევნით.

ვფიქრობ, ეს აკადემია დიდ წვლილს შეიტანს ჩვენი ერის ცხოვრებაში, გააკეთებს დიდ სამამულო, სამომავლო საქმეებს. ალბათ ჩვენი შვილებიც გაიზრდებიან იმ იდეებზე, რომელსაც ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა ჰქვია. და ეს იქცევა ცხოვრების, არსებობის, ეთიკის ნორმად.

ჩვენი სათქმელიო, ამბობს ჩემი მომავალი ფილმის გმირი სანჩო, ჩვენი ქრისტიანული სახეებიაო, ჩვენი ცხოვრება, ქრისტიანული საქმეებიაო.

ალბათ, ყოველი ადამიანის სახე მისი ქრისტიანული საქმე უნდა იყოს. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ სხვანაირად მისი არსებობა ფუჭია და გაუმართლებელი, მაშინ ყოველგვარი ბოროტი და ეშმაკეული დათრგუნული იქნება და ჩვენი მომული იქნება ისეთი, როგორზეც დიდი ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა.

დიდად გმადლობთ დღევანდელი დღის დადგომისათვის, დიდი მადლობა ყველას... უპირველესად თქვენ, თქვენო უწმიდესობავ!

თეიმურაზ დედაბრიშვილის სიტყვა

თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტი

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ!

ყოვლად სამღვდელო მეუფენო!

ქრისტესმიერ საყვარელნო მამანო და ძმანო!

პატივცემულო საზოგადოებავ!

ჩვენთვის დღევანდელი დღე ნამდვილი დღესასწაულია. სასწაული — რომელიც ადრე თუ გვიან უნდა განხორციელებულიყო. სასულიერო აკადემიის გახსნა, მისი პირველი სტუდენტებისათვის ორმაგ დღესასწაულს წარმოადგენს:

„დიდება ღმერთს ყველაფრისათვის“ — ამბობს იოანე ოქროპირი. და ჩვენც, შეგნებით ვიმეორებთ მის სიტყვებს — დიდება და მადლობა სამყაროს შემოქმედს, ყველაფრისა და დღევანდელი დღისათვის.

ნება მიბოძეო — აკადემიის მომავალი სტუდენტების

სახელით მადლობა შევწირო სრულიად საქართველოს ეკლესიას და ჩვენს ერს. ამ ორი ცნების ერთიანობას, ყველაზე უკეთ, დღევანდელი დღე ამტკიცებს.

ასევე არ შეიძლება დავიწყებულ იქნას ყველა ის პირი, რომელთაც მცირე თუ დიდი ღვაწლი მიუძღვით აკადემიის გახსნის საქმეში. მათ ისტორია თავის წიგნს მიაგებს.

ხოლო პირადად მე, ყველა სტუდენტის სახელით, ლოცვა-კურთხევას გამოვითხოვ მისი უწმიდესობის, ილია II-საგან, რათა დალოცვილ იქნას ჩვენი არჩევანი სულიერი ცოდნის ძიების ძნელსა და საპატიო გზაზე.

უფალი მოწყალეა, მაგრამ, ამასთან, უფალი ყოვლადსამართლიანი მსაჯულიცაა და ყველას მოგვთხოვს ჩვენი ვალის აღსრულებას.

ჩვენ, ქართული სასულიერო აკადემიის მომავალ სტუდენტებს, მთელი არსებით შეგნებული გვაქვს, რომ აკადემიაში გამოცდის ჩაბარება ჯერ საქმე არ არის, არამედ მისი დასაწყისია და იგი მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდება წარმატებით, თუკი მთელ ძალ-ღონესა და დროს მის „სამსხვერპლოზე" უანგაროდ შევსწირავთ — სადიდებლად ღვთისა და სასარგებლოდ მოყვასისა.

, მისი უწმიდესობა საახალწლო ეპისტოლეში ბრძანებს: „ახალგაზრდები ესწრაფვიან ცოდნის შეძენას, რომ საზრდო მისცენ არა მარტო გონებას, არამედ სულსაც. მაგრამ ეს ცოდნა ხშირად ვიწროა, ანდა ზედაპირული, როცა მას თან არ ახლავს ჭეშმარიტი სულიერობა, რომელიც მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით მიიღწევა".

და მართლაც, მხოლოდ მშრალ, სულისაგან დაცლილ ცოდნას, ადამიანი ღმერთთან არ მიჰყავს. საჭიროა მისი რწმენასა და სიყვარულთან შეერთება, რათა გულისა და გონების ჰარმონიულ ურთიერთობაში მოხერხდეს სულიერი სრულყოფა.

„იყავით თქვენ ბრძენ, ვითარცა გველი,
და უმანკო, ვითარცა მტრედი".

— გვმოძღვრავს ღვთაებრივი ხმა.

მაგრამ ცოცხალ ჭეშმარიტებასთან ურთიერთობა, მისგან ღვთაებრივი სიბრძნის მიღება, მხოლოდ მისდამი ერთგულებითაა შესაძლებელი. ეს ყველაზე უკეთ ჩვენს წინაპრებს ესმოდათ, ესმოდათ გელათის აკადემიის დამაარსებელთ. ამიტომაც საზეიმოდ აცხადებდნენ რუისურბნისის კრებაზე: არცა განგცეთ შენ, ჩვენო სიამაყევ — მართლმადიდებლობაო, რომლისთვისცა არასოდეს გვიღალატნია, რაც მისი შეცნობის ღირსნი გავხდით და რისი მოწმეც ჭეშმარიტებააო.

და აი, დღეს ჩვენთანაც სულიერ ზეიმს დაუსადგურებია და წინაპართა კვალდაკვალ ჩვენც საზეიმოდ ვიმეორებთ: არა გავცეთ ჭეშმარიტება, არ ვუორგულოთ ჩვენს მაცხოვნებელ ღმერთს.

ამ სულით მოვედით აკადემიაში, ამ სულით ვისწავლით და ამ სულით დავტოვებთ ამ ქვეყანას, ღვთის ძალითა და წყალობით.

ჭეშმარიტად! დღეს დიდი დღესასწაული გვაქვს ქართველებს, რამეთუ ღვთაებრივი სიბრძნის ახალი „ტაძარი" იშვა საქართველოში, რომლისა გამო ვღაღადებთ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება. ამინ!



ჯვარი სწერია

"ჯვარი ვაზისას"

ჟურნალის ათი წელი

წელს შესრულდა ათი წელი იმ კურთხელი დღიდან, რაც ღვთის განგებითა და ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქოში გამოვიდა ახალი ქართული საეკლესიო ჟურნალი. აღნიშნულ ჟურნალს ეწოდა ქართველი ერის სათაყვანებელი სიწმიდის სახელი — „ჯვარი ვაზისა". ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში.

მას შემდეგ, რაც უძველესმა ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ აღიდგინა დაკარგული თავისუფლება, ქართველ იერარქთა წმიდა ოცნება იყო ქართული საეკლესიო ჟურნალის გამოცემა, რომელიც თანმიმდევრულად გააშუქებდა ეკლესიის ცხოვრებას და ხელს შეუწყობდა ქართველი მორწმუნეების სულიერ ზრდასა და განვითარებას. მაგრამ სურვილი სურვილად რჩებოდა და ჟურნალის გამოცემა დიდხანს ვერ მოხერხდა. ბოლოს, როგორც იქნა, ისმინა უფალმა ჩვენი ეკლესიის მესვეურთა ვედრება და საერო ხელისუფლებისაგან მიღებულ იქნა ჟურნალის გამოცემის ნებართვა. მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და ღვაწლით ყოველივე კეთილად მოგვარდა და 1978 წლის ბოლოს ჟურნალ „ჯვარი ვაზისას" პირველი ნომერი დაიბეჭდა და ეკლესიაში გავრცელდა. ძნელია დღეს იმ სიხარულის წარმოდგენა, რაც მაშინ ამ ჟურნალის გამოცემამ გამოიწვია. ჟურნალი მცირე ტირაჟის გამო ხელიდან ხელში გადადიოდა, ყველას სურდა მისი წაკითხვა. ეს გასაგებიცაა: "ჯვარი ვაზისა" იყო ერთადერთი ორგანო, სადაც ქართულ ეკლესიას, მის თითოეულ წევრს შეეძლო თავისი სათქმელი ეთქვა. არადა, სათქმელი და საფიქრალი რამდენი ჰქონდა ჩვენს ერს...

თავიდანვე ზუსტად განისაზღვრა ჟურნალის დანიშნულება: მას უნდა დაეკმაყოფილებინა მორწმუნეთა რელიგიური მოთხოვნილებანი, განემტკიცებინა ჩვენს მრევლში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება და ეროვნული ტრადიციები, დახმარებოდა მორწმუნეთ, რათა ეკლესიის ცხოვრებაში მიეღოთ აქტიური მონაწილეობა.

გამოსაცემი მასალის სისტემატიზაციის მიზნით ჟურნალში ჩამოყალიბდა განყოფილებანი: საეკლესიო ცხოვრება; საეკლესიო ისტორია; ქადაგებანი და სწავლანი; საღვთისმეტყველო-ლიტურგიკული; აგიოგრაფია; პატრისტიკა; მხატვრული და სხვა. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ფოტომატიანესაც, რამაც ჟურნალი კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა. „ჯვარი ვაზისა" მალე შეიყვარეს, როგორც ეკლესიაში, ისე მის გარეთაც. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით, პირველ ხანებში, იყო სიძნელეებიც, რომელთა გადალახვა ხშირად იოლ საქმეს არ წარმოადგენდა. ყოველივე ჩვენს სურვილზე ყოველთვის არ იყო დამოკიდებული. მაგრამ საერთოდ ჟურნალში შეძლებისდაგვარად შუქდებოდა ყველა საკითხი, რაც კი საქართველოს ეკლესიის მრევლს აინტერესებდა. ცხადია ასე იქნება მომავალშიც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალის არსებობის მანძილზე ქართული ეკლესიის ცხოვრებაში არ დარჩენილა არც ერთი ფაქტი, ის რომ არ გამოხმაურებოდა. ჟურნალმა ფართოდ გააშუქა ის სასიკეთო ძვრები, რომლებიც ამ ბოლო პერიოდში მოხდა ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში.

გარდაქმნის სასიკეთო გავლენა შეეხო თვით ჟურნალსაც. სამჯერ გაიზარდა მისი ტირაჟი, ორჯერ პერიოდულობა. იგი ამიერიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა. ამ ეტაპზე ეს მხოლოდ კარგია, ხოლო შემდეგ, დროთა მანძილზე, როცა მეტ ძალას მოვიკრებთ, ალბათ, ყოველთვიურ გამოცემებზეც გადავალთ. ყოველივე ეს ჩვენ გვახარებს და იმედით გვავსებს.

დღეს, როცა ჩვენი საეკლესიო ჟურნალი თავისი არსებობის ათი წლისთავს აღნიშნავს, ურიგო არ იქნება, მკითხველი საზოგადოებისათვის მოკლედ მოგვეხსენებინა ის, თუ როგორ გვესახება მისი მომავალი საქმიანობა. ჩვენ მომავალში გვინდა გამოვიძიოთ, შევისწავლოთ და შეძლებისდაგვარად საზოგადოებას გავაცნოთ წარსულში მოღვაწე ცნობილ სასულიერო პირთა ცხოვრება — მოღვაწეობანი. განვლილმა მძიმე წლებმა დავიწყებას მისცა ბევრი ღვაწლმოსილი ადამიანის ცხოვრება. მათი ნაღვაწი გზად და ხიდად უნდა გამოადგეს მორწმუნეთა დღევანდელ თაობას, მათ მდიდარ სულიერ გამოცდილებაზე უნდა აღიზარდოს ჩვენი სასულიერო წოდება. ამისათვის მოგვიწევს დიდი სამუშაოების ჩატარება, ხალხში მიმობნეული მასალების თავმოყრა, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს მარტო რედაქციის საქმე არაა, საჭიროა ფართო საზოგადოებამ მიიღოს მასში მონაწილეობა. მხოლოდ ასეთი ერთობლივი გარჯით შევძლებთ დედა ეკლესიის ისტორიის ცარიელი ფურცლების შევსებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა ჟურნალში საეკლესიო ლექსიკონის გამოჩენას. მომავალში მას ადგილი კვლავაც დაეთმობა. მინ-

და გაუწყოთ, რომ დასასრულს უახლოვდება ქართულ საეკლესიო ლექსიკონზე მუშაობა, რომელიც სასულიერო პირებთან ერთად გაასრულეს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა. აღნიშნული ლექსიკონი თავის დროზე, რა თქმა უნდა, წიგნად გამოიცემა, მანამდე კი, ჩვენ ნაწილ-ნაწილ შევეცდებით მის ჟურნალში დაბეჭდვას. ვფიქრობთ, ამით დიდ დახმარებას გავუწევთ ჩვენი ეკლესიის წევრებსაც და საერთოდ, ქართული ეკლესიით დაინტერესებულ პირთაც.

მომავალში უფრო ფართო ადგილი დაეთმობა საღვთისმეტყველო საკითხების გაშუქებას. ამის იმედს გვაძლევს თბილისის სასულიერო აკადემია, რომელმაც თავის მიზნად სწორედ ქართული ღვთისმეტყველების განვითარება დაისახა. რედაქციას იმედი აქვს, რომ აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების საქმიანობაში მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.

ცალკე შევეხებით ჟურნალის ისეთ განყოფილებას, როგორიცაა, „ქადაგებანი, სწავლანი". აქ უკვე სასულიერო პირთა დახმარების გარეშე ძნელი იქნება რაიმეს გაკეთება. ჩვენმა სასულიერო პირებმა უნდა შესძლონ ქადაგებათა ჩაწერა და რედაქციისათვის მიწოდება. მრევლს ნამდვილად სჭირდება ცოცხალი, თანამედროვე ქადაგება. თითოეულ მოძღვარს ეკლესიაში მოღვაწეობისას უგროვდება მდიდარი გამოცდილება, რომელთა გაზიარება ურიგო არ იქნება. გასაკეთებელი მართლაც ბევრი გვაქვს, ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია.

ჟურნალში კვლავინდებურად გაშუქდება საეკლესიო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მასალები, ეპარქიების ცხოვრება, ახალი ტაძარ-მონასტრების ამოქმედება, საასულიერო აკადემიისა და სემინარიის ცხოვრება და სხვა.

ასევე ვფიქრობთ, შესაძლებლობების ფარგლებში თანმიმდევრულად გავაშუქოთ ქართული ეკლესიის ისტორია.

ჩვენ მოკლედ შევეხეთ იმას, რის გაკეთებასაც მომავალში ფიქრობს რედაქცია. გვინდა ჟურნალი უფრო მეტად დაუახლოვდეს ერს, მასში თავისთვის სასურველ მასალას უნდა პოულობდეს ყველა თაობა მორწმუნეებისა, ყოველი წევრი ეკლესიისა. ჩვენ მუდამ გვახსოვს, რომ ჟურნალი სწორედ მათი კუთვნილებაა და მათი ინტერესები უნდა ასახოს.

გვინდა ჩვენს მკითხველებს მივმართოთ თხოვნით, ახლო ურთიერთობა იქონიონ ჩვენთან, უფრო ხშირად მოგვწერონ თავიანთ შთაბეჭდილებებსა და სურვილებზე. ჩვენ მათ გავითვალისწინებთ ჩვენს მომავალ საქმიანობაში. რედაქცია მუდამ მადლიერების გრძნობით მიიღებს კეთილისმყოფელ წინადადებებსა და შენიშვნებს. ყოველივე ეს ჩვენ გაგვიწევს დიდ დახმარებას იმ დიდი მისიის შესრულებაში, რომელიც „ჯვარი ვაზისას" აკისრია.

დასასრულს ისევ დაგვრჩენია, მივულოცოთ ქართულ ეკლესიას თავისი საყვარელი ჟურნალის — „ჯვარი ვაზისას" გამოცემის 10 წელი. ღმერთმა დალოცოს ჟურნალის შემდგომი ათეული წლები. ღმერთმა დალოცოს რედაქცია ჟურნალისა. ქართველთა განმანათლებლის, წმიდა მოციქულთა სწორი ნინოს ლოცვა-კურთხევა ეწეოდეს „ჯვარი ვაზისას" მომავალში.

ეპისკოპოსი ზოსიმე /ბიოშვილი/
საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე

კვლავ წმიდა მისიის სამსახურში

დადგა დრო, როცა საქართველოს უძველეს, მადლმოსილ ეკლესიას მიეცა საშუალება გამოუშვას თავისი ჟურნალი. ისეთი მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე, დამოუკიდებელი სამოციქულო ეკლესია, როგორიც ჩვენია, წარმოუდგენელია ბეჭდვითი ორგანოს გარეშეო, — წერდა ჟურნალ „ჯვარი ვაზისას" პირველ ნომერში უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II. და, აი, დღეს უკვე ჩვენი სამოციქულო ეკლესიის ჟურნალის 10 წლისთავს აღვნიშნავთ, ჟურნალისას, რომელსაც განუზომლად დიდი და საპასუხისმგებლო როლი აკისრია ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში.

ჟურნალის ფურცლებზე ასახულია ჩვენი სახელოვანი წარსული და აწმყო, ჩვენი თუ სხვათა საერო და საეკლესიო ცხოვრება... ისინი, მართლაც, განუშორებელნი არიან ერთმანეთისაგან და ამიტომ აქაც წყალუხვ მდინარეებივით გვერდიგვერდ მიედინებიან და თანაბრად ასაზრდოებენ ფრიად ცნობისმოყვარე მკითხველის გულსა და გონებას. ეს კი, — სასულიერო და საერო ცხოვრების თანაბრად გაშუქება, — პირადად მე მიმაჩნია ჟურნალის უდიდეს და უპირველეს ღირსებად. რამდენჯერაც არ უნდა გაეცნო ათონის ივერიის ისტორიას, ან დიდებულ წმიდანთა ცხოვრებას, იმდენჯერ ძლიერად იგრძნობ დღევანდელობის სურნელს, თანამედროვეობის მაჯისცემას და ანთებული სანთელივით უფრთხილდები სიცოცხლეს ჩვენი პლანეტისას, უკეთურებისაგან იცავ მშვიდობას. ჩვენ ვუწყით „სინათლის ფასი, რადგანაც უკვე ვიხილეთ ბნელი" ორმოცი წლის წინ თავსდატეხილი ომის სახით!

სულითა და გულით მივულოცავ ჟურნალის 10 წლისთავს საქართველოს საპატრიარქოს, მის სამწყსოს, მთელს ჩვენს ერს... სულითა და გულით მივულოცავ ამ თარიღს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას და ვუსურვებ მათ კვლავაც წმიდათაწმიდა მისიის სამსახურში

დგომას. მისალოცია ისიც, რომ ამიერიდან ჟურნალის ოთხი ნომერი გამოვა წელიწადში, ნაცვლად ორისა.

საქართველოს საპატრიარქო მადლობის გრძნობით მიიღებს მკითხველის შენიშვნებსა და წინადადებებსო, — ბრძანა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა თავის წერილში, რომლითაც იხსნება ჟურნალის პირველი ნომერი. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი სურვილიც გაგიზიაროთ.

მისასალმებელია, რომ ჟურნალის ზოგიერთ ნომერს ერთვის „საღვთისმეტყველო ლექსიკონი და განმარტებანი". სასურველია, იგი ჟურნალის ყოველ ნომერს ახლდეს. ამითაც საშვილიშვილო საქმეს გააკეთებდა საქართველოს საპატრიარქო, ცალკე წიგნად რომ გამოსცემდეს საღვთისმეტყველო ლექსიკონს, რომელშიც საეკლესიო ტერმინთა განმარტებებიც შევიდოდა. ყველაფერი ერთად, ერთ წიგნში იქნება თავმოყრილი, რაც უეჭველად დიდად დაეხმარება ამ საკითხებით დაინტერესებულთ. როგორც ცნობილია, სხვა ენებზე ბევრი ასეთი ლექსიკონი არსებობს.

კურთხეულ იყავ, — ასე დალოცა ჟურნალი გზის დასაწყისში, ამ ათი წლის წინ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II.

ამინ, კურთხეულ იყოს!

ანა კალანდაძე,
პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ჯვარი სწერია „ჯვარი ვაზისა-"ს

როგორც ცნობილია, ეს საწუთრო კეთილისა და ბოროტის განუწყვეტელ ურთიერთბრძოლას წარმოადგენს!

ისიც ცნობილია, რომ ერთობ ხანმოკლეა ძლევამოსილება ბოროტისა! — უძლეველია სიკეთე!

სწორედ ამ უძლეველი ძალის (სიკეთის) ერთ-ერთი არილი გახლავთ ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", რომელიც უკვე ათი წელია ურყევად დგას ზნეობის სადარაჯოზე.

არაერთი საჭირო საქმე გააკეთა მან ამ ხნის განმავლობაში!

დარწმუნებული ვარ, კიდევ არაერთ სასიკეთო საქმეს განახორციელებს ამიერიდან!

იკურთხოს იგი!

ღმერთი ჰფარვიდეს მას!

ჯვარი სწერია „ჯვარი ვაზისა"-ს!

მუხრან მაჭავარიანი.
პოეტი, საქართველოს მწერალთა
კავშირის თავმჯდომარე.

მოეღოთ ნაყოფი მრავალი და კეთილი

„მე ვარ ვენაკი ჭეშმარიტი... დაადგერით თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ თანა: ვითარცა — იგი ნასხლევსა ვერ ჴელ-ეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თჳსით, უკეთუარა ეგოს ვენაჴსა ზედა, ეგრევე არცა თქუენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა. მე ვარ ვენაკი, და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი და კეთილი, რამეთუ თვინიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი" (იოვანე, 15)— ბრძანებს მაცხოვარი.

ყოვლისა ქართლის დედა-ემბაზის, განმანათლებლისა და მოძღვრის, მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს მიერ საუკუნეთა წიაღიდან „სიცოცხლის ხედ" მომდინარე ვაზის ნასხლევისაგან შექმნილი სასწაულმოქმედი ჯვარი ვაზისა, დვრიტად რომ დაედო ქართულ მართლმადიდებლობას და შუასაუკუნეთა ქართულ სულს სარწმუნოებასა ზედა სამებისა, წმიდისა და ერთარსებისა ღმრთისა დაუსაბამოსა, განაძლიერებდეს მამულის სიყვარულს, განამშვენიერებდეს ქართულ ჰუმანიზმს.

ვადიდოთ დიდება შემქმნელისა „ჯუარისა ნასხლევისა" — წმიდა ნინოსი და დამაარსებლისა „ჯვარისა ვაზისა".

დაუვიწყარია ის სიხარული, ჩვენს ეროვნულ სულიერ ცხოვრებაში „ჯვარი ვაზისას" გამოცემამ რომ გამოიწვია და ამ ათი წლის განმავლობაში მოწიწებით რომ ველით ყოველთა მისთა ახალ ნომერს.

მადლიერებით ვესალმებით ჟურნალ „მწყემსის" ტრადიციების მრავალი ათეული წლის შემდეგ ამაღორძინებელ ჟურნალ „ჯვარი ვაზისას" რედაქციას მონიჭებული სულიერი სიხარულისათვის.

„ჯუარსა ნასხლევისა" და „ჯვარსა ვაზისას" მოეღოთ „ნაყოფი მრავალი და კეთილი". ამინ!

გივი ღამბაშიძე,
არქეოლოგიის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი.

ვულოცავ

ათი წლის წინ მეც მხვდა წილად პატივი, სხვებთან ერთად ვყოფილიყავი ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ პირველი ნომრის ერთ-ერთი ავტორი.

ათი წლის შემდეგ კვლავ მაქვს პატივი, სხვებთან ერთად მეც მივესალმო საიუბილეო ნომრით „ჯვარი ვაზისას“ რედაქციას და მის მკითხველებს.

განვლილი ათი წლის მანძილზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში დიდი ძვრები მოხდა, ხოლო ყველა სასიკეთო ცვლილების გვირგვინი იყო წელს ქართული სასულიერო აკადემიის დაარსება, ან უკეთ, აღორძინება.

საქართველოს ეკლესიის წარმატებათა საფუძველში „ჯვარი ვაზისას“ მიერ ათი წლის მანძილზე შესაშური გულმოდგინებით ნათესი კეთილი თესლიც დევს. დასაწყისში ძნელი იყო. ახლა უფრო ადვილად და სწრაფად წავა საქმე წინ. სწორედ ამ დროს სჭირდება „ჯვარი ვაზისას“ ავტორთა სიმრავლე და მკითხველთა თანადგომა. მეც ამას ვუსურვებ.

ზაზა ალექსიძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

მწამს

მწამს, რომ განახლებული ქართული ეკლესია მისთვის ისტორიულად ჩვეულ დიდ როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის სულიერ აღორძინებაში, ერის ზნეობრივ განწმედასა და ამაღლებაში.

ვულოცავ ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ ათი წლისთავს და ვუსურვებ მას მტკიცედ იდგეს ამ კეთილშობილური მისიის სამსახურში.

ნიკო ჯავჯავაძე.

აკადემიკოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.

მშვენიერი და ჭეშმარიტი

იწურება შფოთიანი მეოცე საუკუნე...

საუკუნე არნახული ტექნიკური პროგრესისა და... სულიერი რღვევისა და სიცარიელისა!

რითი შეიძლება ამ შეშფოთებული უფსკრულის ამოვსება? „სად მიიდრიკოს სული“ მრავალ სასწაულთა ჩამდენმა, მატერიალურ სიკეთეებს გადევნებულმა, მაგრამ მაინც უბედურმა ადამიანმა?

„აღუვსებელი სასწაულის“ პირისპირ მდგარი უმაღლესი გონი, თითქოს შემცნობელი ბუნების უამრავ საიდუმლოთა, შეძრწუნებული დგას თავის მიღწევათა კვარცხლბეკზე, კვარცხლბეკზე რომლის სიმაღლიდანაც უფრო ცხადად ილანდება ჭეშმარიტება ღვთაებრივის გარდუვალობისა!

იწურება შფოთიანი მეოცე საუკუნე...

და ამ ოცი საუკუნის ქართულ მეხსიერებას, ჩვენი ერის სასწაულებრივად გამოვლილ ბრძოლისა და შრომის გზას, წინ მიუძღვება ქრისტეს ჯვარი — ქართული სიმბოლოებით შეკრულ-დამშვენებული ჯვარი ვაზისა!

ისტორია მისი — ისტორიაა ქართველი ხალხისა!

დაცემა მისი — დაცემა იყო ჩვენი ეროვნულობის მაღალი დროშისა და რაკი „ჩვენთან არს ღმერთი“ — მოწყალე და სასწაულმოქმედი — კვლავ მხილველნი ვხდებით მიძინებული სულიერების გაღვიძებისა.

სიტყვით და სიტყვაში ცხადდება ყველა უმაღლესი ჭეშმარიტება.

„ჯვარი ვაზისა“ მტვირთველი და შემფარებელია იმ „სიტყვისა“, რომელმაც ჩვენს ერში კვლავ უნდა გააღვივოს მინავლული ნაპერწკალი რწმენისა, სიყვარულისა, სათნოებისა, გულმოწყალებისა, ზნეობრივი სისპეტაკისა, კაცთა შორის მშვიდობისა, ხალხთა შორის მეგობრობისა!...

იმ მრავალ კეთილ საქმეთაგან, რომელნიც სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა ააღორძინა, „ჯვარი ვაზისა“ — გამორჩეულია.

ამის დასტურია ის მოკლე, მაგრამ სინათლიანი გზა, რომელიც ჟურნალმა დღემდის გამოიარა!

და გვჯერა: „ჯვარი ვაზისა“ მომავლის გზაზე ასევე სიკეთისაკენ აღძრული წარუძღვება მსასოებელ მორწმუნეთ, სრულიად საქართველოს!

თედო ბეჭიშვილი

პოეტი

დედისა ღვთისა მიერ ქვეყანასა ამას ჩვენსა მოვლინებულ-
მან და წმიდათა ხელთა მისთა მიერ ჯვარისა ვაზისა მიმ-
ღებელმან, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, შეკრიბე და მიჰ-
გვარე ჭართველნი ღმერთსა ჭეშმარიტსა. დედაო, წმიდაო.
ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა
ჩვენთათვის

წმიდა ნინოს ტროპარი



მოციქული ანდრია პირველწოდებული

„ჰოჲ, დედაო ჩემო, არა უგულებელვყო ერი იგი საზეკურო უფროჲს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათ-თვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანაწარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენი წილ ხატი იგი შენი მკვიდროებდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“, — უთხრა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ყოვლადწმიდასა ღვთისმშობელსა — დედასა მისსა მარიამს, გამოცხადებისას, „რაჟამს წილ-იგდეს მოციჟულთა“ და „მაშინ ყოვლადწმიდასა ღვთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ჟუეყანა საქართველოსა“.

„მაშინ რჟუა ყოვლად-წმიდამან მოციჟულსა ანდრიას: „შვილო ანდრია, დიდად უჩნს სულსა ჩემსა, რომელ ჟუეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებულ არს სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ჟუეყანასა მას, წილად ჩემდა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხვიდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ჟუეყანასა, ჩემდა წილხდომილსა, რათა მე ვიყო გამგებელი ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუკყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნეს მათ...“ მაშინ ყოვლად — წმიდამან მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თჳსსა და გამოისახა ხატი ესეეითარი... რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველ არს... აწყურისა ღვთისმშობლისა და მისცა იგი მოციჟულსა ანდრიას და რჟუა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილსა უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ, სადაცა ხვიდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებასა მაგას, და დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხუედრებულსა“.

(„ქართლის ცხოვრება“ ტ. I, გვ. 38).



სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქ ილია II-ის მოგზაურობა მესხეთ—ჯავახეთში

1988 წლის ივლისში მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათალიკოს — პატრიარქმა ილია II-მ, სასულიერო პირებთან და საერო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად იმოგზაურა ძველ მესხეთში, ყოვლადწმიდა მარიამის წილხვედრი ქვეყნის იმ მხარეში, საიდანაც საქართველოში შემოვიდა ქრისტიანობა.

დიდებული მესხეთი, ადრიდანვე აღიარებული სავანე ქართველი ერის სულის უკვდავებისა, თურქთა ბატონობის შედეგად დაიქცა და განადგურდა. როგორც წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) ბრძანებდა: „უწყალო ბედის ბრუნვათა“ წყალობით. „იმოდენა ღვაწლი მამა — პაპათა საქართველოს ნაწილების შეერთებისათვის, იმოდენა სისხლი, ვახტანგ გორგასლანიდან დავით აღმაშენებლამდე დაღვრილი ქართველთა ერთობისათვის და დასასრულ თვით ამ ერთობის დამკვიდრება ჩვენის სასიქადულო თამარ მეფისაგან, ეს დიადი შრომა და ღვაწლი ისტორიული გაუქმდა და გაუქარწყლდა საქართველოს ერსა“.

ერთ დროს აყვავებული ქართული მხარე, მესხეთი დამპყრობლებმა მიიტაცეს, მიწასთან გაასწორეს ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები. წარიტაცეს ძვირფასი განძეულობანი, ცეცხლს მისცეს უძველესი და უძვირფასესი ქრისტიანული ხელნაწერი წიგნები, სიგელ—გუჯარნი... მაჰმადის რჯულზე გადაიყვანეს ქრისტიანობის ეს უძველესი კერა, დევნა დაუწყეს ყველას და ყველაფერს, რასაც ქართული ერქვა და ერთ დროს საქართველოს ყველა კუთხის გამაერთიანებელი მოწინავე სადროშო თვითონ დარჩა განცალკევებული და ჩამოშორებული მშობლიურ ქვეყანას.

მხოლოდ 1828—1829 წლებში შესძლო რუსეთ-საქართველოს გაერთიანებულმა მხედრობამ სამშობლოს ერთი ნაწილის — დღევანდელი სამცხე—ჯავახეთის გამოხსნა. გამაჰმადიანებულ ქართველთა დიდი ნაწილი თურქეთში გადაიხვეწა. მათ ნასახლარზე რუსეთის მთავრობამ თურქეთიდან სომხები და შემდეგ, რუსეთიდან „დუხაბორები“ ჩამოასახლა.

ასე „აჭრელდა“ ერთ დროს მხოლოდ ქართველებით დასახლებული მესხეთი. სამწუხაროა, რომ მესხეთიდან ქართველთა მიგრაცია დღესაც ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხად რჩება. თითქმის დაცარიელდა ის სოფლები, რომელთა მცხოვრებლებმა ვაი—ვაგლახით გაუძლეს მრავალ უბედურებას. ერთ-ერთ სასიკეთო, ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ამ მხარეში ქართველთა ჩასახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან...

დღევანდელი მესხეთის მდგომარეობა უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ სამცხე—საათაბაგოში არსებობდა 13 საეპისკოპოსო.

ამა წლის 8 ივლისს, დილის 10 საათზე სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქი ილია II სამცხე-ჯავახეთში გაემგზავრა. მას თან ახლდნენ წალკელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი) და სასულიერო პირნი. ასევე საპატრიარქოს მოსამსახურეთა პერსონალი. მიწვეულთა შორის იყვნენ პროფესორი შოთა ლომსაძე და საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი ვახტანგ გურგენიძე.

მოგზაურობაში მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის მოადგილე საქართველოს რესპუბლიკაში, მწერალი ილია რურუა, საბჭოს თანამშრომლის, ნუგზარ ბარდაველიძის თანხლებით.

ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე) შემოგვხვდა თავისი სამწყსოს საზღვარზე, „ყვიბის-კორტანეთს შუა“.

ბორჯომის ხეობა XIX საუკუნემდე ავალიშვილების კუთვნილება იყო. 1871 წელს იგი გამოცხადდა კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვის საუფლისწულო მამულად. საუკუნის ბოლოს რომანოვებმა ლიკანში ააგეს სასახლე და სხვა დამხმარე შენობები.

ოსმალების მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ, განსაკუთრებით XVIII საუკუნის ბოლოსათვის, ეს ხეობა თითქმის გაუკაცრიელდა... მისი გამოცოცხლება დაიწყო

1829 წელს სამცხე—საათაბაგოდან თურქი დამპყრობლების განდევნის შემდეგ, ძირითადად იმერეთიდან. მესხეთიდან გადასახლებულთა ხარჯზე რუსეთის ხელისუფლებმა ასევე ჩამოასახლეს უკრაინელი, ბერძენი, სომეხი მოახალშენეები.

ამ მხარეში შემორჩენილია მრავალი ისტორიული ძეგლი — ეკლესიები, ციხეები, ნასოფლარები, ნასახლარები... განსაკუთრებით აღსანიშნავია: დვირის ეკლესია (IX), ლიკანის მონასტერი (VIII—IX ს.ს.), ქვაბისხევის ეკლესია, სადაც დედასთან ერთად გამოსახულ ახალგაზრდა დიდებულს ისტორიკოსები შოთა რუსთაველად მიიჩნევენ.

ბორჯომში ჩამოსული სტუმრები ლიკანის სასახლეში მიიღეს საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა თენგიზ პეტრიაშვილმა, რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ნუგზარ შაყულაშვილმა და სხვა ხელმძღვანელებმა. გაიმართა საუბარი და აზრთა გაცვლა — გამოცვლა იმ საკითხების ირგვლივ, რომელთა გადაჭრის აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა მთელს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნების პროცესმა და რომელიც გულისხმობს სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპების, მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნილებების განუხრელად დაცვის საჭიროებას.

კათალიკოს — პატრიარქმა ილიაპარაკა მოგზაურობის მიზანზე, იმ როლზე, რომელიც ქართულმა ეკლესიამ შეასრულა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში, მის დანიშნულებაზე თანამედროვე ცხოვრების პირობებში.

— **თქვენცა და ჩვენც,** — განაცხადა პატრიარქმა, — **საქმიანობაში გვაქვს მრავალი შეხების წერტილი. თქვენთვის და ჩვენთვის მთავარია საშშობლოს უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა, ხალხის საარსებო ინტერესების, ხორციელი და სულიერი მოთხოვნილებების უზრუნველყოფა. მადლობა ღმერთს, რომ ბოლო ეღება ეკლესიის როლისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნილებების იგნორირებას. ვფიქრობ, ჩვენს ეკლესიას განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მართებს საქართველოს უძველესი, ოდესღაც ფრიად დაწინაურებული ისტორიული მხარის მიმართ, რომელსაც წარსულში მრავალი ავბედობა დასტყდომია თავს და სადაც ეროვნული ენის, სულის კვლავ აღორძინება მხოლოდ ჩვენს დროს დაიწყო, ამ საშვილიშვილო საქმეში თავიანთი წვლილის შეტანა ევალებათ მორწმუნეებს. ამიტომ ჩვენი თხოვნა იქნება მთელი გულისყურით მოვეკიდოთ მათს სულიერ ინტერესებს... სადაც ამის რეალური საჭიროება შეიქმნება, დაუბრკოლებლად გავხსნათ ეკლესიები. ყველგან ისმოდეს ქართული სიტყვა და ლოცვა, გალობა...**

რა იყო ძველი მესხეთი, ამის საილუსტრაციოდ მარტო გრიგოლ ხანძთელის გახსენებაც კმარა.

— გრიგოლი იყო პოეტი, მწიგნობარი, მოაზროვნე, დიდი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტაო-კლარჯეთში სალიტერატურო სკოლას; მაშინდელ და შემდეგდროინდელ სასულიერო მოღვაწეთა მსგავსად, იგი მხარში ედგა მეფეს—მთავართ სამონასტრო მშენებლობაში. მისი საზრუნავიც იგივე იყო, რაც სამეფოსი — საქართველოს გაერთიანება. მესხეთთან არიან დაკავშირებულნი სერაპიონ და ბასილ ზარზმელები, გიორგი მერჩულე, ეფრემ და გიორგი მაწყვერელები, არსენი დიდი საფარელი — ქართლის კათალიკოსი, იოანე, გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელები (სამცხელი ხურციძეები), ზოსიმე კუმურდოელი, სტეფანე მტბევარი და კიდევ რამდენი. თვით კირიონ I კათალიკოსიც ჯავახეთიდან ბრძანდებოდა.

თურქ—ოსმალთა სამასწლიანმა ბატონობამ ამ მხარეს დიდი უბედურება დაატეხა თავს, თითქმის მიწასთან გაასწორა ქართული ეკლესია—მონასტრები, მოსპო ქრისტიანული სარწმუნოება.

მესხეთში აშენდა და ბრწყინავდა ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, როგორიც იყო: ანჩი, ბანა, იშხანი, წყაროსთავი, ოპიზა, ხანძთა, ზარზმა, პარხალი, შატბერდი, ტბეთი, ოშკი, ხახული, კუმურდო, წუნდა, ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბები... და სხვა. მერე რამდენი მემკვიდრეობა, სულიერი და მატერიალური კულტურის რაოდენი საგანძური. პოეტები, ლიტერატორები, მხატვარ-მოქანდაკენი, მეისტორიენი, სამართლისმცოდნენი, მუსიკოსები! ამიტომაც მიუთითებდა აკად. კ.კეკელიძე, რომ უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება, იქაა შექმნილი. (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 84, 97).



ბორჯომში

ლიკანი

— თუ რას წარმოადგენს დღევანდელი მესხეთი, ბრძანა პატრიარქმა, **ყველასათვის ნათელია. ჩვენს პერიოდშიც, გაუგებრობითა და წარსული კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით, რაც მტრებს გადაურჩა, ჩვენ გავანადგურეთ. ფაქტია, რომ დღევანდლამდე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ახალციხეში უკანასკნელ პერიოდში ეპარქიის აღდგენას, ამ უძველეს კულტურულ სამყაროში ერთი ეკლესიაც არ მოქმედებდა. როგორც იტყვიან, საქართველო — კი იქაა, სადაც ღმერთს ქართულ ენაზე ადიდებენ. ასე რომ, ჩვენ გვაქვს საერთო საზრუნავი: სამშობლოს ბედნიერება, ხალხის კეთილდღეობა. ამაში ეკლესიას ძალიან ბევრი შეუძლია. უპირველესად, საჭირო და ვაკმაყოფილოთ მთხოვნილებები და გავხსნათ ეკლესიები. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს უძველესი ეკლესიის ავტორიტეტს ჩრდილი ადგება მოქმედი ეკლესიების სიმცირის გამო. არ დაგიმალავთ, მეუხერხულება კიდეც საჯაროდ იმის თქმა, რომ ამჟამად საქართველოში მხოლოდ 60 მოქმედი ეკლესიაა, ე. ი. იმაზე ნაკლები, ვიდრე ძველად ერთ რომელიმე პატარა ეპარქიაში იყო. ეს მაშინ, როცა უკრაინის რესპუბლიკის, მარტო ლვოვისა და ჩერნოვიცის ოლქებში, მაგალითად, 1000-ზე მეტი ეკლესია მოქმედებს.**

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ჩვენს მრავალეროვან რესპუბლიკაში სხვადასხვა რელიგიური მიმართულებები მოქმედებენ და დედაეკლესიას არ უნდა დავუკარგოთ წამყვანი პოზიცია. თქვენთან ერთად ჩვენც გვაწუხებს მრავალი საზრუნავი; მაგალითად, მეტად დამფიქრებელია დემოგრაფიული ვითარება. ამ თვალსაზრისით მუსლიმანურ სამყაროსთან შედარებით ჯერჯერობით არაფერი გვაქვს სანუგეშო. იქ შობადობა რამდენიმეჯერ უფრო მეტია, ვიდრე ქრისტიანულ ხალხებთან. როგორც იცით, რუსთაველის საზოგადოებაში, რომლის პრეზიდიუმის წევრიც მე გახლავართ, დაისვა ქართველთა შორის შობადობის ამაღლების საკითხი. ამ მიზნით მრავალშვილიან ოჯახთა დასახმარებლად ჩვენთანაც, ეკლესიასთანაც უნდა ჩამოყალიბდეს ფონდი. ქართული ეკლესია დაეხმარება მრავალშვილიან ქართულ ოჯახებს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ბ-ნმა თენგიზ პეტრიაშვილმა, ბ-ნმა ილია რურუამ, აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ (რომელიც იმხანად ლიკანში ისვენებდა) და სხვებმა.

იმავე დღეს კათალიკოს-პატრიარქმა მოინახულა ბორჯომის ღვთისმშობლის ეკლესია. მის ამოქმედებას მოითხოვს მორწმუნეთა დიდი ჯგუფი. მისმა უწმიდესობამ შეასრულა „მცირე პარაკლისი“, რომელშიც მონაწილეობდნენ: აგარაკ-წალკელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი, ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი ანანია, სიონის პროტოპრესვიტერი გურამ შალამბერიძე, დეკანოზი ელგუჯა ლოსაბერიძე, დეკანოზი არჩილ ლაფერაშვილი, მღვდელი ელიზბარ ოდიშვილი, მღვდელი ვაჟა ბეწუნაიძე, მღვდელ—მონაზონი იობი აქიაშვილი, დიაკონი ამირან ამირანაშვილი, დიაკონი გიორგი ხუბაშვილი, მემატიანე ვლადიმერ საბიაშვილი და სხვა.

ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე იყო ორი საინტერესო გაჩერება. სოფელ საყუნეთის კეთილნაშენი ეკლესიის წინა მოედანი ხალხით აღმოჩნდა გაჭედილი. მორწმუნენი სიყვარულით შემოეხვივნენ პატრიარქს. გაიმართა გულთბილი საუბარი, რომელიც ეკლესიაში ხანმოკლე ლოცვით დასრულდა.

აწყური საქართველოს ერთი უძველესი ციხე-ქალაქი იყო. მატიანეში პირველად XI ს. იხსენიება. ეს იყო სამცხის საეკლესიო ცენტრი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, აქ VIII—IX საუკუნეებში არსებობდა რეზიდენცია მაწყვერელი ეპისკოპოსისა. მოცულობით იგი ყველაზე დიდი ტაძარია მთელ საქართველოში.

აწყურის საკათედრო ტაძრის ნანგრევებში თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტობა დაგვიხვდა. ისინი შეფობას უწევენ ამ უნიკალურ ძეგლს. ასუფთავებენ შიგნით, სწავლობენ ირგვლივ ჩაწოლილი კედლებისა და გუმბათის ნარჩენებს, სოფლის სხვადასხვა ადგილებიდან მოაქვთ სამეურნეო ნაგებობებისათვის თავის დროზე გამოყენებული „საადმშენებლო მასალა“. ბედის უკუღმართობით გათურქებული, ერისა და რწმენისაგან გამდგარი ადამიანები, დიდგვაროვანნი თუ უგვარონი, არაფრად დაგვიდევდნენ ისტორიული ტაძრის წმიდა ქვებს.

ტაძრის ნანგრევებში მცირე პარაკლისის შემდეგ კათალიკოს—პატრიარქი ესაუბრა სტუდენტებს, გადასცა საჩუქრები.

მთავარი გაჩერება ახალციხეში გვაქვს.

ცოტა რამ ისტორიიდან: ქალაქი ისტორიულ წყაროებში პირველად XII საუკუნეში იხსენიება, XIII—XVII საუკუნეებში იგი ჯაყელთა საგვარეულო ციხე—ქალაქია. 1578 წელს დაიპყრეს ოსმალებმა... ვახუშტის თქმით: „აწ მჯდომარებს ფაშა მუნ, რომელსა უწოდებენ საქართველოსანი კვალად ათაბაგად, ხოლო ოსმალნი ახალციხის ფაშად, და უპყრავს ამას სრულიადი სამცხე — საათაბაგო“ (გვ. 125). 1828 წელს ახალციხე რუსთა ჯარებმა აიღეს და 1929 წელს იგი დედა—სამშობლოს დაუბრუნდა.

ამჟამად ახალციხე რაიონის ცენტრშია. მისი სამხრეთის საზღვრები ემიჯნება თურქეთის ტერიტორიას. ახალციხის ყოფილი საფაშოს დიდი ნაწილი ჩვენი მეზობელი ქვეყნის საზღვრებშია მოქცეული...

ახალციხელებთან შეხვედრა რაბათში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე—ჯავახეთის მუზეუმის შენობაში მოხდა. მუზეუმის თანამშრომლებს გარდა აქ იყვნენ რაიონის ხელმძღვანელობა და ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები. შეკრებილთა სახელით ილია II-ს მიესალმა მუზეუმის სწავლული მდივანი კუკური თორდია:

— დღეს მესხეთი მასპინძლობს სრულიად საქართველოს კათალიკოს — პატრიარქს, დიდბუნებოვან და მსოფლიო მასშტაბით გამოჩენილ სასულიერო მოღვაწეს, ილია II-ს. საკმარისია კაცმა ახსენოს მარტო მისი სახელი, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, სული გაუნათლდეს. ამ დიდებული ადამიანის ცხოვრება სიყვარულისა და სათნოების განსახიერებაა. იგი თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობს ადამიანთა სულიერად ამაღლებას, ერთა შორის ძმობას, ქართული ენის ფრთაშესხმას, წინაპართა ნაკვალევისა და ნააზრევის წარმოჩინებას...

სიბრძნესთან ერთად, ბატონ ილია II-ს გააჩნია განუზომელი სიკეთე. იგი შვილი, სისხლი და ხორცია იმ ერისა, რომლის ენაზეც ქადაგებს ქრისტიანულ მოძღვრებას... დღეგრძელი იყოს იგი ჩვენი ხვალინდელი დღისათვის, ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის, ქრისტესმიერი სიყვარულის განმტკიცებისათვის.



ახალციხე. წმიდა მარინეს ეკლესიაში

ახალციხის მუზეუმთან

კათალიკოს — პატრიარქმა ილია II-მ სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა:

— მიხარია, რომ ვიმყოფები მესხეთის წმიდა მიწაზე, რომელიც ჩვენი რწმენისა და კულტურის საწყისია. საუკუნეების მანძილზე ერთი ტკივილი გვაწუხებდა ჩვენ. მტერი ცდილობდა აღმოეფხვრა ქრისტიანული სარწმუნოება, რადგან იცოდა, რწმენის დაკარგვით ერიც დაიკარგებოდა. დიდი მსხვერპლის მოუხედავად ქართველმა ერმა გაუძლო ამ განსაცდელს, რადგან არ დაივიწყა ქრისტეს რწმენა. ქართული ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხული ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ საშობლოს გადარჩენისათვის საჭიროა მამულის, ენის და რწმენის დაცვა. ამისათვის დღესაც უნდა ვიღვაწოთ, რომ გადარჩეს ჩვენი ერი. როცა ვლაპარაკობთ გარდაქმნაზე, უნდა ვიფიქროთ სულიერ გარდაქმნაზეც. ტექნიკურმა პროგრესმა კაცობრიობას ვერ გაუძლიერა სიყვარულისა და ბედნიერების გრძნობა. ეს იმიტომ, რომ სულიერი პროგრესი ჩამორჩა ტექნიკურს, ადამიანი მოუმზადებელი შეხვდა ამ მიღწევებს. როდესაც ადამიანის სულიერი და მატერიალური განვითარება შეწონასწორებულ ხასიათს მიიღებს, გაიზრდება ურთიერთგაგება და სიყვარულიც. ამიტომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ ადამიანის სულიერ გაკეთილშობილებაზე.

როცა ლაპარაკობენ ეკლესიაზე, რატომღაც ყოველთვის წარსულ დროს გულისხმობენ. ეს არაა სწორი. რა თქმა უნდა, წარსული არ უნდა დავივიწყოთ, მაგრამ მარტო წარსულით დაკმაყოფილებაც არ შეიძლება. ეს ყველაფერი წინაპრებმა გააკეთეს. ჩვენ რას ვაკეთებთ? როგორ წარმოიდგენდნენ ისინი, რომ დადგებოდა დრო, როცა მათ მიერ რწმენითა და სიყვარულით ნაშენებ ეკლესია — მონასტრებს ქართველი კაცი დანგრევდა და გააპარტახებდა...

ამჟამად ურთიერთგაგებაა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. შეიძლება კაცს დაუკეტო ტაძარი, მაგრამ რწმენას გულიდან ვერ ამოულებ. ეს დღეს ყველას ესმის. ამ პრობლემებზე, რომლებიც დგას ქვეყნის წინაშე, ერთობლივად უნდა ვფიქრობდეთ.

ამჟამად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იხსნება ეკლესიები. უკვე ამოქმედდა გელათის, შიომღვიმის, ანტონ მარტყოფელის, მარტვილის ტაძარ—მონასტრები. თბილისში გაიხსნა ანჩისხატი და მეტეხი. და, თუ საჭიროა ეკლესიების გახსნა, უპირველესად ეს აქ უნდა მოხდეს, ამ დალოცვილ მხარეში, ჩვენს მრავალტანჯულ მესხეთში.

შემდეგ გაიმართა მრავალმხრივი, საინტერესო საუბარი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივნმა შალვა შანიძემ, რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ოთარ ჯინჭველაძემ, ბ-ნმა ილია რურუამ, ბ-ნმა შოთა ლომსაძემ და სხვებმა.

სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ 50-იან წლებში ამ რეგიონიდან გასახლებული მესხების დაბრუნების საკითხით და ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის მდგომარეობით, მასპინძლები კი — სასულიერო აკადემიის გახსნასთან დაკავშირებული საკითხებით.

დამსწრეთაგან ერთმა პატრიარქს მიმართა თხოვნით — თუ შეიძლება ცოტა რამ გვიამბეთ თქვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებო.

ჩამოვარდა წუთიერი სიჩუმე, მაგრამ კათალიკოს—პატრიარქი საკუთარ თავზე ლაპარაკთან დაკავშირებული უხერხულობისაგან ისევ სტუმარმა გამოიყვანა, ბ—მა ილია რურუამ, როგორც სამსახურებრივი მოვალეობით საეკლესიო ცხოვრების მოვლენებში ჩახედულმა პირმა, ილაპარაკა ქართული ეკლესიის მეთაურის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, მის გამორჩეულ როლზე მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლების საქმეში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.

შემდეგ საუბარში განსაკუთრებით გამოიკვეთა უცხოეთში არსებული ქართული სასულიერო კერების და კულტურულ ფასეულობათა ბედის საკითხი.

ილია II-მ გაიხსენა რომის პაპთან თავისი შეხვედრა, აღნიშნა, თუ რამდენად შეუწყო ხელი მასთან საუბარმა ვატიკანის არქივში დაცული ქართული ისტორიული დოკუმენტების მიკროფირზე გადაღებისა და მეცნიერთათვის მათი მისაწვდომობის საკითხის მოსაგვარებლად. ანალოგიური მუშაობა იქნა ჩატარებული საბერძნეთშიც — ათონის ივერონის სახელგანთქმულ ქართულ მონასტერში.

— ვცდილობთ, — თქვა კათალიკოს—პატრიარქმა — **სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერსაც პატრონი გავუჩინოთ. ამჟამად მას იქაური ქართველები ზაზაძეები პატრონობენ, რომლებთანაც მაქვს მიწერ-მოწერა. იქნებ მომავალში მივაღწიოთ იქ ქართველი მღვდლის გაშვებას.**

ბევრს ვფიქრობთ ჯვრის მონასტერზეც. ეს სავანე ამჟამად ბერძნების ხელშია. პირველ რიგში საჭიროა დავითანხმოთ, დავინტერესოთ ისინი, რომ დაგვიბრუნონ. ეს საკითხი ოფიციალურად დგას. ამასთან დაკავშირებით შევხვდი ისრაელის პრეზიდენტს, რელიგიის საქმეთა მინისტრს, იერუსალიმის პატრიარქს. ისრაელის მთავრობა ამას ვერ გადაწყვეტს. მას შეუძლია მხოლოდ ურჩიოს ჯვრის მონასტრის წინამძღვრებს. საჭიროა დიპლომატიური არხების გამონახვა საბერძნეთთან, რადგან იერუსალიმის საპატრიარქო ეკონომიურად მასზეა დამოკიდებული.

მუზეუმის დირექტორმა ციური ლაფაჩმა მის უწმიდესობა ილია II-ს გადასცა წერილი, რომელშიც გადმოცემულია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სურვილები.

საუბრის შემდეგ დავათვალიერეთ მუზეუმი, რამაც სტუმრებზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

საღამოს რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად დავესწარით თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობების მიერ გამართულ კონცერტს. დარბაზში შეკრებილნი და მსახიობები ფეხზე ადგომითა და ტაშით შეხვდნენ ქართული ეკლესიის მეთაურს.

კონცერტის დამთავრების შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობამ სტუმრების პატივსაცემად მოაწყო მიღება.

9 ივლისს, დილიდანვე, რაიონის ეკლესია—მონას-



ახალციხის თეატრში

ტრების დათვალიერებას შევუდექით. თავდაპირველად სოფელ სხვილისს ვეწვიეთ, სადაც მოვილოცეთ წმ. გიორგის პატარა ეკლესია. მისმა უწმიდესობამ აანთო სანთლები, თავის თანმხლებ პირებთან ერთად იგალობა წმ. დიდმოწამე გიორგის სავედრებელი და იქ შეკრებილ ხალხს ხატები დაურიგა.

შემდეგ მოვინახულეთ სოფელ ვალეს ღვთისმშობლის ეკლესია. შესრულდა მცირე პარაკლისი. გალობდა ახალციხის წმ. მარინეს ეკლესიის ვაჟთა გუნდი. პარაკლისის შემდეგ კათალიკოს—პატრიარქმა ილია II-მ სიტყვით მიმართა ხალხს:

მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები ამ წმიდა ადგილას, სადაც წინაპრები აღავლენდნენ ლოცვებს მადლიანს. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ წარსულზე, მომავალზე და ვხედავთ, რომ ქვეყნად სასწაულები ბევრია. ერთ-ერთი დიდი სასწაული ისაა, რომ ჩვენი ერი გადარჩა, საქართველო გადარჩა, ეს მიწა გადარჩა. მტერი მუდამ ცდილობდა წაერთმია ჩვენთვის სარწმუნოება, რადგან იცოდა, რომ ამაში იყო ქართველთა ძალა. ქართველმა კაცმა ისე შეისისხლხორცა და გაითავისა ქრისტეს სჯული, რომ როდესაც ამბობდნენ ქართველიაო, ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ქრისტიანიაო. ქრისტეს გზა ვიწრო და ეკლიანია, მაგრამ ეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა, ამიტომაც ეწამა ჩვენი ერი და გადარჩა კიდეც.

უზენაესი ჭეშმარიტება არის ღმერთი. სცანით ჭეშმარიტება და მან გაგათავისუფლოთ თქვენ. აქ იგულისხმება არა მარტო ქვეყნიური სიცოცხლე, არამედ ზეციურიც. ადამიანის სული უკვდავია, განურჩევლად იმისა, გწამთ თუ არა ის თქვენ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა განძს ვაგროვებთ, თუ მხოლოდ მატერიალურს, მაშინ სულიც მოკვდება და მუდმივ სატანჯველში იქნება. აუცილებელია სულიერი განძეულობის დაგროვება, რომლისთვისაც არაფერს იშურებდნენ ჩვენი წინაპრები. ისინი ყოველმხრივ ზრუნავდნენ სულზე. დღესაც უნდა ვიფიქროთ ამაზე. თუ ადამიანმა დაკარგა რწმენა, სიყვარული და სასოება, მაშინ მას გამოეცლება არსებობის საძირკველი. ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს. კითხვებს: რისთვის მოვედით ამ ქვეყნად? რა გავაკეთეთ სულისათვის, ერისათვის?—დადებითი პასუხი უნდა გავცეთ. ამისათვის კი საჭიროა რწმენა და სიყვარული ღვთისა. ვინც ზრუნავს სულისათვის, მასში არის სიყვარული, ლმობიერება, სარწმუნოება, ის ადგას ღვთის გზას და ნეტარია. ამას გისურვებთ თქვენ! ამან გადაარჩინა ჩვენი ერი და ჩვენც გადაგვარჩენს.

ჩემთან მოდიან ადამიანები და ითხოვენ ეკლესიის გახსნას. თქვენგანაც ყოფილან ამის თაობაზე და იმედი მაქვს, რომ ეს ეკლესია მალე ამოქმედდება. ღმერთმა ინებოს თქვენი და საქართველოს სიცოცხლე.

აქვე, სოფელ ვალეში კათოლიკური ეკლესიაც მოილოცა ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელმა. ღვთისმშობლის სახელობის ეს ეკლესია და მისი ეზო ხალხით იყო სავსე. მისმა უწმიდესობამ თავის სიტყვაში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სრული ურთიერთგაგების მნიშვნელობას მართლმადიდებელ და კათოლიკე მორწმუნეებს შორის:

— ჩვენ ყველანი ერთნი ვართ. გვწამს ერთი მამა,



ეკლესიის ნანგრევი

ახალციხის რაიონი



აწყურში

აწყურის ციხე

ძე და სული წმიდა. თქვენში არ უნდა იყოს განყოფა. როცა ლოცვა აქ არის, აქ უნდა იყოთ, როცა იქ, მართლმორწმუნე ეკლესიაში, იქ უნდა იყოთ და ილოცოთ. რამდენიმე წლის წინ რომში შევხვდი რომის პაპს, იოანე — პავლე II-ს და ჩვენ შევთანხმდით, რომ ერთმანეთისათვის ვილოცებდით, და თუ ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისათვის ლოცვა, თქვენც უნდა შეგეძლოთ. თქვენ ყველანი ქართველები ხართ და ქრისტიანები. ყოველთვის, ჭირშიაც და ლხინშიც ერთად უნდა ვიყოთ. ღმერთმა დაგლოცოთ. იცით, ღვთისმშობელი მარიამი მსოფლიოს დედაა, ის მუდამ დედამიწაზეა და გაჭირვებულებს ეხმარება. ყოვლადწმიდა მარიამი ყველას მფარველია, მაგრამ განსაკუთრებით საქართველოსი, რადგან საქართველო მისი წილხვედრია. როდესაც მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის, სად უნდა ექადაგა ქრისტიანობა, ღვთისმშობელს ერგო საქართველო და იმ დღიდან ის არის ჩვენი ერის განსაკუთრებული მფარველი და მეოხი ჩვენთვის უფლის მიმართ. ამიტომ ვერ გატეხა მტერმა ჩვენი ქვეყანა. მისი წმიდა ლოცვით ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

მორწმუნეებმა მადლობა გადაუხადეს უწმიდესს დალოცვისათვის და შესთხოვეს: მღვდელი გვინდა, რომ გვყავდეს და თუ შეიძლება, დაგვეხმარეთო.

— ალბათ იცით, რომ საქართველოში კათოლიკე მღვდლები კარგა ხანია აღარ არიან. მათი მოშზადება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხდება და მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული... მე შემიძლია გამოგიგზავნოთ ისეთი მღვდელი, რომელიც თანაბარი სიყვარულით ილოცებს თქვენთან ერთად, როგორც მართლმადიდებლურ, ასევე კათოლიკურ ტაძარში — იყო პასუხი.

სანამ სხვა ეკლესიებს ვეწვეოდით, მასპინძლებმა მიგვიყვანეს საზღვრისპირა ზოლთან. გორაკიდან გავყურებდით სოფლებს, რომლებსაც დღესაც ქართული სახელები შერჩენიათ.

შემდეგ ვეწვიეთ სოფელ ანდრიაწმიდას, სადაც ორი ეკლესიაა. მოვილოცეთ და დავათვალიერეთ ანდრიაწმიდის ეკლესია. ერთმა მოხუცმა კაცმა გვითხრა, ადგილობრივი გადმოცემების თანახმად, ადრია მოციქული მცხეთამდე ვერ ჩასულა, აქ გარდაიცვალა და ამ ეკლესიაშია დაკრძალულიო. მისმა უწმიდესობამ უთხრა, კარგია, ასე რომ გწამთ, მაგრამ ეკლესიას, მის ეზოს და სასაფლაოს თქვენგან მეტი ყურადღება და მზრუნველობა ეკუთვნისო...

ახალციხის რაიონი. ს ა ფ ა რ ა



ახალციხის რაიონი
სოფ. ანდრიაწმიდის ეკლესია

ს ა ფ ა რ ა!

ეს სამონასტრო კომპლექსი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლთაგანია. იგი საყურადღებოა თავისი მდიდარი არქიტექტურული ფორმით, კედლის მხატვრობითა და ისტორიული წარწერებით.

წმ. საბას სახელობის მთავარი ტაძარი აუგია ხუროთმოძღვარ ფარეზის ძეს. ეკლესიის დასავლეთის კარიბჭის სარკმლის წარწერა გვაუწყებს: „სრულ იქმნა საყდარი ესე საძირკველითვე ყოვლითა ფერითა ხელითა ფარეზისა ძითა, შეუნდენენ ღმერთმან“. საინტერესოა თვით წმ. საბას ფრესკა, რომელიც მოთავსებულია ჯაყელების წინ საგანგებოდ დახატულ ჩარჩოში (ჯაყელები მისკენ არიან სავედრებლად მიმართულნი).

სამთავროს მფლობელს, ბექას, რომლის სურათიც წმ. საბას ტაძრის კედელზეა, მისი თანამედროვე მემატიანე ასე ახასიათებს: „ხოლო იყო ბექა ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, თმითა და თვალითა გრემან და შვენიერ, ბეჭითა და მკერდითა სრულ, ძალითა ომსა შინა მხნედ მბრძოლი, ცხენთა ზედა მხნე და მოისარ ნადირთა ხელოვანი, გონებითა ფრთხილ, მაშენებელი ქვეყანათა ეკლესიათა და მონასტერთა“.

ახალციხე ჯაყელთა სამთავროს ცენტრი იყო, საფარა კი მათი რეზიდენცია და საგვარეულო სამალავი.

XVI საუკუნის დასასრულიდან, გათურქების მოძალებასთან ერთად, დაიწყო საფარის დაცარიელებაც. მონასტრიდან, ისე როგორც მესხეთის სხვა ადგილებიდან, საქართველოს შიდა რაიონებში გადატანილი იქნა ისტორიული ხატები და სხვა განძეულობა. უმთავრესი ხატი — წმ. საბა იმერეთს წაუღიათ და ჩხარის ეკლესიაში დაუსვენებიათ. ნაწილი განძისა ქართლში, სოფ. არადეთში იქნა გადატანილი.

საფარა გამოცოცხლებას მხოლოდ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან იწყებს. აქ რამდენიმე ქართველი ბერი დამკვიდრდა, ხოლო 1893 წელს დაარსდა რუსული მონასტერი, რომელიც მოქმედებდა საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე.

სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქმა ილია II-საფარაში ყოფნისას წმ. საბას ტაძარში აღასრულა მცირე პარაკლისი. გალობდა ახალციხის წმ. მარინეს ეკლესიის გუნდი.

ტაძრიდან გამოსულებმა შევისვენეთ მონასტრის ეზოში, წყაროსთან. იმხანად იქ საზაფხულო ბანაკად იმყოფებოდნენ ახალციხის I საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც დიდი ყურადღებით გვისმენდნენ.

სადამოს წმ. მარინეს ეკლესიაში მწუხრისა და ცისკრის ლოცვა შეასრულა სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქმა ილია II-მ. ლოცვას დიდძალი მრევლი დაესწრო. ეკლესიაცა და ეზოც ხალხით იყო სავსე... იქვე მისმა უწმიდესობამ ერთგული სამსახურისათვის ოქროს ჯვრითა და ენქერის ტარების უფლებით დააჯილდოვა ამ ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი სტეფანე ნადირაძე.

10 ივლისს, გიორგი მთაწმიდელის ხსენების დღეს, ადიგენის რაიონის სოფელ უდეს მიძინების ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქმა ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებით შეასრულა საღმრთო სადღესასწაულო ლიტურგია. მთელი სოფელი ფეხზე იდგა. ტაძარი, ეზო, მისი შემოგარენი ხალხით იყო სავსე. ეს არცაა გასაკვირი... წირვის დასაწყისში მისმა უწმიდესობა ილია II-მ თქვა:

— დღეს მეტად მნიშვნელოვანი და ისტორიული დღეა. ამ წმიდა ტაძარში სრულდება საზეიმო წირვა ერის, ეკლესიისა და ქვეყნის მშვიდობისათვის. საჭიროა კიდევ ერთხელ ვიფიქროთ, ვინ ვიყავით, ვინ ვართ და ვინ ვიქნებით. იმისათვის, რომ ამ რთულ ეპოქაში ბოლომდე შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული სახე და მეობა, საჭიროა მთელი ქართველობის სულიერი გაერთიანება, რომ ადგილი არ ჰქონდეს კუთხურ განწყობილებებს, ჩვენი საერთო წარმომავლობის ძირების შესუსტებას, რასაც ჩვენი ისტორიული მტრები გულმოდგინედ ცდილობდნენ.

როცა თურქეთში გახლდით, ჩემთან მოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც შეუბნებოდნენ — ჩვენი მამა—პაპანი ქართველები იყვნენო, როცა ჩავეძიებოდი, თქვენ ვინა ხართ—მეთქი, მიპასუხებდნენ — თურქებიო, ე.ი. მამა—პაპათა რწმენის დაკარგვას მოჰყვა ეროვნული შეგნების ჯერ შესუსტება, შემდეგ კი გაქრობა. უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანობა არის ჩვენი ეროვნული რწმენის ქვაკუთხედი, რომელიც საუკუნეების მანძილზე აერთიანებდა და ადუღაბებდა ჩვენს ერს. ამიტომაც მას თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც ჰაერი და საჭმელ—სასმელია აუცილებელი ადამიანისათვის, ასევე აუცილებელია მისთვის რწმენაც, სულიერი საზრდო. თუ მას რწმენას გამოვაცლით, ის მხეცზე უარესი იქნება. შევთხოვოთ უფალს ღვთივკურთხეული რწმენა, სიყვარული და სასოება აღადგინოს ჩვენში. თქვენს მხარეში ხშირად კამათობენ, რომ მე კათოლიკე ვარ, შენ მართლმადიდებელი და ამიტომ სხვანი ვართო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ერთნი ვართ და გვწამს სამება — მამა, ძე და სულიწმიდა. და თუ მაინც მოხდა რომსა და ბიზანტიას შორის განხეთქილება XI საუკუნეში, ეს უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და არა დოგმატურ-ღვთისმეტყველურს. თანაც, ამ განხეთქილების მიუხედავად, არ მომხდარა განხეთქილება რომსა და საქართველოს შორის.

პატრიარქმა ოქროს ჯვრით დააჯილდოვა უდეს განახლებული ტაძრის მოძღვარი თევდორე ამბროლაძე, რომელმაც უკვე საკმაო მუშაობა გასწია მართლმადიდებელი და კათოლიკე მორწმუნე მრევლის დაახლოებისათვის.

ტაძრის წინამძღვარმა მრევლის სახელით მის უწმიდესობასა და უნეტარესობას მიართვა სატრაპეზო ჯვარი.

ილია II შეხვდა პარტიის ადიგენის რაიკომის პირველ მდივანს — ტრისტან პეტაშვილს, რაიაღმასკომის თავმჯდომარეს — გოდერძი ინასარიძეს და რაიონის სხვა ხელმძღვანელებს. საუბარში, რომელიც შეეხო რეგიონში არსებულ რელიგიურ ვითარებას, ეკლესიისა და მორწმუნეთა როლს ქვეყნის ცხოვრებაში, მიმდინარე გარდაქმნებსა და ფართო დემოკრატიზაციის პროცესების მსვლელობაში, მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ბ-ნმა ი. რურუამ, ბ-ნმა შ. ლომსაძემ და სხვებმა.

ადიგენის რაიონი. სოფელი უდე

საუბრის დამთავრების შემდეგ კათალიკოს—პატრიარქმა ინტერვიუ მისცა ახალციხის რაიონული გაზეთის-„განახლებული მესხეთის“ კორესპონდენტს.

დასასრულ საპატიო სტუმრები თავიანთ შესანიშნავ მრავალშვილიან ოჯახში მიიწვიეს ნინო და ოთარ ავროშაშვილებმა...

ზ ა რ ზ მ ა...

„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა და წმიდისა ღვთისმშობლისა მეოხებითა, მე, ივანე ძემან სულისამან, აღვაშენე წმიდაჲ ეგუტერი მას ჟამს ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი. ადიდენ ღმერთმან, უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგვავლინა. სკლიაროსი გავაქციეთ“.

ზარზმის მონასტრის X საუკუნის ანსამბლი მრავალმხრივ საინტერესოა, როგორც შესანიშნავი საგანმანათლებლო კერა მესხეთისა. ამ სავანეს საფუძველი ჩაუყარა სერაპიონ ზარზმელმა, რომელიც აღწერა ბასილ ზარზმელმა აგიოგრაფიულ თხზულებაში. სერაპიონს VI—VII საუკუნის სასულიერო მოღვაწედ თვლიან (ე.ი. ზარზმის სავანე გაცილებით ადრე ყოფილა დაარსებული).

ზარზმის ტაძარში გამოხატულნი არიან სამცხის ათაბაგები: სარგის I, ძე—ბექა და მისი შვილები: სარგის II და ყუარყუარე, — ის პირნი, რომელნიც საფარის ფრესკებზეც გვხვდებიან. აქ ისინი წარმოდგენილნი არიან, როგორც ქვეყნის მფლობელნი და არა ქტიტორნი.

XVI საუკუნის ბოლოს, ზარზმაც დაცარიელებული და იავარქმნილია. იქ არსებული ქონება გურიაში გადაუხიზნავთ, სოფ შემოქმედის საგანგებოდ აშენებულ ეკლესიაში (რომელსაც აგრეთვე ზარზმა ეწოდა) დაუბინავებიათ. რევოლუციის შემდეგ გადარჩენილი განძი (ხატები, ჯვრები, საეკლესიო ნივთები) ხელოვნების მუზეუმს გადაეცა.

ისიც აღსანიშნავია, რომ მიტოვებული მონასტერი XVIII—XIX საუკუნეებში კიდევ უფრო განადგურდა. მხოლოდ გასული საუკუნის მიწურულში, როცა ზარზმა ინახულა აბასთუმანში სამკურნალოდ ჩამოსულმა რუსეთის ტახტის მემკვიდრემ, გიორგიმ (ნიკოლოზის ძმამ), მისი სურვილის შესაბამისად ტაძარი რუსმა მხატვრებმა „განაახლეს“, რასაც გვიდასტურებს დასავლეთის ფასადის 1905 წლის რუსული წარწერა (უფრო ვრცლად, იხ. ვ. ბერიძის სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1957 წ. გვ. 55—64).

როდესაც სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი ზარზმის ტაძარში შებრძანდა, ხალხს ასე მიმართა:

„დღეს გიორგი მთაწმიდელის დღეა, მისი ლოცვა გეწეოდეთ თქვენ. საქართველო ჭეშმარიტად ქრისტიანული ქვეყანაა... შემთხვევითი არ არის ის, რომ კვართი უფლისა დაიკრძალა მცხეთაში და იმ წმიდა ადგილზე ქართველმა ადამიანმა ააშენა დიდებული სვეტიცხოველი. არც ის იყო შემთხვევითი, რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ამიტომაც გამოეშურნენ აქეთკენ ანდრია და სიმონ მოციქულები. შემთხვევითი არც მოციქულთა სწორის—წმ. ნინოს ჩამობრძანება ყოფილა შორეული ქვეყნიდან. უფალს ყველაფერი ემეტება ჩვენთვის, ჩვენგან კი არაფერი არ სჭირდება, გარდა გულისა, სიყვარულისა. წინასწარმეტყველი დავით მეფე თავის ერთ-ერთ ლოცვაში ამბობდა: „გული წმიდა დაჰბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“. მან კარგად უწყოდა, რომ „გული წმიდა“ ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის. ბედნიერია ის, რომელსაც მოსიყვარულე გული აქვს. არის ადამიანი, რომელსაც ნათესავიც კი არ ეკარება, რადგან ასეთი კაცის გულში სიცივეა დასადგურებული,



ადიგენის რაიონი. ზ ა რ ზ მ ა

მაგრამ არიან გულისხმიერნი, გულწრფელნი, გულმოდგინენი, რომელთა გულში სუფევს მოყვასთა სიყვარული, ღვთისნიერება.

ღმერთს იმდენად ჩვენი ლოცვა და მარხვა კი არ სჭირდება, რამდენადაც ჩვენი გული, რომელიც არის ტაძარი სულისა წმიდისა. ღმერთს უნდა, რომ შენთან იყოს და შენ ღმერთთან იყო. ღმერთმა მოგცეთ სარწმუნოება და ისეთი სიყვარული, როგორიც წინაპრებს ჰქონდათ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: როდესაც ჯალალედინმა თბილისი აიღო, სიონის ტაძრიდან გამოატანინა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები და უბრძანა ქართველებს, ზედ გაევლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილით დაემუქრა მათ... მარტო იმ დღეს 100 ათასი ქართველი დაიღუპა. მათ არ იკადრეს წმიდა ხატების შეურაცხყოფა. ყველა ისინი ქართულმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. აი, როგორი რწმენა და სიყვარული გააჩნდათ. აი, რამ გადაარჩინა ჩვენი ერი. ამას დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ზეციური მხედრიონი საქართველოსი დღესაც გვიცავს ჩვენ. მათი მსგავსნი უნდა ვიყოთ, რომ ვიგრძნოთ ჭეშმარიტი სიყვარული და კეთილდღეობით ვიცხოვროთ. ღმერთმა დალოცოს ჩვენი საყვარელი საქართველო!

პარაკლისის შემდეგ მისმა უწმიდესობამ ხალხს აუწყა ზარზმის ტაძარი მალე გაიხსნებაო.

ზარზმიდან წამოსულებმა გზად სოფ. არალში მოვინახულეთ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. მისმა უწმიდესობამ მცირე ლოცვის აღსრულების შემდეგ მიმართა შეკრებილ ხალხს, მოუწოდა მათ მართლმადიდებელ თანამოძმეებთან სრული ურთიერთგაგებისაკენ. მით უფრო, რომ ქართველი კათოლიკენიც მე—17 საუკუნემდე მართლმადიდებლები იყვნენ და პეტრეს ტახტს შეეფარნენ მხოლოდ თავის გადასარჩენად.

რა დასამალია და, ხშირად თქვენი ხალხისაგან მესმის, ფრანგები ვართო. ეს არ არის სწორი. აბა, როგორი ფრანგები ხართ, როცა ქართველები ხართ. მინდა კვლავაც გავიმეორო, რომ განხეთქილება რომსა და კონსტანტინოპოლს შორის მოხდა პოლიტიკური მიზეზებით და არა რწმენაში განსხვავების გამო. მე ვყოფილვარ რომში, სადაც თაყვანი ვეცი მოციქულების, პეტრესა და პავლეს წმიდა ნაწილებს, სადაც ერთად ვლოცულობდით ჩვენ და კათოლიკენი. თქვენს შორისაც უნდა იყოს სიყვარული და ერთად ილოცოთ. ამ სიყვარულმა მომიყვანა მე თქვენთან. ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და მთლად საქართველო...

საღამოს მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II თანმხლებ პირებთან ერთად ახალციხის თეატრში დაესწრო ადგილობრივი დასის მიერ დადგმულ სპექტაკლს „კაცია—ადამიანი?!“ სპექტაკლს, აგრეთვე, დაესწრნენ პარტიის ახალციხისა და ადიგენის რაიკომის პირველი მდივნები — შალვა შანიძე და ტრისტან პეტაშვილი, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

გვიან ღამით სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ სწვეოდნენ აბასთუმნის ობსერვატორიასაც და ეხილათ ღამის ცა.

ძველად ძველ სამცხეს „ოძრხის ქვეყანასაც“ უწოდებდნენ. ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი ოძრხეს საქართველოში დაარსებულ პირველ ციხე-ქალაქთა შორის მოიხსენიებს. მას ვახტანგ გორგასალისა და თამარ მეფის დროის ისტორიკოსებიც ემოწმებიან.

როცა თამარი ჯავახეთში გავლით ქართველთა ლაშქარს ბასიანისკენ აცილებდა რუქნადინის წინააღმდეგ, იგი ვარძიას მიბრძანდა, შეევედრა ღმერთს. აქვე სამეფო დროშა გადასცა ჯარს და ლოცვა—ვედრებით დასძრა საბრძოლველად. ომში ქართველების გამარჯვების შემდგომ მოპოვებული დიდძალი საგანძურიდან თამარმა აღავსნა ყოველნი ეკლესიანი... საქართველოისნი, ქართველთა სალოცავები ელადაში, მთაწმიდაზე, მაკედონიაში, თრაკიაში, კონსტანტინოპოლში, შავ მთაზე, კვიპროსზე და სხვა...

ქვემო აბასთუმანში, „თამარის ციხის“ პირდაპირ, უგუმბათო ეკლესიაა, რომელსაც მიუხედავად საფუძვლიანი გადაკეთებისა, შემორჩენია ძველი ნაწილებიც— დიდი ჩუქურთმიანი ჯვარი, არშიებით შემკული სარკმლები და სხვა.

შუა აბასთუმანში არის ეკლესია, აშენებული რუსეთის მეფის მემკვიდრის — გიორგის სურვილით, ზარზმის ტაძრის მიბაძვით.

ობსერვატორიის თანამშრომლებმა დიდი სიყვარულით მიგვიღეს. დაგვათვალიერებინეს ობსერვატორია, შეგვახედეს ცის კამარაზე.

ადიგენის რაიონი. ვალეს ეკლესია

11 ივლისს ასპინძას გავემგზავრეთ. სოფელ რუსთავთან დაგვხვდნენ ასპინძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ჯუმბერ მარუაშვილი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. აქვე გამოვემშვიდობეთ ახალციხის რაიონის ხელმძღვანელობას და ასპინძელი მასპინძლების თანხლებით ს. რუსთავს მივაშურეთ. იქ მისი უწმიდესობა შეხვდა და გაესაუბრა სოფელში ჩასახლებულ აჭარლობას, ახალმოსახლენი ჩინებულად ეგუებიან აქაურობას, ხელისუფლების დახმარებით შესანიშნავი კარმიდამო, ბაღ-ვენახები გაუშენებიათ, კერები საიმედოდ გაუმართავთ. ამაზე მიუთითებს ეს ბავშვებით სავსე ისტორიული სოფელი.

რუსთაველთ შორის აღმოჩნდა 6 ვაჟიშვილის დედა. პატრიარქმა ინება ამ მრავალშვილიან ოჯახს ამიერიდან დახმარების სახით ყოველთვიურად გამოუყოს 100 მანეთი.

რაიონის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს პარტიის ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა თეიმურაზ მოსიაშვილმა და რაიაღმასკომის თავმჯდომარემ, ჯუმბერ მარუაშვილმა ილაპარაკეს რაიონის დღევანდელ ცხოვრებაზე, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების დარგებში არსებულ მიღწევებსა და ჯერაც გადასაჭრელ პრობლემებზე, დაახასიათეს მოსახლეობის ეკონომიკური სურათი და საიმედო ტენდენცია დემოგრაფიის თვალსაზრისით. თავისთავად მეტყველი ფაქტია, რომ რაიონში არსებული 24 სკოლა, ერთის გამოკლებით, ყველა ქართულია.

კათალიკოს—პატრიარქმა მადლობა გადაუხადა რაიონის ხელმძღვანელებს გულთბილი შეხვედრისა და საგულისხმო საუბრებისათვის. თავის მხრივ დასძინა, რომ ქართული ეკლესია ყოველმხრივ შეუწყობს ხელს რეგიონში მიმდინარე პროცესებს, შექმნას საგანგებო ფონდი მრავალშვილიანი ქართული ოჯახებისა და ახლადდაქორწინებულთა დასახმარებლად.

დავათვალიერეთ შოთა რუსთაველის მუზეუმი.

ვარძიისაკენ მიმავალ გზაზე, იქვე, ასპინძასთან, მოვილოცეთ ს. ხვილიშის X საუკუნის წმიდა გიორგისა და წუნდის შესანიშნავი ეკლესიები.

არსად, საქართველოს არცერთ კუთხეში, არ არსებობს წარსულის იმდენი ძეგლი, რამდენიც ასპინძის რაიონშია.

რაიონის ციხე—ქალაქთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ციხე-ქალაქი თმოგვი. იგი უმთავრესი ბურჯთაგანი იყო, კონტროლს უწევდა წინა აზიიდან მტკვრის ხეობაზე შემომავალ გზას.

და მაინც, სულ სხვაა ერუშეთის მთის კალთაზე გამოკვეთილი ციხე—ქალაქი ვარძია. იგი აშენდა და დამშვენდა თამარის დროს — „ოქროს ხანაში". ითვლებოდა სამეფო მონასტრად. მონღოლთა ბატონობის პერიოდში ვარძია დიდ როლს თამაშობს ქრისტიანობის გადარჩენის საქმეში.

იგი 1551 წელს სპარსელებმა იავარჰყვეს, ხოლო 1578 წელს ოსმალებმა დაიპყრეს და გააუკაცურეს...

უძველეს ქალაქთა შორის ყურადღებას იმსახურებს ქ. წუნდა. ძვ. წ. III საუკუნეში ქართლის მეფე ფარნავაზს აქ დაუარსებია წუნდის საერისთავო, რომლის მმართველობაში შედიოდა ჯავახეთი, კოლა, არტაანი. ამ ქალაქზე გადიოდა ბიზანტიიდან საქართველოში მიმავალი გზა. დღეისთვის შემორჩენილია XII—XIII საუკუნეების კეთილნაშენი ეკლესია. დასავლეთის კარზე ასომთავრული წარწერა გვაუწყებს, რომ იგი გურგენისძეთა საგვარეულო ეკლესია ყოფილა...

კოხტასთავის ისტორიული ციხე-სიმაგრე აგებულია ჯავახეთისა და სამცხის საზღვარზე. მის სახელთანაა

ასპინძაში



ასპინძის რაიონი.

პირველი წირვა ვარძიაში.

დაკავშირებული მონღოლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყებისათვის შეთქმულება 1245 წელს. სამუდამოდ შემონახულია ამ გმირთა სახელები: ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორდვა პანკელი, გამრეკელ თორელი, სარგის თმოგველი და სხვ. მათი დასჯის ისტორია და ცოტნე დადიანის თავდადება ყველასათვის ცნობილია.

ასპინძაში განლაგებული ციხეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე ხერთვისი, რომელიც მდებარეობს ორი მდინარის—მტკვრისა და ფარავნის შესართავთან. ამ ციხე-სიმაგრემ თავის დროზე დიდი როლი ითამაშა მესხეთის ისტორიული ავბედობის ჟამს...

ვარძიაში ჩასვლისა და მცირე შესვენების შემდეგ მოვინახულეთ კლდეში ნაკვეთი ქალაქის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, ილია II-მ სადამოს აღასრულა საზეიმო ლოცვა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის რაიონის ხელმძღვანელობა. პურის კურთხევისას ხალხს სანთლები დაურიგდა, მშვენიერი, ამაღლებული და ამაღელვებელი სანახაობა შეიქნა. რამდენი სიყვარული, შრომა და ჯაფა ჩაუქსოვიათ ჩვენს წინაპრებს ამ დიდებული ტაძრისა და საერთოდ, ამ ქალაქის მშენებლობაში; აქ, მართლაც, კაცის გონება შემოქმედს გატოლებია. თაყვანს ვცემთ, მუხლს ვიდრეკთ ამ წმიდა ადგილზე ჩვენი დიდებული წინაპრების პატივსაცემად.

12 ივლისს, პეტრე—პავლობა დღეს, კვლავ კლდეში ნაკვეთი ქალაქი, კვლავ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქმა ილია II-მ სამღვდელოებასთან ერთად აღასრულა სადღესასწაულო ლიტურგია, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო.

აქვე, მისმა უწმიდესობამ, მცხეთის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი ტარიელ სიკინჭალაშვილი აკურთხა დიაკვნად. წირვის დასასრულს კათალიკოს—პატრიარქმა ქადაგებით მიმართა ხალხს:

— სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი.

დავით წინასწარმეტყველს აქვს სიტყვები: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. მართლაც დიდია უფალი და მისი საქმეების ახსნა არავის შეუძლია. დღევანდელი წირვაც ამ წმიდა ტაძარში, მისი დიდი მადლი და წყალობაა. დღეანდელი დღე შევა არა მარტო ქართული ეკლესიის, არამედ ქართველი ერის ისტორიაშიც, როგორც განსაკუთრებული დღე. ამდენი ხნის დუმილის შემდეგ აქ კვლავ აღდგა ქართული წირვა-ლოცვა. უპირველესად, მინდა გავიხსენო ქტიტორნი ამ წმიდა ტაძრისა და მთელი სავანისა, დიდნი მეფენი; გიორგი III და თამარი. აგრეთვე, ვახსენო ერისთავთ-ერისთავი რატი სურამელი, რომლის ინიციატივითა და სახსრებით მოიხატა ეს ეკლესია.

საუკუნეების განმავლობაში ეს იყო უწმიდესი ადგილი ქართველთათვის. ქართველები ცდილობდნენ ღმერთთან დაახლოებას და ამიტომაც აშენებდნენ ტაძრებსა და ციხე-კოშკებს მაღალ ადგილებში, კლდეებზე. თამარ მეფემ სწორედ აქ შეავედრა ბასიანის ბრძოლაში მიმავალი ქართველთ ლაშქარი ვარძიის ღვთისმშობლის ხატს. ფეხშიშველი და თვალცრემლიანი ლოცულობდა იგი და უფალმა მისცა მას გამარჯვება. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი ღვთის ხელშია.

ჩვენმა ერმა ჯერ კიდევ I საუკუნეში აირჩია ქრისტეს გზა, ხოლო IV საუკუნეში წმიდა ნინოს ღვაწლით მთელი ერი გაქრისტიანდა. ქართველ ხალხს არასოდეს უღალატია მისთვის. სიყვარულით ქართველი ადამიანი ენათესავებოდა ქრისტეს. მოციქულმა იოანემ თქვა, ღმერთი არის სიყვარულიო და აი, ამით ენათესავებოდა ქართველი ღმერთს. სიყვარული ჩვენში დღესაც არის, ეს გვაძლევს იმედსა და რწმენას, რომ ჩვენი ერი მუდამ ქრისტიანი იქნება. ქრისტეს გზა ვიწრო და ეკლიანია, მაგრამ ეს არის ყველაზე საიმედო გზა გადარჩენისა. ჩვენზე უფრო დიდი ერები არსებობდნენ, მაგრამ აღარ არიან, საქართველო კი არის და მუდამ იქნება, რადგან ჩვენთან არს ღმერთი—ადამიანის სულის ამამაღლებელი ძალა. დღეს წარმოუდგენელია ის განსაცდელი, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ. ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებდა ამას. რომში პაპთან ჩემი შეხვედრისას მან აღნიშნა, რა მძიმე გეოგრაფიული მდებარეობა უჭირავს საქართველოს. იგი მუსულმანთა ალყაშია მოქცეულიო. ამიტომაც ადგა ჩვენი ერი მუდამ ენის, რწმენისა და მამულის სადარაჯოს. ამასვე ამბობდა წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), რომელიც წინაპრებისამბრ ენის, რწმენისა და მამულის დაცვისაკენ მოუწოდებდა ხალხს. ეს საკითხი დღესაც დგას, დღესაც აქტუალურია. ეს მარადიული მცნებებია ჩვენი. ეს არის სასწაული ღვთისა. მტერი მუდამ ცდილობდა საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრას, რადგან ამაში ხედავდა ქართველი ერის ძალას და ეს მართლაც ასეა. ჩემი თურქეთში ყოფნისას ბევრი მოდიოდა ჩემთან და მეუბნებოდა, რომ მამა—პაპა ქართველები მყავდა, მაგრამ მე თურქი ვარო. აი, რა გამოიწვია რწმენის დაკარგვამ. ჩვენი ეკლესია იყო და მუდამ იქნება ერის სამსახურში. მართლმადიდებელი სარწმუნოება იქნება ის შემაკავშირებელი ძალა, რომელიც გააერთიანებს ყველა ქართველს.

შემდეგ მისმა უწმიდესობამ ისაუბრა წმიდა პეტრესა და პავლეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ბოლოს კი თქვა: ღირსშესანიშნავია, რომ წმიდა მოციქულების ხსენების დღეს ამ წმიდა ტაძარში აღდგა წირვა—ლოცვა. გილოცავთ ამ ისტორიულ მოვლენას, რომლის მოწმენიც ხართ. წმიდა პეტრეს და პავლეს ლოცვით ღმერთმა აღადგინოს ჩვენი ერი, გააძლიეროს რწმენა და სიყვარული ჩვენში. ყოველმა წმიდანმა და აქ მოღვაწე წმიდა მამამ დაგლოცოთ და გაგაძლიეროთო...

შემდეგ შესრულდა მრავალჟამიერის მუხლები, რომლის დასასრულსაც კათალიკოს—პატრიარქმა კიდევ ერთხელ მიმართა ხალხს:

— გამახსენდა აწ განსვენებული ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზ VI, რომელიც საოცარი სულიერი ადამიანი იყო. ერთხელ ის სამხედრო გზით დარიალის ხეობაში წავიყვანეთ. მე იქ მას ვთხოვე, ალექსანდრიის



ასპინძის რაიონი. ვ ა ნ ი ს ქ ვ ა ბ ე ბ ი

ეკლესიის სახელით დაელოცა ჩვენი საზღვრები. მან დალოცა და თქვა, საქართველოს იმდენი წმიდანი ჰყავს, რომ მის საზღვრებს ვერავინ ვერ დაარღვევსო. ზეციური საქართველო მფარველობს ჩვენს მიწას, ერს. ღმერთმა მათი მფარველობა და შემწეობა არ მოგაკლოთ, დალოცვილნი იყავით.

ნაშუადღევს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მოინახულა ვანის ქვაბების მონასტერი. სხვებთან ერთად მას თან ახლდა ისტორიკოსი გივი გაფრინდაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს არქეოლოგიურ გათხრებს ვანის ქვაბებში.

მეტად საინტერესო და ხანგრძლივი ისტორიის მქონეა თექვსმეტსართულიანი ვანისქვაბთა უდაბნო—მონასტერი (VIII—XVI ს.ს.). 1186—1191 წლებში მონასტერი განუახლებია და ძვირფასი ხატებით შეუმკია იჩქით გურგენიძეს (აღმოჩენილია სააღმშენებლო წარწერა)... ისე, როგორც ვარძია, ვანის ქვაბებიც ჯერ სპარსელებმა, ხოლო შემდეგ ოსმალებმა აიღეს და დაარბიეს...

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მიიღეს კათალიკოს—პატრიარქი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა, რომლებიც ათ წელზე მეტია საშეფო დახმარებას უწევენ ვანის არქეოლოგიურ გათხრებს.

კათალიკოს—პატრიარქი მათ ესაუბრა ცხოვრების, ჩვენი ახალგაზრდობის მომავლის საჭირბოროტო საკითხებზე, უპასუხა მრავალ კითხვაზე.

ვანის ქვაბებიდან ზოგი ფეხით, ზოგიც მანქანით ჩამოვედით, შევიკრიბეთ თმოგვში და გავემგზავრეთ სოფლების — საროსა და ხიზაბავრისაკენ. გულდასაწყვეტი სურათი დაგვხვდა. ხიზაბავრის ეკლესიის გალავანიც და მის ირგვლივ თითქმის ყველა შენობა მინგრეულ—მონგრეული იყო. ერთ დროს სახელგანთქმული სოფლის ცენტრი ომგადახდილ, უპატრონოდ მიტოვებულ ადგილს მოგაგონებდათ. სამწუხაროა, რომ ხიზაბავრელებს ასე აუყრიათ გული აქაურობაზე, ასევე ითქმის მისასვლელ გზებზე...

სოფლის ეკლესიაში, ჩვეულებისამებრ, კათალიკოს—პატრიარქმა ჩაატარა მცირედი ლოცვა და ადგილობრივ მკვიდრთ გაესაუბრა, შემდგომ კი სოფელ საროზე გამოვლით დავბრუნდით ვარძიაში.

13 ივლისს დილით ახალქალაქში შევხვდით რაიკომის პირველ მდივანს მამიკონ ფედოიანს და რაიონს სხვა ხელმძღვანელ—მუშაკებს. მისმა უწმიდესობამ კმაყოფილება გამოთქვა, რომ იმყოფებოდა რაიონში, რომელიც უკვე საუკუნენახევარია წარმოადგენს ქართველებისა და სომხების კეთილმეზობლური თანაცხოვრების ნიმუშს.

საერთოდ ჩვენი ხალხების ისტორია ერთმანეთის მსგავსია, როცა სომხეთს უჭირდა, საქართველოსაც უჭირდა, როცა საქართველოს ულხინდა, სომხეთსაც ულხინდა. ამიტომაც მუდამ ენის, რწმენის და მამულის დასაცავად ვიბრძოდით. სწორედ სასწაულია, რომ ასეთ მძიმე პირობებში ჩვენი ხალხები ქმნიდნენ კულტურის უმაღლეს ნიმუშებს. როცა ვლაპარაკობთ ეკლესიაზე, ხშირად წარსულს ვგულისხმობთ. რა თქმა უნდა, წარსულის მნიშვნელობა დიდია, მაგრამ უნდა დღევანდელობაზე ვიფიქროთ, თუ რას ვაკეთებთ დღეს. ადამიანებზე ზრუნვა აუცილებელია... მატერიალურ—ტექნიკური ბუმის პირობებში კაცობრიობას რეალური საშიშროება შეექმნა. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ჩვენ ტექნიკურ პროგრესს სულიერად მოუმზადებელნი შევხვდით. ე.ი. ცალ-



ვანის ქვაბებში



ახალქალაქის რაიონი. კუმურდო



მხრივი განვითარება მოხდა. ამიტომ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ადამიანის სულზე...

მდიდარი და საინტერესო აღმოჩნდა ახალქალაქის ისტორიული მუზეუმი. იქ ყოფნისას გიდს კათალიკოსმა ერთი კითხვა დაუსვა: ქართული საღვთისმეტყველო წიგნები თუ გაქვთო? — არა, მხოლოდ სომხურიო, — იყო პასუხი. მუზეუმის ექსპონატები იწყება ბრინჯაოს ხანით და მთავრდება რევოლუციისა და მისი შემდგომი პერიოდის ამსახველი მასალებით. არის მეგობრობის კუთხეც. ჯავახეთში სომხების ჩამოსახლებამდე პერიოდის ისტორიაზე მეტი ყურადღების მიქცევა ურჩია მასპინძლებს ვახტანგ გურგენიძემ.

გავემგზავრეთ კუმურდოს ტაძრის დასათვალიერებლად. ჩვენს თვალს გუმბათმონგრეული, ნატანჯი, მაგრამ მაინც დიდებული ტაძარი წარმოუდგა. ყოფილ საკათედრო ტაძარში მისმა უწმიდესობამ ილია II-მ მცირე პარაკლისი აღასრულა. თავის სიტყვაში ქართული ეკლესიის მამამთავარმა თქვა: რადგან ამ სოფლის სომეხ მოსახლეობას დიდი ღვაწლი მიუძღვის კუმურდოს გადარჩენა—შენახვის საქმეში, მსურს სოფელს მივმართო: ეს არის განსაკუთრებული მნიშვნელობის უნიკალური ქართული შეგლი და ალბათ, მომავალში ჩვენი მთავრობა დიდ ყურადღებას მიაქცევს მას. თქვენგან ამ ტაძრის მოვლა—პატრონობა არის სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობის უტყუარი მაგალითი. ღმერთმა დაგლოცოთ და ინებოს ამ ტაძრის გახსნა—ამოქმედება...

მოვინახულეთ ქართული სოფლის, გოგაშენის წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც მოუვლელობისაგან ბოსელს დამსგავსებია. გვითხრეს — ეკლესიას დიდხანს საწყობად ვიყენებდითო. უპატრონობისაგან სახურავზე ბალახი აბიბინებულა.

მისმა უწმიდესობამ საჭიროდ ჩათვალა საყვედურის სიტყვებით მიემართა აქაური მრევლისათვის.

— აბა, რას ჰგავს ეს, რა დღეში ჩაგიგდიათ ეკლესია? თუ თქვენ ღმერთს დაივიწყებთ, ღმერთიც თქვენ დაგივიწყებთ. ამ პატარა ეკლესიის გაწმენდა — გაპატიოსნებას, სახურავზე ამოსული ბალახის ამოგდებას კიდევ რაღა სხვისი ხელის შემყურეობა უნდა. არ გეკადრებათ, ქართველებო!

უნდა იცოდეთ, მომდის წერილები, სადაც ითხოვენ ეკლესიების გახსნას. ამაზე თქვენც უნდა იფიქროთ; თუმცა, გატყობთ, რომ დიდად არაფერს ფიქრობთ. აქ იმყოფება ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი ანანია და მას მიმართეთ. ეკლესიამ შექმნა ფონდი და ეხმარება მრავალშვილიან ოჯახებს და როცა აქაც გაიხსნება ეკლესია, ალბათ მოხერხდება, რომ თქვენც დაგეხმაროთ, თქვენს სოფელში შეარჩიეთ კარგი ახალგაზრდა სემინარიაში სასწავლებლად; ჩვენ მას ვასწავლით და გამოვაგზავნით თქვენთან მღვდლად...

შემდეგ მოვინახულეთ სოფელ აფნიის წმიდა დიმიტრის სახ. ეკლესია. ეს პატარა ეკლესია კარგადაა შენახული, მაგრამ თვითონ სოფელი სავალალო მდგომარეობაშია. ამჟამად იქ სამი კომლიღა ცხოვრობს. კვდება სოფელი.

სოფელ კოთელიის წმ. კვირიკეს ქართულ ეკლესიაში მცირე პარაკლისის შესრულების შემდეგ კათალიკოს—პატრიარქმა მიმართა ხალხს:

— ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ ეს მიწა-წყალი უპირველესად თქვენი საპატრონოა, რადგან იგი თქვენი იყო და არის. თქვენ ცხოვრობთ იქ, სადაც დაიწყო ჩვენი ქრისტიანობა, სადაც დაიწყო ქართული კულტურა. თქვენი მხარის ეკლესია—მონასტრები მეტყველებენ ამის შესახებ. უნდა გახსოვდეთ ისიც, რომ რწმენა, რომელიც გადმოგცეს თქვენ წინაპრებმა, არასოდეს არ დაივიწყოთ. ამ რწმენამ გადაგარჩინათ თქვენ და მთლად საქართველო. ამიტომ, გარჯა, მოვლა—პატრონობა და თვალისჩინივით

ახალქალაქის რაიონი

გოგაშენი

გაფრთხილება სჭირდება ყველაფერს. ვინც ეს დაივიწყა და მიატოვა მამა—პაპის კერა, ნაანდერძევი სარწმუნოება, ის გადაგვარდა. რწმენის დაკარგვას ეროვნების დაკარგვა მოსდევს. ამ ეკლესიის სახურავზე ამოსული ბალახი იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ მაინცდამაინც არ იწუხებთ თავს მის მოვლაზე. ეს ძალიან ცუდია. განა ჩვენი წინაპრები ასე იქცეოდნენ? მართალია, თქვენ მუშაობთ და ცოტა თავისუფალი დრო გრჩებათ, მაგრამ მაინც უნდა გამონახოთ დრო. ეს აუცილებელია და უნდა გაწმინდოთ ეკლესია. ყოველივე ეს ცოდვად გედებათ. თბილისში არის სასულიერო სემინარია და ვხსნით აკადემიასაც. შეარჩიეთ ღირსეული ახალგაზრდა, ჩვენ მას ვასწავლით და სოფელს მოძღვარი ეყოლება. აქ უნდა იყოს ქართული წირვა—ლოცვა. ამით თქვენც დალოცვილი იქნებით და სოფელიც...

ტაძრის ეზოში მრავლად შეგროვილ სოფლის მკვიდრთ და მათ შვილებს ჩვეულებისამებრ კათალიკოსმა ჯვარ—ხატები დაურიგა, შემდეგ კი დაათვალიერა ადგილობრივი ქართული მიწური სახლი, სადაც მას და მის თანმხლებ პირებს შინ გამომცხვარი პურითა და ყველით გაუმასპინძლდნენ.

მოვინახულეთ სოფელ ბარალეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესიაც. — **ეს ეკლესია,** ბრძანა მისმა უწმიდესობამ, — **მეფე გიორგი—ლაშას მიერაა აშენებული. ჩვენს წინაპრებს ასეთი ტაძრების მშენებლობისას დიდი რწმენა და სიყვარული ამოძრავებდათ. ამიტომ იყო, რომ, მიუხედავად გამუდმებული ომებისა და გაჭირვებისა, მაინც აშენებდნენ. სახარებაში წერია, რომ ღმერთი სიყვარულია. თვით ქრისტე თავის მოწაფეებს ეუბნებოდა:თუ სიყვარული გექნებათ, გიცნობენ, რომ ჩვენი შვილები ხართ. სიყვარულზე ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ ის ბოლომდე მაინც ვერ აუხსნიათ. სიყვარული არის ღვთის ნაწილი. მარტო სმა—ჭამა არ არის ადამიანის ცხოვრების მიზანი. ეს დიდი სოფელია და თქვენ უნდა იცოდეთ, ვის უჭირს და ვის ულხინს. ვიცი, რომ სოფელში ქართველებიც და სომხებიც მეგობრულად ცხოვრობთ და ამ მეგობრობას გაფრთხილება უნდა. ორივენი ქრისტიანები ხართ. ომიანობის დროს ორჯონიკიძეში, ჩვენს მეზობლად ერთი სომხის ოჯახი ცხოვრობდა და ეს მეზობელი მოკლეს. ისეთი დრო იყო, რომ სასაფლაოზე წაღება არ ხერხდებოდა; სთხოვეს ბიძაშვილებს, მიცვალებული მათ ეზოში დაესაფლავებიათ, მაგრამ მათ უარი თქვეს, მამაჩემმა კი საკუთარი სახლის ეზო-ბაღში დაამარხინა. 20 დღე იყო ასე და მერე გადაასვენეს სასაფლაოზე. შრომა კარგია და აუცილებელია, მაგრამ ლოცვაც არ უნდა დაგავიწყდეთ. გუშინ, მაგალითად, იყო პეტრე—პავლობა და საზეიმო წირვა—ლოცვა ვარძიაში, მიძინების ტაძარში შევასრულეთ. იქ მალე ოფიციალურად გაიხსნება ეკლესია და შეგეძლებათ იქაც ილოცოთ. ღმერთი შეგეწევათ და ბედნიერები იქნებით. დაგლოცოთ ღმერთმა!**

მოვინახულეთ ქართული მართლმადიდებლური და სომხური კათოლიკური ტაძარ—ეკლესიები ხოსპიოში, ხულგუმოში, ტურცხში. პატრიარქის მიერ აქ წარმოთქმულ სიტყვებსა და ქადაგებებში ნათლად იყო გამოვლენილი ხალხთა სიყვარულის იდეა.

— საქართველო არის ისეთი ქვეყანა, სადაც მეგობრულად ცხოვრობენ ქართველი მართლმადიდებლები, კათოლიკები, სომეხი გრიგორიანები. სამივე სარწმუნოების აღმსარებლებს სწამთ ერთი მამა ღმერთი, ძე და სულიწმიდა, ე.ი. სამება. ეს ეკლესიები სამოციქულო ეკლესიებია. ადრე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, როცა რომში ვიყავით, შევხვდი პაპ იოანე-პავლე II-ს, რომელმაც მითხრა, რომ რომის ეკლესია პეტრე მოციქულის მიერაა დაარსებული, ხოლო ქართული ეკლესია ანდრია მოციქულის მიერ. ესენი კი, მოგეხსენებათ, ღვიძლი ძმები იყვნენ. ამიტომ ეს ძმური ურთიერთობა ჩვენს შორის მუდამ უნდა იყოს.

თქვენ უნდა გახსოვდეთ, თუ რა არის ეკლესია, ხატი და რატომაა ეს საჭირო. ეკლესია არის სახლი ღვთისა, სადაც ადამიანი ესაუბრება ღმერთს. ამბობენ, ლოცვა სამნაირიაო: პირველი, როცა კაცი ბაგით ლოცულობს, მაგრამ მისი გონება და გული სხვაგან არის წასული. ეს არის არასრულყოფილი ლოცვა და ღმერთი მას არ ისმენს. მეორე, როცა ენასთან ერთად ლოცულობს ადამიანის გონებაც. ასეთი ლოცვა პირველზე გაცილებით უკეთესია, მაგრამ ყველაზე ძვირფასი არის მესამე ლოცვა, როცა ლოცვაში გულიც მონაწილეობს. უნდა გახსოვდეთ, რომ გული ადამიანისა არის ღვთის სავანე. გული არის არა მარტო სხეულის, არამედ სულის მაცოცხლებელი. ის არის ხორცისა და სულის შუამავალი ღვთის წინაშე. დავით წინასწარმეტყველი თავის ერთ-ერთ ფსალმუნში ამბობს: „გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“. ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც გული წმიდა აქვს. როცა კაცს გული წმიდა აქვს, მაშინ სულიც წმიდაა. ქრისტე ბრძანებს: შეიყვარე მტერიო, ძნელია მტრის შეყვარება, მაგრამ როცა ვლოცულობთ — ღმერთო, ჩვენს მტრებსაც მიეც მშვიდობა, სიკეთე და სიყვარულიო, ამით ღმერთი ჩვენვე მოგვცემს ყოველივეს. წმიდა ბასილი დიდი ამბობს, ბოროტებას ვერ კურნავს ბოროტებაო, და ეს მართლაც ასეა. სიკეთე, რომელსაც სხვას გაუკეთებ, შენვე დაგიბრუნდება ასმაგად. მიხარია, რომ ტაძარში ამდენ ბავშვს ვხედავ. ეს კარგია. მშობლებს მოგმართავთ, რომ აღზარდოთ შვილები რწმენითა და სიყვარულით. ხშირად მოდიან ჩემთან მშობლები და მეუბნებიან, შვილები ყურადღებას არ გვაქცევენო. ზოგი მეუბნება, შვილს ყველაფერი გავუკეთე, რაც კი შეიძლება კაცმა ინატროს და მაინც არ დამიფასაო. ასეთებს მე ვეკითხები: ეკლესიებში თუ დაგყავდა და რწმენა თუ მიეცი — მეთქი? პასუხი ყოველთვის ერთია — არაო. ე.ი. მათ, თავიანთი გაგებით, შვილებს ყველაფერი მისცეს, მაგრამ დაავიწყდათ მთავარი, მამა—პაპის რწმენის მიცემა. ისინი იმეიან დათესილს. აი, რამდენად საჭიროა ბავშვის რწმენაში და სიყვარულში გაზრდა. ამას გისურვებთ ყველას. ამ რაიონში ცხოვრობენ მართლმადიდებლებიც, კათოლიკებიც და გრიგორიანებიც, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს თქვენს ძმობას. თქვენ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ პაოსი და ქართლოსი ძმები იყვნენ. ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ ყველანი, უფალმა დალოცოს ჩვენი ძმობა და მეგობრობა!...

შემდეგ ადგილობრივმა სომეხმა კათოლიკებმა იგა-

ლობეს საეკლესიო საგალობლები და წაიკითხეს „მამაო ჩვენო“...

1828 წელს გენერალ პასკევიჩის სარდლობით ახალქალაქი რუსეთის იმპერიის მმართველობაში გადავიდა. მისი შემოერთების შემდეგ რუსეთის მმართველობამ აიძულა ადგილობრივი გამუსულმანებული ქართველები სამშობლო მიეტოვებინათ და თურქეთში გადასახლებულიყვნენ. მათ ადგილზე კი არზრუმის ვილაიეთიდან ჩამოსახლდნენ სომხები, რომლებიც აქ დამხვდურმა მართლმადიდებელმა ქართველებმა, როგორც ტანჯული ქრისტიანები, ძმურად მიიღეს. შემდეგში, რუსეთის ცარიზმმა ამ გაუბედურებულ მხარეში, ვორონეჟიდან, ჩერნიგოვიდან და ყირიმიდან რუსი სექტანტებიც („დუხობორები“) გადმოასახლა.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ჩვენს საუკუნეში დატრიალდა. ქართული სოფლები დაცარიელდა იმდროინდელი ხელმძღვანელობის უთავბოლობისა და წინდაუხედაობის გამო. ასე რომ, არაერთი პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი ამ მხარის როგორც საერო, ისე სასულიერო სფეროში.

ახალქალაქიდან ბოგდანოვკის რაიონში ჩასულებმა სოფელ ყაურმაში დავათვალიერეთ „თამარის ხიდი“, რომელიც საუკუნეების ჭირ—ვარამის მიუხედავად, ისევ მტკიცედ დგას. უამრავი ცნობისმოყვარე ხალხი შეიყარა ჩვენს გარშემო. ყველანი სომხურად ლაპარაკობდნენ. ქართული არ იციან. მისმა უწმიდესობამ თავის მოვალეობად ჩათვალა მოენახულებინა სოფლების — ეშტიასა და ხოჯაბეგის სომხური—გრიგორიანული ეკლესიები.

სოფელ განძანის XIII—XIV საუკუნეების ქართულ ეკლესიაში, თურმე ადრე კოლმეურნეობა ყველს აკეთებდა. აქვეა სუბ—კარაპეტის ეკლესია, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში აუშენებიათ აქ ჩამოსახლებულ სომხებს. პასკევიჩის დროს, მაგალითად, ველის მიდამოებიდან მთელი კათოლიკე ქართველები გადმოსახლებულან ახალქალაქის მაზრაში და დასახლებულან სოფლებში — კარტიკამში, ბავრაში, ხულგუმოში, ტურცხში და სხვ. ცარიზმმა უარყო მათი ქართველი კათოლიკობა და ისინი სომხებად გამოაცხადა; აკრძალა ეკლესიაში ქართული წირვა—ლოცვა და სომხურით შეცვალა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ძველად ყველა სოფელში ერთიორი, (ხშირად მეტიც) ეკლესია—სამლოცველო იყო, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, ვინ ვიყავით ჯავახეთში და რა ვართ ამჟამად.

მიუხედავად რუსიფიკატორული პოლიტიკისა, რევოლუციამდელ საქართველოში მესხეთ-ჯავახეთის ყველა ქართულ სოფელში მაინც მოქმედებდნენ ეკლესიები. ხშირად, ერთი მღვდელი ემსახურებოდა რამდენიმე სოფელს. მაგალითად, გასული საუკუნის ბოლოს ახალქალაქის მაზრის სოფლებს-კოთელიას, ბარალეთს, ბალანთას და ჭიხურულას ერთი მღვდელი ემსახურებოდა. ასევე იყო სოფლებში — სარო, ვარგაკი, ვარევაანი, ქილდა, გოგაშენი, აფნია, ჩუნჩხა და პრტენა...

სოფელ ფოკას XI საუკუნის ქართული ეკლესია წმ. ნინოს სახელობისაა და ჩვენამდე ნანგრევების სახით მოუღწევია. კათალიკოს—პატრიარქმა შეასრულა მცირე პარაკლისი, დალოცა ხალხი და უსურვა წმ. ნინოს მადლი და ძალი არ მოგკლებოდეთო.

წმ. ნინომ ამ ადგილებიდან დაიწყო ქართველთა მოქცევა.

ვინ იყო ნინო? ნინო კაბადოკიელი გამოჩენილი მხედართმთავრის — ზებულონის ასული იყო. მშობლებმა 12 წლისა ჩაიყვანეს იერუსალიმში და ქრისტიანული მოძღვრება შეასწავლეს. რამდენიმე წლის შემდეგ, შთაგონებით, იგი მცხეთისკენ გამოემართა. არსებობს ვერსია, რომ წმიდა ნინო (კაბადოკიელი) ტომით ქართველი იყო. მისი მისია იყო მოენახულებინა ის ადგილი, სადაც ქრისტეს პერანგი (კვართი) ინახებოდა და ქრისტე რჯულზე მოექცია იქ მაცხოვრებელი ქართველები. მცხეთაში მიბრძანებულმა მოციქულთასწორმა ნინომ, ღვთის თანადგომით „დალეწა კერპნი არმაზისანი“, განკურნა მრავალი სნეული, მათ შორის, თვით მიიან მეფის მეუღლე—დედოფალი ნანა და განანათლა იგი.

შემდეგ ნინომ მოაქცია მთიულები და „წარვიდა კახეთს“. ადგილობრივი მაცხოვრებლების მონათვლის შემდეგ ერთხანს დაჰყო ბოდბეში და იქვე გარდაიცვალა „წმიდა და ნეტარი დედა და ემბაზი ჩუენი ნინო“, როგორც გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“.

რა გზით ჩავიდა იგი მცხეთაში? იგივე „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ წმ. ნინო „წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა“. თავფარავნის ტბასთან დაჰყო ორი დღე. გაიცნო ადგილობრივი ხალხი. როცა შეეკითხა, თუ საით არის მცხეთაო, მწყემსებმა მიუთითეს და წმ. ნინო დაუყვა მტკვარს. გზაში შემოაღამდა და



ახალქალაქის რაიონი. სოფ. აფნია

დაეძინა. ძილში მას გამოეცხადა ღვთისმშობელი, გადასცა წიგნი და გაუჩინარდა. ამ წიგნში ეწერა: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ სცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა“. მანვე გადასცა მას ჯვარი ვაზისა. ამ სიტყვებმა ნინო კიდევ უფრო გაამხნევა. მდინარის გასწვრივ ჩაუყვა დღევანდელ ახალქალაქ—ხერთვისის გზას, გაიარა ასპინძა—ახალციხის მიდამოები, ბორჯომის ხეობა და მიაღწია საქართველოს ერთ-ერთ ძველ ქალაქს, „რომელსა ეწოდების ურბნისი“. იქიდან კი ჩავიდა მცხეთას.

კათალიკოს—პატრიარქის სურვილით გამოვემგზავრეთ ფარავნის ტბის სანახავად. მოვინახულეთ ის ადგილი, სადაც წმიდა ნინოს დედა ღვთისამ ჯვარი გადასცა და დალოცა ქართველთა მოსაქცევად.

გაღმით მოჩანს ცნობილი სოფელი ასპარა. ამ სოფელთანაა დაკავშირებული უძველესი ქართული ბალადა თავფარავნელ ჭაბუკზე. კათალიკოს—პატრიარქს უთხრეს, რომ სოფელი თანდათან ცარიელდება, ხალხი სხვაგან გადადის საცხოვრებლადო. პატრიარქმა ითხოვა გარკვეულიყვნენ ამ საკითხში, რათა ქართულმა ეკლესიამაც რაიმე იღონოს ისტორიული სოფლის შესანარჩუნებლად.

საადამოს რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ვალერიან ბალიაშვილმა კათალიკოს—პატრიარქ ილია II-ის პატივსაცემად ოჯახში გამართა ვახშამი, რომელსაც ხტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ რაიონის ხელმძღვანელები. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ითქვა ბოგდანოვკაში ეკლესიის გახსნის საჭიროების შესახებაც.

ბოგდანოვკის რაიონი. თავფარავნის ტბასთან

14 ივლისს დილით წალკისაკენ გავემართეთ. რაიონის საზღვართან შემოგვხვდნენ ჩვენი ახალი მასპინძლები, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე—ქალბატონი დიდია სარიევა და სხვები.

თავდაპირველად მოვინახულეთ სოფელ ჯინისის წმ. გიორგის ეკლესია და ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. წმ. გიორგის ეკლესია პატარა მოცულობისაა მორწმუნე ჯინისელებისათვის და ამიტომ სოფლის მცხოვრებლები — „გათურქებული“ ბერძნები, რომლებიც ოსმალეთიდან გადმოსახლდნენ, მოითხოვენ მიძინების ტაძრის გახსნას, რომელიც მართლაც დიდი და მშვენიერია. ამ ტაძარში მისმა უწმიდესობამ შეასრულა მცირე პარაკლისი, შემდეგ კი სიტყვით მიმართა ხალხს:

— მე დიდი სიყვარულით მოვედი აქ, რათა გაკურთხოთ და შევთხოვო უფალს თქვენთვის. ვიცი, რომ ეხმარებით წინამძღვარს. ეს კარგია. ისიც ვიცი, რომ ამ ტაძრის გახსნა გსურთ. მე დავაყენებ ამ საკითხს მთავრობის წინაშე და იმედია, თქვენი სურვილი დადებითად გადაწყდება. მთავარია, რომ თქვენ არ დაივიწყოთ ღმერთი და იცხოვროთ ეკლესიურად. თუ ადამიანი დაკარგავს სარწმუნოებას, ის დაკარგავს სიყვარულსა და მშვიდობას. საჭიროა დროულად ჩაბაროთ აღსარება, ეზიაროთ, რათა შეუერთდეთ ქრისტე მაცხოვარს და გქონდეთ ძალა ბოროტების დასათრგუნად. სარწმუნოების დაკარგვასთან ერთად ბევრმა თქვენთაგანმა დაკარგა ენაც. ეს ცუდია, თქვენ უნდა იცოდეთ იმ ხალხის ენა, სადაც ცხოვრობთ. ეს აუცილებელია. გლოცავთ და გაკურთხებთ!...

წალკის ღვთისმშობლის მიძინების მოქმედი ეკლესიის ეზოში შეგვხვდა წინამძღვარი მამა დიმიტრი ტალი-

წალკის რაიონში

ანიდი. ეზოში მეორე ეკლესიაც დგას. იგი წმ. დიმიტრის სახელობისაა. მამა დიმიტრიმ მოაწყო ტრაპეზი.

აქაური ბერძნები უპირატესად თურქულად ლაპარაკობენ. როცა კათალიკოს—პატრიარქმა მათ უსაყვედურა, ‘მშობლიური ენა რატომ დაივიწყეთო, ერთმა წალკელმა მორწმუნემ, გვარად მაცუკატოვმა მიუგო: არ ვსწავლობთ იმიტომ, რომ ჩვენი მშობლიური ენა ქართულია. ჩვენ ქართველები ვართ. ამ რაიონში და სხვაგანაც არაქართული გვარებით მრავალი ქართველი „ბერძენი“ ცხოვრობს. ზოგიერთ მოხუცს რომ ჰკითხოთ, უთუოდ გეტყვით, ჩვენ ძველი ლაზი ბერძნები ვართო. აბა, ლაზი, ან ჭანი ბერძენი გაგიგონიათ? „გაბერძნებული“ ჭანები და ლაზები მრავლადაა აქ და საბერძნეთშიც, ჩვენი წინაპრები იქ, ბიზანტიის ძველ მიწაზე, თამარის მიერ შექმნილ ტრაპიზუნტის იმპერიაში ჯერ ბერძნებად იქცნენ, იმ ტერიტორიაზე თურქების შემოსვლისა და დასახლების შემდეგ კი გათათრდნენ. აქ მშობლიურ საქართველოში გვარები და ქართველობა ვერ აღვიდგინეთ... აი, მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ ვსწავლობთ ბერძნულ ენასო. ალბათ, დროა, ჩვენმა მეცნიერებმა გარკვეულობა შეიტანონ ამ საკითხში.

გასაკეთებელი მართლაც და ბევრია და თანაც გადაუდებლად.

ის, რომ ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, დმანისისა და კიდევ მრავალ სხვა რაიონში არ გაგვაჩნია თუნდაც ერთი მოქმედი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ისევ ჩვენი დაუდევრობის ბრალია.

კათალიკოს--პატრიარქი მორწმუნეებს ესაუბრა დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებზე, ჩვენი ეროვნული და პატრიოტული პოზიციების განმტკიცების აუცილებლობაზე.

ამას მივაღწევთ მაშინ, — დასძინა კათალიკოს—პატრიარქმა, — **როცა თავიდან მოვიშორებთ გულგრილობას და უდარდელობას, არ გადავყვებით ხორციელს, ქვეყნის დამაკნინებელ სამ მიზეზს, სამ მანკიერებას: „გეშოთ-მოყვარეობას, ვერცხლისმოყვარეობას და დიდების მოყვარეობას“. „როდის მივაღწევთ ამას? ალბათ მაშინ, როცა ყოველი ქართველი, „ჯაჯაიც და ქალაიც“, მიხვდება თავის საწადელს, ცხოვრებისა და სიცოცხლის მიზანს ერის წინაშე. ამაში დაგვეხმარება ქრისტე. ამას იმსახურებს ქართველი ერი, რომელიც ეწამა ქრისტიანობისათვის.**

ყოველმა ჩვენთაგანმა გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს დიდი, წმიდა ილია მართლის სიტყვები, თუ რას წარმოადგენს ჩვენთვის ქრისტიანული წესით ცხოვრების არსი:

„ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც ჯდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი. ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით. თავი გავწირეთ, ცოლ—შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს — სამართლის თავმოწონებით ვეძახით“.

ხშირად უნდა მოვინახულოთ, შევისწავლოთ და, რაც მთავარია, მოვუაროთ ჩვენი წინაპრების დანატოვარ, სისხლითა და ოფლით დაცულ მიწას. გვჯერა, რომ ყოველადწმიდა ღვთისმშობლის დახმარებით ძველი ქართული კულტურის ეს კერები კვლავ მოემსახურებიან მის მრევლს, კვლავ აენთება მათში ხალხთა შორის მეზობლობის, მეგობრობისა და სიყვარულის სანთელი, რომელიც ასე ძლიერ ჭირდება ჩვენს სამყაროს.

X X X

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, ილია II-ის სამოძღვრო მოგზაურობა მესხეთ-ჯავახეთში დამთავრდა 15 ივლისს. წალკის რაიონიდან მანგლისის საპატრიარქო რეზიდენციაში გამოვლით იგი თანმხლებ პირებთან ერთად თბილისში დაბრუნდა.

ვახტანგ გ უ რ გ ე ნ ი ძ ე,
ვლადიმერ ს ა ბ ი ა შ ვ ი ლ ი.

პირველი წირვა საფარაში



1988 წლის 28 აგვისტოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს საფარის მონასტრის წმიდა საბას ტაძარში სწირა ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსმა ანანიამ (ჯაფარიძე). ეს იყო პირველი ლიტურგია 20-იანი წლების შემდეგ. ზიარებისას ეპისკოპოსმა ქადაგებით მიმართა მორწმუნეებს.

ეპისკოპოს ანანიას ქადაგება

პატიოსანო და დიდებულო ქართველნო, მარად აღავსებს მადლი ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლისა ჩვენს მორწმუნე ერს. ყოვლადწმიდის მფარველობით დღეს საფარის წმიდა ტაძარში პირველად, ოციანი წლების შემდეგ, კვლავ შეიწირა წმიდა წირვა. თითქმის სამოცი წლისთავზე! ჩვენმა უფალმა და მაცხოვარმა იესო ქრისტემ თავის დედას — ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს განუცხადა თანახმად „ქართლის ცხოვრებისა", რომ არასოდეს მოაკლებდა თავის მფარველობასა და წყალობას „საზეპურო" ქართველ ერს, და მართლაც, ქრისტიანობა კვლავ ჩვენი ეროვნული ნიშანთვისებაა. ჩვენი მორწმუნე ხალხი კვლავ იმ გზით მიდის, რომელი გზითაც წინაპრებს უვლიათ. ენა, მამული და ქრისტიანული სარწმუნოება — აი, დიდი ილია მართლის მიერ დატოვებული ანდერძი. ქრისტიანობა ჩვენთვის არა მარტო საზოგადო რელიგიაა, არამედ ჩვენი სუბიექტური თვისება. ჩვენი პირადობა და მეობა. ჩვენს წინაპრებსაც ასევე მიაჩნდათ და იმ ქართველს, რომელიც ქრისტიანობას უარყოფდა, ქართველად აღარც კი თვლიდნენ. ეს ჩვენი კუთხის ტრაგედიაც იყო, როგორც ამას უჩვენებს მაგალითი მესხების იმ მნიშვნელოვანი ნაწილისა, რომელთაც ნებსით თუ უნებლიეთ მაჰმადიანობა მიიღეს.

დღევანდელ წირვისას მე თქვენთან ერთად მოვიხსენიე ამ წმიდა ტაძრის აღმაშენებელთა სულნი, საბა სარგისყოფილ და ბექა ჯაყელებისა და ასევე, სულნი ათასობით ბერისა, რომელნიც ამ მონასტერში საუკუნეთა მანძილზე მკვიდრობდნენ. საფარაში თვით თურქების საშინელი გაბატონების დროსაც კი წირვა—ლოცვა არ შეწყვეტილა. „აწ ხუცის ამარა�" — წერდა XVII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი. შემდეგ საუკუნეშიც აქ კვლავ დაემკვიდრნენ ბერები, ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში კი სასულიერო ცხოვრება სრულიად ჩაკვდა.

თქვენც ხედავთ, რა შედეგი გამოიღო ამ ეკლესიის უმოქმედობამ. ჩვენს წინაა სრულებით მოუვლელი, უპატრონო ეკლესია, აღარსადაა კანკელი და ხატები. წვიმის წყალს გაუჟონავს კედელში, ათხრილა იარ[illegible]. უსუფთაობის დღი ამევს ყოველივეს და, რა [illegible]ქმა უნდა, არ ისმის ზარის ხმა.

ბევრი თქვენგანისაგან მსმენია, როგ[illegible] გამოიყურებოდა ეს ეკლესია 50—60 წლის წინ — [illegible]ვნივრად ნაჩუქურთმევი, მოოქროვილი კანკელი, მა[illegible]ლმხატვრული, უძვირფასესი ხატები—მშვენიერი ჩარჩოებით, თითქმის მთელი დარბაზის შემავსებელი ბრინჯაოსაგან ოსტატურად ჩამოსხმული ქორკანდელი, მოჭედილ—მოთვალულ ყუთებსა და კოლოფებში პატივისცემით ჩალაგებული წმიდანთა აურაცხელი ნაწილები, საგანგებო მანდილები და სასანთლეები და აქაური ბერებისათვის განსაკუთრებით თაყვანსაცემი საბა განწმედილის (VI ს.) წმიდა ნაწილები. უცხოეთში — საბერძნეთშიც კი მკითხეს, ამჟამად სად ინახება განძი მსოფლიო მართლმადიდებლობისა — ნაწილები წმიდა საბასიო? ვინ იცის, თვალთაგან მიეფარა ჩვენი ურწმუნოების გამო.

ვინ უნდა დავადანაშაულოთ? მხოლოდ ჩვენი თავი. ყველამ, ყველა ჩვენგანმა უნდა ჩავიხედოთ გულში, ვაღიაროთ ჩვენი შეცოდებანი. სინანული, აღსარება და ცოდვებისაგან განწმედა აღადგენს ჩვენს ქრისტიანობას. არა ცუდმედიდობა, ცუდმეტყველება, სხვისი განკითხვა და აუგი, არამედ სიწმიდე, სიმდაბლე, მოთმინება და სიყვარული. ეს, და მხოლოდ ეს, კვლავ აღგვამაღლებს. წმიდა წიგნებში ნაბრძანებია, ტაძარი შეიძლება დაინგრეს და თავისი ქვებითვე აღადგინონ, მაგრამ ადამიანის დაშლილი სულის აღდგენა აღარავის ხელეწიფებისა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ადამიანის სულზე. არ უნდა დაირღვეს ადამიანის სულის მთლიანობა, სახარებაც ასევე ბრძანებს — გწამდეს ღმერთი და გიყვარდეს ადამიანი. ტაძარს კი სულმთელი ადამიანი კვლავ აღაშენებს. დიახ, უნდა ვიზრუნოთ ტაძარზე. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ტაძრები ადამიანისათვის, მისი სულის ცხოვნებისათვის არის აგებული.

1828 წლისათვის ათასობით ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ხალხი, ვალაშკერტის, ანისის, არზრუმის თუ კარის ქართული საეპისკოპოსოების ყოფილი მრევლი, იმ დროისათვის უკვე ჩამოშორებული ქართულ დედაეკლესიას, ჩამოსახლდა სამცხე—ჯავახეთში, თრიალეთსა და წალკაში. მათ დედაენაც დავიწყნოდათ და თურქულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ქრისტიანული სული შენარჩუნებული ჰქონდათ.

თურქეთში ყველა მართლმადიდებელს „ბერძენს" უწოდებდნენ, მიუხედავად მათი ეროვნებისა, კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს მრევლად მიიჩნევდნენ. ყველა გრიგორიანს — „სომეხს", ყველა კათოლიკეს „ფრანგს", სამხრეთ მესხეთშიც — არზრუმსა, გიუმიშხანეს, ვალაშკერტსა თუ ბასიანში მცხოვრებ ქართველ მართლმადიდებლებს „ბერძნებს" უწოდებდნენ, ლაზებ-

ასპინძაში

საც კი, რომლებმაც მაჰმადიანობა არ მიიღეს და მართლმადიდებლობა დაიცვეს, თურქები „ბერძნებს“ უწოდებდნენ. იმის შემდეგ, რაც ეს „ბერძნები“ თურქეთიდან საქართველოში გადმოსახლდნენ, ჩვენშიც გაუგებრობა მოხდა, ჩვენც აღარ ვუწოდეთ მათ თავიანთი ნამდვილი სახელი. საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ გარემოში მცხოვრებმა თანამორწმუნეებმა ერთმანეთი ვერ შევიცანით.

და ახლა, ისე როგორც ყოველწლიურად, კვლავ ინება ყოვლადწმიდამ ჩვენი ერთად შეკრება ვარძიის კედლებთან. წლევანდელ ვარძიობაში მონაწილეობის სურვილი, სოფელ ტურცხში მცხოვრებმა კათოლიკებმაც — ე.წ. „ფრანგებმაც“ გამოთქვეს. საყოველთაოდ ცნობილია და მეცნიერული გამოკვლევებიც არსებობს იმის შესახებ, თუ თურქეთის საზღვრებში მოხვედრილი სოფელ ველის ქართველობა 1828 წლის გადმოსახლების დროს როგორ დაესახლა ჯავახეთის რამდენიმე სოფელში — ხულგუმოში, ტურცხში, ბავრასა, კარტიკამსა და სხვაგან. მათ ამ დროს იცოდნენ თავიანთი დედაენა. შ. ლომსაძე შრომაში „სოფელ ველის ისტორიიდან“ წერს, რომ მათ 1841 წლამდე ეკლესიებში ქართული ტიპიკონი ჰქონდათ, ხოლო შემდეგ კი სომხური. ზოგიერთ ზემოთჩამოთვლილ სოფელში ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდეც კი ქართული სკოლები არსებობდა. დღეს ასე აღარ არის. ამ სოფლებში ჩასახლებულ ველელ ქართველებს ქართული ენა დედაენად აღარ მიაჩნიათ და თითქმის აღარც იციან. მათ საქართველოშივე, ჩვენს შორის დაკარგეს დედაენა და ქართული ტიპიკონი. სწორედ ამის გამო მათ მონაწილეობას ვარძიის დღესასწაულში დიდი მნიშვნელობა უნდა მიცემოდა. მათ შესახებ წერს ა. ფრონელი თავის ნაშრომში „დიდებული მესხეთი“ (1902 წლის „მოამბე“).

საერთოდ, სამცხე-ჯავახეთი ძალზე რთული რეგიონია. სულ ახლახან კიდევ ერთხელ ეწვია მესხეთის მიწას საქართველოს უწმიდესი კათალიკოს—პატრიარქი ილია II. აივსო მადლით, იდუმალი ნეტარებით, თუ გამოხატული სიხარულით ყოველი მკვიდრი სამხრეთ საქართველოსი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. კათალიკოს—პატრიარქს შეხვდნენ ქართველი კათოლიკენი და მაჰმადიანები. ვარძიაში წირვას დაესწრნენ აჭარელი ქალები, ახალციხელი ებრაელების მეთაურმა კი გულშიჩამწვდომი სიტყვით მიმართა მის უწმიდესობას. არა, ადამიანს არ ძალუძს იმ გასაოცარი ზეიმის აღწერა, რომელსაც მესხეთში ილია II-ის მოგზაურობა ჰქვია. ყველგან, მესხეთის ყველა სოფელსა თუ ქალაქში, ტაძარსა, მუზეუმსა თუ თეატრში ადამიანები, რომელთაც აქამდე არც კი ენახათ პატრიარქი, იმსჭვალებოდნენ მათ-

თვის უჩვეულო, სანეტარო გრძნობით, რომლის დაფარვა არც შეეძლოთ. რა იყო ეს? აღტაცება? სულიწმიდა აღავსებდა მათ სიყვარულით და სიყვარული ხომ თავად არის ღმერთი.

ღიმილი, მხიარულება, მიღებები და შეხვედრები, საერთო სიხარული... მაგრამ ეს მხოლოდ ქართული ხასიათის გამომჟღავნება იყო, რომელზეც აკაკიმ თქვა — „ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა". განა მესხეთის ჭირისუფალი შეიძლება იყოს ყოველმხრივ მხიარული და ბედნიერი? ფაქტი, რომ ასეული ათასი გამაჰმადიანებული მესხი სამშობლოდან არის მოშორებული და სახელშეცვლილი, განა სამცხე—ჯავახეთში შექმნილი საქვეყნოდ ცნობილი. სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობა სასიხარულოდ განაწყობს ადამიანს?

ვარძიის ამოქმედებას იმედით ელიან ჯავახეთში შემორჩენილი სულ რამდენიმე ქართული სოფლის მცხოვრებნი. პლატო, რომელიც ვარძიას გადმოჰყურებს — ჯავახეთის ზეგანი — ძალზე მჭიდროდაა დასახლებული, აქ ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში 120 ათასზე მეტი ადამიანი სახლობს, მაგრამ მათგან მხოლოდ სამი ათასამდეა ქართველი. სწორედ მათ, გოგაშნელებმა, კოთელიელებმა, პრტენელებმა და ჩუნჩხელებმა ითხოვეს ვარძიის ეკლესიის ამოქმედება. ეს ეკლესია მათ მართლმადიდებლობის (ანუ ქართველობის) შენარჩუნებისათვის აუცილებლად ესაჭიროებათ.

შევთხოვოთ ყოვლადწმიდას, მიხედოს თავის მოწყალე ჯავახეთს. ჩვენც ხელი შევუწყოთ და ქრისტიანული სითბო ვაგრძნობინოთ თანამორწმუნეებს. ჯავახეთის ქართველობას უსათუოდ უნდა დავეხმაროთ — თუ მათთვის წყლისა და გზის გაყვანა არ შეგვიძლია, ის ხომ მაინც შეგვიძლია, უბრალოდ ავიდეთ, მოვინახულოთ, ვესაუბროთ. ამით მათ გულის სითბოს ვაგრძნობინებთ, მართლმადიდებლობასა და ქართულ ენას არ დავავიწყებთ! ამჟამად არა მარტო ბავშვებს, მოხრდილებსაც უჭირთ ქართულად გამართული ლაპარაკი. ასეა ახალქალაქის ახლო მდებარე ქართულ სოფელ ხოსპიოშიც. ამ სოფელში მითხრეს, ეს რაა, სოფელ მურჯახეთში ქართველებმა ქართული სრულებით აღარ იციანო. ახალგაზრდებიც ტოვებენ ამ სოფლებს. თითქმის ერთი საათი ვესაუბრებოდით და მშობლებთან ერთად ვარწმუნებდით ერთ ხოსპიოელ ახალგაზრდას, არ წასულიყო საცხოვრებლად სხვა რესპუბლიკის რომელიღაც ქალაქში, დარჩენილიყო თავის რაიონში, მაგრამ არაფერი გამივიდა.

უფალი წმიდა სახარებაში ბრძანებს — „ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ირეკდეთ და განგეღოთ თქვენ", რასაც უფალ ღმერთს წმიდა რწმენით შევთხოვთ, უთუოდ აგვისრულდება, მაგრამ ჩვენი უბედობა სწორედ ჩვენს ურწმუნოებაშია, ღმერთს სასოებითა და სიწმიდით აღარაფერს ვთხოვთ, მაშასადამე, აღარც სიკეთის მიღების უნარი გვაქვს და თუ უფლისაგან სიკეთეს არ ვიღებთ, გვაქვს ის, რასაც ჩვენ თვალით ვხედავთ — სამცხე-ჯავახეთის ღღევანდელი დემოგრაფიული ყოფა.

ეს, უპირველესად ყოვლისა, ითქმის გამრავლებაზე. მუცლის მოშლა და დედის წიაღში ბავშვის მოკვლა უდიდესი ცოდვაა. მინდა ერთი მაგალითი მოგიყვანოთ. მე ვკითხე ერთ მაჰმადიან ინტელიგენტს, ცხრა შვილის მამას და მეათის მომლოდინეს, სურდა თუ არა მის მეუღლეს ამდენი ბავშვი. მან მიპასუხა — ჩემს მეუღლეს ღმერთი სწამს და ბავშვის მოკვლით თავის თავზე ღვთის რისხვას არ დაიტეხს, თავისი ცოდვით ღმერთს არ განარისხებს. საერთოდ, ყველა ჩვენი ქალი ასეთია — ყოველი ბავშვი ღვთისაგან მონიჭებულ ძღვნად მიაჩნია და რასაც ღმერთი აძლევს, სიხარულით იღებსო. ასეთი ღვთის რიდი რომ ჰქონდეს არა მარტო სამცხე-ჯავახეთის, არამედ მთელი საქართველოს დედებს, დემოგრაფიული პრობლემაც აღარ იარსებებდა. უღმერთობამ და ურწმუნოებამ არა მარტო ზნეობრივად შეგვცვალა, ღვთის იმ მოჭარბებული მადლის მიღების უნარიც გამოგვაცალა, რითაც ასე უხვად აჯილდოებს უფალი ყოველ ქართველს.

აი, ახლა ჩვენ საფარის წმიდა ტაძარში ვიმყოფებით, რომელიც ამავე დროს, საუკუნეთა მანძილზე სამეცალეც იყო უგამოჩინებულესი ქართველი არისტოკრატიისა და საეკლესიო მოღვაწეთა. ამჟამად კი, თქვენც ხედავთ, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში იატაკი ათხრილია, საფლავები ღიაა, ამოყრილი ძვლები აქამდე კუთხეებში იყო მიწყობილი, ახლა საერთოდ აღარ ჩანს. ეს სულ უკანასკნელი წლების „ნაღვაწია". მე გეკითხებით, განა მათი სულები, რომელთა საფლავებიც ასე უდიერად ხელვყავით, ილოცებენ ღვთის წინაშე ჩვენთვის? მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ხოლო დრო ყოველივეს მკურნალი. შევთხოვ ღმერთს, ჩვენს სულსა და გულში ღრმა სარწმუნოებით დაემკვიდროს ქრისტე.

მორწმუნენო, დღეს არის, აგრეთვე, თაყვანისცემა აწყურის ღვთისმშობლის ხატისა. აწყურის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ, ანუ როგორც მესხეთში იტყვიან, „სასწაულიან" ხატს თაყვანს სცემენ სხვა ქვეყნების ეკლესიებიც, მაგალითად რუსეთის საპატრიარქოს კალენდარში აღნიშნულია, რომ ეს ხატი არის I საუკუნისა. „ქართლის ცხოვრების" თანახმად ის მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა ჩამოასვენა იერუსალიმიდან აწყურში, სადაც ამ ხატს უდიდესი ტაძარიც აუგეს. ეს არის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი.

ჩვენში ცნობილია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატიც — ანჩისხატი. ხშირად იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ხატი იყოს ხელთუქმნელი? დიახ, შეიძლება. თუ ჩვენს წინაპრებს ამის შესახებ გაეჩნდათ რწმენა, ჩვენ გვაქვს ცოდნაც. ეკლესიაში დაცულია მრავალი გადმოცემა, თუ როგორ გადადიოდა ქრისტეს ღვთაებრივი სახე ტილოზე, ფიცარზე, ან კეცზე (გამომწვარი თიხა). ავადმყოფი მეფე აბგარის მხატვარმა ვერ შეძლო იესოს სახის სრულყოფილად გადატანა ტილოზე, მაშინ უფალმა მიიდო სახეზე ნაჭერი და მასზე აღბეჭდილი გამოსახულება გაუგზავნა მეფეს. ეს იყო იესოს პირველი ხატი.

ანდრია მოციქულმაც ასევე ფიცარზე აღბეჭდილი ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი ჩამოასვენა. როგორც მეცნიერების ერთ ნაწილს მიაჩნია, ტურინის სუდარაზე გადასულია იესო ქრისტეს სხეულის სრული ანაბეჭდი. ამ სუდარაში იყო ის გახვეული გარდამოხსნი-

დან აღდგომამდე. თუ ყურადღება მიაქციეთ წლევანდელ გაზეთ „ზა რუბეჟომ“-ს, მის ერთ ნომერში აღწერილია ის დაინტერესება, რომელსაც იჩენენ მსოფლიოს მეცნიერები ამ სუდარის მიმართ. მსოფლიოს უმსხვილესმა სამეცნიერო კვლევითმა ცენტრებმა ყველაზე თანამედროვე ხელსაწყოებითა და სხვა საშუალებებით გამოიკვლიეს სუდარა. 50-მდე გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმ, აგრეთვე, ფრანგმა და იტალიელმა სპეციალისტებმა ყოველმხრივი ანალიზით (სპექტრომეტრიულით, რენდგენულით თუ სხვა ხერხებით) დაადგინეს, რომ ტურინის სუდარაზე აღბეჭდილი გამოსახულება არ წარმოადგენს ადამიანის ხელით დახატულს, ეს არის „ხელთუქმნელი ხატი“. აღსანიშნავია, რომ ტურინის სუდარის გამოსახულების ფოტოგრაფია შეიტანეს კოსმოსური კვლევის საგანგებო ხელსაწყოში — ე.წ. „გამოსახულების ანალიზატორში“, რომლის უმთავრესი კომპონენტი არის მიკროელექტროგამომთვლელი მანქანა. აქ თვით მეცნიერთა თქმით, მოხდა შეუძლებელი და დაუჯერებელი რამ — მანქანის დისპლეეზე გამოჩნდა ადამიანის სამგანზომილებიანი გამოსახულება, რომელიც იყო ნაგვემი მათრახით და ჯვარცმით. მას გრძელი თმა და წვერი ჰქონდა და თავის მრავალრიცხოვანი ჭრილობებიდან გამომავალი სისხლის ნაკვალევი აჩნდა. აღნიშნულ დისპლეეზე მიღებული გამოსახულების ფოტო გაზეთის ამავე ნომერშია დაბეჭდილი.

სწორედ ტურინის სუდარის მსგავსი ხელთუქმნელი ხატია აწყურის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც დღეს თაყვანს ვცემთ. აწყურის ხატმა საუკუნეთა მანძილზე სრულიად გაიზიარა მესხეთის ბედი. აწყურის ტაძრიდან ის ორჯერ გაიტაცეს სპარსელებმა, მაგრამ სასწაულით ყოველთვის სამცხეს უბრუნდებოდა, მესხეთის გამაჰმადიანების შემდეგ კი ის გელათში გადაასვენეს. საუბედურად, აწყურის ხატის მრევლი მესხეთთან ერთად ქრისტიანობას განუდგა (მოსახლეობის ერთი ნაწილის გარდა), რომელთა წინაპრებიც თაყვანს სცემდნენ მის ხელთუქმნელ ხატს მოციქულთა დროიდან. ისინი რამდენჯერმე გადაასახლეს კიდეც და ახლა მათ „თურქმესხებს“ უწოდებენ. 1944 წელს მესხეთიდან გადასახლების დროს კი ისინი თავიანთ თავს „მუსულმანებს“ „ბინალებს“ ე.ი. ადგილობრივებს უწოდებდნენ. რუსეთის იმპერიის აღწერის წიგნში, კერძოდ 1870 წელს გამოცემულ „თბილისის გუბერნიის აღწერის მასალების კრებულში მათ ეწოდებათ არა თურქები, არამედ „ქართველი სუნიტები“ (ახლანდელი ადიგენის, ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის რაიონებში). სწორედ მათ, ქართველ მაჰმადიან სუნიტებს უწოდებენ ახლა „თურქ მესხებს“. ეს სახელი მათ მხოლოდ გადასახლების შემდეგ მიიღეს, თუმცა ზოგიერთებს ქართული გვარები შემონახულიც კი აქვთ და ქართულიც იციან. შესაძლებელია, მათი ერთი ნაწილი კვლავ დაუბრუნდეს თავის ქვეყანას. როგორ უნდა შევხვდეთ მათ? წმიდა სახარებაში ნაბრძანებია — „ღმერთი სიყვარულია“. მაშასადამე, უსიყვარულობა მხოლოდ უღმერთობის ნიშანია. თუ ჩვენ სიყვარული გვაქვს, თუ ღმერთი გვწამს, ჩვენ უნდა ვიცნოთ ჩვენი ძმები, ჩვენი თანამეტომენი, ჩვენი სისხლი და ხორცი, გზასაცდენილი, ნატანჯი შვილები ქართველი ერისა, თავიანთი თავის შეცნობის უნარიც რომ აღარა აქვთ და თავიანთი სახელიც აღარ ახსოვთ. ვაპოვნინოთ თავიანთი თავი, დავუბრუნოთ ისინი მშობელ ერს.

მე მინდა დღევანდელ ღვთივკურთხეულ დღეს საფარის წმიდა ტაძარში შევთხოვო უფალს, მოწყალე თვალით გადმოხედოს სრულიად საქართველოს, მესხეთს. შევთხოვ უფალს თქვენს სიხარულსა და გამრავლებას, ღმერთმა დაგლოცოთ.

ასპინძის რაიონი.
სოფ. რუსთავი

ჩასახლებულ
აჭარლებთან

მღვდელი ივანე გვარამაძე



XIX საუკუნის მესხეთიდან გამოსულ მოღვაწეთა შორის ერთ—ერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანი ფიგურაა მამა ივანე გვარამაძე.

ის იყო თეოლოგი და მოძღვარი, პუბლიცისტი, მწერალი, ისტორიკოსი, ხალხური სიტყვიერებისა და ისტორიულ—არქეოლოგიური მასალების შემკრები, თავისი კუთხის სიძველეთა საუკეთესო მცოდნე, დახელოვნებული გადამწერ—კალიგრაფი, სამშობლოს კეთილდღეობისათვის გულანთებული პატრიოტი, დამცირებულთა ქომაგი... ამ შემთხვევაში, სწორედ ისეთ ფენომენთანა გვაქვს საქმე, ვისი მსგავსი მამულიშვილების გარეშე, საქართველოს ათას ქარიშხალსა და ჟამთა სიავეში დღევანდლამდე მოღწევა გაუძნელდებოდა.

XX საუკუნის დასასრულის გადასახედიდან ძნელია გასული საუკუნის მეორე ნახევრის ტემპის აღქმა, რთულია არქივისა და მუზეუმის მასალებზე დაყრდნობით პიროვნების სრული სახის ჩამოყალიბება, შიშობ, ზოგიერამ გამონაგონი ან გაზვიადებული არ გამოგივიდეს და წინაპრის ხსოვნას რამე ჩრდილი არ მიაყენო... მაგრამ, როცა ამ მასალების მთლიან თუ არა, მნიშვნელოვან ნაწილს მაინც გაეცნობი და განვლილ გზას თვალს მიადევნებ, საცნაური ხდება, რომ გასული საუკუნის დასასრულის ნელი ტემპი, როგორც ეტყობა, გადაადგილების საშუალებებში თუ გამოიხატებოდა, თორემ პიროვნებები, აზროვნებითა და მოქმედებით, უფრო ყოვლისმომცველნი, ნაყოფიერნი და მიზანსწრაფულნი იყვნენ.

სწორედ ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება მამა ივანე გვარამარე, რომელსაც იმ დროისათვის „... რაღაც გასაოცარი ერუდიულ—ანდამატური ძალა და შეპყრობლობითი უნარი ჰქონდა...“ და ეს შეიძლება გადამეტებულ ეპითეტად მოეჩვენოს ჩვენს თანამედროვეს, ვინაიდან მისი შრომები და ღვაწლი წლების მანძილზე დავიწყებას იყო მიცემული. დღეს მისი ხელნაწერები ინახება ლიტერატურული მუზეუმის, ხელნაწერთა ინსტიტუტის, თუ ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდიკაში მისი სტატიები, კორესპონდენციები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ხასიათის ნარკვევები, ხალხური შემოქმედების მასალები ხშირად იბეჭდებოდა, ქართველი საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას იქცევდა. მათი ავტორი აღიარებული იყო სამშობლო ქვეყნის თავდადებულ მოღვაწედ. ეს არცთუ ისე უბრალო საქმეა, შენმა თანამედროვეებმა გიწოდონ „სამშობლო ქვეყნის თავდადებული მოღვაწე“. საქართველოში ეს შეფასება მუდამ ყოველგვარ ჯილდოზე აღმატებული იყო და ალბათ, მომავალშიაც ასევე იქნება.

დაიბადა 1831 წელს, ახალციხის მაზრის სოფ. ვალეში. მისი მამა ვალედან ახალციხეში გადასულა და ხელოსნობა და ვაჭრობა დაუწყია. ოჯახი ხელმოკლეობას განიცდიდა. ბავშვობა მკაცრ პირობებში გაატარა. ბუნებრივმა ნიჭმა და სწავლის წყურვილმა იგი ცხოვრების ასპარეზზე ძალზე ადრე გამოიყვანა. წერა—კითხვა ვალეს სოფლის მღვდელთან ისწავლა, შემდგომ სწავლობდა კერძო დაწყებით სკოლებში. 1849 წელს ჰ. შაჰყულიანთან (ჭილიმუზაშვილი) ახალციხეში, ხოლო 1854 წლიდან პ. ხარისჭირაშვილთან (გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე (1814—1890 წ.წ) ქუთაისში, მაგრამ ამ უკანასკნელის ევროპაში წასვლის გამო კვლავ ახალციხეში ბრუნდება. 1857 წელს მამით დაობლდა. 1859 წელს სასწავლებლად მიემგზავრება კონსტანტინოპოლში, საიდანაც ერთი წლის შემდეგ უსახსრობის გამო ბრუნდება სამშობლოში და თბილისში ი. კერესელიძის სტამბაში მუშაობს ერთხანად, რასაც ისევ უსახსრობის გამო ანებებს თავს და ჩადის ახალციხეში.

ცხოვრების სახსარს მოკლებულმა ივანემ თვითგანვითარებას მიჰყო ხელი, გაეცნო ქართულ და სომხურ მწიკნობრობას, შეისწავლა თურქული, ლათინური, ფრანგული, რუსული ენები. ნიჭიერების, პირდაპირობის, სამართლისმოყვარეობისა და ვაჟკაცური შეუპოვრობის გამო თავის მოძმე სულიერ მოძღვართაგან იდევნებოდა. მთელი რიგი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ 1868 წელს ქ. სარატოვში ეკურთხა მღვდლად. 1869 წლიდან მსახურობს ჯერ სოფელ ხიზაბავრაში (ასპინძის რ—ნი), ხოლო 1874 წლის ბოლოდან ახალციხის ძველი ნაწილის — რაბათის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში. 1877 წლიდან მსახურობდა სოფ. ივლიტეში.

1880 წლიდან კვლავ ხიზაბავრაშია, ხოლო 1892 წლიდან გარდაცვალებამდე 1912 წ. ახალციხის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან არსებული დაწყებითი სკოლის ზედამხედველად და საღვთო სჯულისა და. ქართული ენის მასწავლებლად...

ამ მშრალი თარიღების მიღმა დგას სისხლჭარბი, ბრძოლითა და თავის ხალხზე ზრუნვით აღსავსე ცხოვრება.

მესხეთის ისტორიული წარსულის შესწავლამ იგი დაარწმუნა, რომ მისი თანამედროვე თაობა, გამაჰმადიანებას გადარჩენილი ქართული მოსახლეობა, გადაგვარების გზას ადგა. ამ გარემოებას ადრიდანვე მიაქცია ყურადღება, მაგრამ მოთმინებით იჭურვებოდა და ელოდა დროს, როცა თავის აზრს ხმამაღლა იტყოდა.

ეს შემთხვევაც მღვდლად კურთხევის შემდეგ მიეცა. 1869 წელს მან ქადაგების დროს ეკლესიის ტრაპეზიდან მრევლს შეახსენა, რომ მესხები წარმოშობით ქართველები არიან, მათი სამშობლო საქართველოა, მათი დედაენაც ქართული. არავითარი ნათესაობა, გარდა მეზობლობისა, მათ და სომხებს შორის არ იყო, ამიტომ ყველა მესხი კათოლიკეს მოვალეობაა, რომ გამოწვლილვით შეიტყოს თავის მამა—პაპათა ვინაობა, შთამომავლობა და სხვ. ისინი სომეხ კათოლიკებად იმიტომ იწოდებიან, რომ სომეხ კათოლიკეთა ტიპიკონზე დგანან, ესე იგი, მარტო სომხის ტიპიკონი აკავშირებთ.

ივ. გვარამაძემ ხალხს უქადაგა გაერჩიათ ერთმანეთისაგან სარწმუნოება და ეროვნული წარმოშობა, მოეთხოვათ წირვა—ლოცვა ეკლესიებში შესრულებულიყო მშობლიურ ენაზე და გადაგვარებისათვის დაეღწიათ თავი.

რუსეთის ცარიზმის მიერ ხელოვნურად დათესილმა და გაღვივებულმა ეროვნულმა შუღლმა განსაკუთრებით მახინჯი სახე მრავალეროვან სამცხე-ჯავახეთში მიიღო. ივ. გვარამაძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რუსეთის ცარიზმს ახალციხეში განთავისუფლებისთანავე ყურადღება რომ მიექცია ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის, ისინი ქართულს არ დაივიწყებდნენ და მშობლიური ენის სწავლების საკითხიც კარგად იქნებოდაო. პირიქით, მან ახალშემოერთებული მუსლიმანი ქართველები თურქებად გამოაცხადა და პირველ ხანებში თურქული მმართველობის წესებთან ერთად თურქული ენაც ძალაში დატოვა. გვიან კი ყველა არარუსი მოსახლეობის ნაციონალური ენების მოსპობა მოინდომა. ამიტომაც ივ. გვარამაძე წერდა: „რუსეთის მმართველობა უკუღმართად მიდის, ქართულ ენას სჩაგრიან, უნდათ, რომ ყველა ტომები გაარუსონ, რუსული ენის მეტი სხვა არ იყოს“... შემდეგ აგრძელებდა: „წარმოუდგენელ მდგომარეობაში ვართ, წარმოიდგინეთ ოსმალთა ბატონობას, მათ მიერ ჩვენს ფიზიკურ მოსპობას გადაურჩით, ახლა კი ვიღუპებით... აბა წარმოიდგინეთ, დიდი შესაბრალისი არ იქნება, რომ ხომალდი აღელვებული ზღვის ზვირთებს გადაურჩეს და მშვიდობიან კაი დროს კი დაიღუპოს...“

იგი აცხადებდა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ „ჩვენთა წინაპართა კეთილშობილური სისხლით დაცულ-შენახულ ადგილ—სადგომს ვერ შეველევით, შემკობილს, მოწყობილს მრავალ მონასტერ—ტაძრებითა, ციხე—კოშკებით, ქვაბ—დარნებ—ხვრელებითა და შესანიშნავი რუსხმულებითა“. ბოლოს იმედიანად დასძენდა:—ცარიზმის მახინაციები, „სომხური ტიპიკონით ჩვენ ქართველ კათოლიკებს ვერ გაგვასომხებს, როგორც რუსები, ფრანგები, პოლონელები და სხვა ეროვნების ხალხები ბერძნული ტიპიკონით ბერძნებად არ გახდნენ“.

„1886 წლის მთავრობის დადგენილებით კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენა ბრძანებით იქნა აკრძალული, რამაც ქართველ კათოლიკეთა გულისწყრომა კიდევ უფრო გააღრმავა. ბრძოლა თანდათან მწვავდებოდა და დაძაბულ ხასიათს იღებდა. ადრევე სომხურ—კათოლიკურ ტიპიკონზე შემდგარი სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობა 1828 წელს საქართველოსთან შეერთების შემდეგ ეკლესიაშიც მშობლიური ენის შემოღებასა და დამკვიდრებას მოითხოვდა. ეს მოთხოვნა თავის მხრივ განპირობებული იყო იმით, რომ ქართველმა კათოლიკებმა საქართველოსთან შეერთების შემდეგ, მთელი ქართველობის სახით ამ ბრძოლაში თავიანთი მოსარჩლე და მფარველი დაინახეს. ეკლესიის ძველი მესვეურები კი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას ფიქრობდნენ სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ მოსახლეობაში და ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ გზაზე დამდგარი მებრძოლი ქართველებისათვის გზა გადაეღობათ. მათ უარყვეს ქართველთა კათოლიკობა და ყველა ისინი არაქართველებად გამოაცხადეს. საკითხი თავისთავად საქართველოს ამ მხარის — ძველი სამცხე—ჯავახეთის ტრაგედიებით გამოვლილი ისტორიული ცხოვრების შესწავლა—დასაბუთებას მოითხოვდა და როგორც ერთი, ისე მეორე მხრივ იწერებოდა მრავალი წერილი, პამფლეტი, მოწოდება.

XIX ს. 80-იანი წლები რეაქციის ახალი შემოტევებით აღინიშნა. რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში რეაქციონერთა შემოტევები დიდმპყრობელურ, შოვინისტურ ხასიათს ატარებდა. ეს ის დრო იყო, როცა წინა პლანზე წამოვიდა პურიშკევიჩების, ვოსტორგოვების, კატკოვების და სხვათა სახელები...

რეაქციონერთა წაქეზებით 80—90-იან წლებში კათოლიკე მღვდლების ერთმა ნაწილმა ლიბერალურ—ბურჟუაზიული და შოვინისტური გაზეთის „მშაკის“ ფურცლებზე წამოიწყო წერილების შეთითხნა იმის შესახებ, თითქოს ისტორიულად არ არსებობდნენ ქართველი კათოლიკენი. თითქოს ქართული კათოლიკური მოსახლეობა მესხეთში სხვა მოდგმისა იყო, რომელთაც თითქოს ბოლო დროს მიეღოთ ქართული ენა და გადავიწყებიათ მშობლიური ენა. ამ ბრძოლაში რამდენიმე შოვინისტი კათოლიკე მღვდლის მხარდამხარ დადგა მდიდარი ბურჟუაზია და უკვე მოქრთამული კავკასიის მთავრობას ყოველდღიურად მათი გულის გასახარი ახალ—ახალი დადგენილებები გამოჰქონდა.

1886 წელს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. ქართველი მოსახლეობისათვის კათოლიკურ ეკლესიებში მღვდელმსახურება მხოლოდ სომხურ ენაზე უნდა შესრულებულიყო.

„30 ივლისს, — წერდა ივ. გვარამაძე მიხეილ თამარაშვილს, — 1890 წ. № 228-მიბრძანეს მე ჩემს სადეკანოს ყოფილნი ყოველნი ბარიხნი და ვიქარნი განვაფრთხილო

სომეხთ კათოლიკეთა, რომ ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს აღარ იხმარონ ქართული ენა.“ მთავრობის ამ ბრძანების გატარებისათვის ახალციხის მხარეში თავგამოდებით იბრძოდა ვინმე კათოლიკე მღვდელი ტერშაანოვი. ამ კაცმა საქმე ისე გაამწვავა, რომ ახალციხის მცხოვრებლებმა 1891 წელს უჩივლეს მას. საჩივარს ხელი მოაწერა 130 კაცმა და მისი ახალციხიდან დაუყოვნებლივ გასახლება მოითხოვა...

ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში მიუხედავად იმისა, რომ ქართული რიტი კონგრეგაციის მიერ შეწყნარებული არ იყო, ეს ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან სავალდებულო ლოცვანის შემდეგ, მრევლთან ერთად მოძღვარიც ქართულად გალობდა და წირვის შემდეგ სამოციქულო სახარებას ქართულად კითხულობდა. ახლა კი მთავრობა ეკლესიებში ქართული ენის ყოველმხრივ აკრძალვას მოითხოვდა. განსაკუთრებით წინააღმდეგობა გაუწიეს ამ დადგენილებას ქართველმა კათოლიკე ქალებმა. „ქალების მიზეზით კვლავ ქართულად დავიწყე სახარების ქადაგებაო“, — წერდა 1892 წელს ივ. გვარამაძე. მაგრამ ეს ყველაფერი დროებითი მოვლენა იყო, რეაქციის შემოტევები არ ნელდებოდა. მაშინ, ქართველმა კათოლიკე მოძღვრებმა რომის პაპს მიართვეს თხოვნა ეკლესიაში მშობლიური ენის დამკვიდრების შესახებ. პაპი ქართველთა თხოვნისადმი ყრუ აღმოჩნდა. 1894 წელს პაპ ლეონის დეკრეტით აღმოსავლეთელებს (ე.ი. აღმოსავლელ კათოლიკებს) ეკრძალებოდათ ლათინურ ტიპიკონზე გადასვლა. ეს ნიშნავდა, რომ ძალაუნებურად ქართველი კათოლიკენი სომხურ ტიპიკონთან ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი. 1893 წელს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, სადაც თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია მოხსენიებული იყო სომხურ ეკლესიად. ამავე დროს, ადგილებზე დაიგზავნენ ინსტრუქტორები, რომლებიც ამოწმებდნენ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვის შესახებ გამოცემული ბრძანების შესრულებას. როცა კომისიამ ივ. გვარამაძე შეამოწმა, აღმოჩნდა, რომ ის სკოლაში (ეკლესიასთან არსებული სკოლა) გაკვეთილებს კვლავ ქართულად ატარებდა, ხოლო საეკლესიო წირვა—ლოცვას — თურქულად. ეს პროტესტი იყო. მოძღვარი თავს ასე იმართლებდა: — დაშვებულ ბრძანებაში სკოლისა და ხწავლის შესახებ არაფერია ნათქვამი, რაც შეეხება ეკლესიას, აქ აღნიშნულია, რომ იკრძალება ქართულენოვანი ლოცვა—კურთხევა, მითითებული კი არ არის, მის ნაცვლად რა ენა ვიხმაროთ... ღმერთი ყველა ენით შეიწირვისო. ამ კურიოზული შემთხვევის შესახებ მთელს იმპერიაში გავრცელდა ხმა...

სამცხე — ჯავახეთის ეკლესიებში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვისა და მისი გაუგებარი, უცხო ენით შეცვლის შესახებ მ. თამარაშვილი 1891 წელს რომიდან ივ. გვარამაძეს წერდა: „რაკი თქვენხედ მეტი სანდო მანდ ვეღარავინ ვიპოვე, თქვენ, როგორც ნამდვილ ქართველსა და გულშემატკივარს, მოგმართავთ და გირჩევთ, ლოცვების დროს ჩვენი ენა კვლავ ძალაში დასტოკოთ“.

სამცხე-ჯავახეთის ეკლესიებში დედაენაზე წირვა-ლოცვის აღდგენის თხოვნა ოფიციალურად აღიძრა რამდენიმეჯერ, მაგრამ უშედეგოდ. ყველა პატრიოტი ქართველი ჩიოდა: „ჩვენ მკვიდრ კათოლიკეთ არაფერი გვაქვს და არცა რას მოველით. მხოლოდ გვსურს, ღვთის შეწევნით, უარვყოთ ის, რაც გვტანჯავს და გვაწუხებს ზნეობრივად...“ (შ. ლომსაძე, „მიხ. თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი“).

ივ. გვარამაძე ნახევარი საუკუნის მანძილზე „ვინმე მესხისა“ და „გ.მ.ი.“-ს ფსევდონიმებით წერდა მწვავე კორესპოდენციებსა და სტატიებს ჟურნალ—გაზეთებში: „დროებაში“, „ივერიაში“, მწყემსში, „კვალში“, „აკაკის კრებულში“, „მოგზაურში“...

არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა და საჭირბოროტო საკითხი, რომელსაც არ გამოხმაურებოდა. თავისი აზრი და დამოკიდებულება არ გამოეხატა.

გამოქვეყნებული აქვს უამრავი ნაშრომი, წერდა რეცენზიებსა და პოლემიკურ წერილებს.

„ბევრი სამაგალითო საქმეები უკეთებია ჩვენში მამა ივანე გვარამაძეს. ბევრი რამ საყურადღებო და სამარადისოდ არ დასავიწყებელნი და სწორედ ასეთ პატივსაცემ საქმედ ითვლება ქართველ კათოლიკეთ კითხვის შესახებ ცდა და შრომა, რაც კი ამ მოძღვარს მის წინაშე მიუძღვის. ივ. გვარამაძის ღირსების საქმე აი რაში გახლავთ: ქართველთ გვაროვნობის ძიებაში, მის ჭეშმარიტების განსაზღვრაში.

ქართველთა ძიებით და ქართული ენის მფარველობით, ქართველ კათოლიკობაში, ძველადვე სხვა მოძღვარნი იყვნენ. ასეთ მოძღვრებს ჩვენ ვხედავთ თვით XVII საუკუნიდამ და XIX საუკუნის შემდეგიდამ ხომ მესხეთში მათი რიცხვი ერთობ დიდი იყო და ზოგმა მათგანმა ქართულს ენაზედ მწერლობითაც ჰმუშაკა, გარდა მწერლობისა, ქადაგებითაც საკმარისად ბრწყინავდნენ და მათ მრავალი დასტოვეს ქართულს ენაზედ. ქადაგების გარდა, ერში ქართულ ენის მფარველობასაც დიდ სახსარს აძლევდნენ. ყოველთვის და ყოველგან იგინი ქართული ენისთვის ფარათა და ხმლათ იდგნენ, მაგრამ რაც შეეხება მის ნათლად ძიებას, ამისი კი წარმოდგენა არ ჰქონდათ, ან ჰქონდათ და ეშინოდათ, რამ გარემოებისა და ხიფათის. ეს შეიძლება კიდევაც, რადგანაც მათ არც ისე ვრცელი მიმოხედვა ჰქონდათ შეთვისებული. მათი შრომა ქართული ენის სასარგებლოდ ერთობ ვიწრო ფარგლებში იყო მოთავსებული, ვიწრო მიმართვა საზღვრავდა, უბრალო რამე გარემოება მათ მალე აგმობინებდა თავიანთ მიმართულებას. სწორედ ასეთსავე ბურუსში იყო შთავარდნილი ჰ. შაჰყულიანი და მრავალნიც სხვა მოძღვარნი ქართველ კათოლიკეთა, რომელნიც ქართველი გვარის შთამომავალნი იყვნენ და ქართულის ენითაც მოქმედებდნენ მრევლში. ამ გარემოებას ანუ ჩვენგან ნახსენებ სიმხდალეს და შიშს მხოლოდ ივ. გვარამაძემ აუქცია გზა და კვალი, მტკიცედ, მხოლოდ ეს წავიდა მის წინააღმდეგ და მით მან ქართველ კათოლიკეთ ასპარეზზედ ძირითადი ცვლილებაც მოახერხა...“ (ზ. ჭიჭინაძე).

ივ. გვარამაძეს მრავალი ნაშრომი აქვს, როგორც სასულიერო, ისე საერო დარგში. ასეთებია: საკუთარი ლექსები, პროზაული ნაწარმოებები, ფოლკლორული ჩანაწერები, სახელმძღვანელოები, ქადაგებანი, ძველი ქართული (მესხური) სიმღერები და თარგმანები.

ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს:

„ივანე გვარამაძე, რამდენადაც ქართულ ენასა და მწიგნობრობაში იყო დაუცხრომელი მუშაკი და მკითხველი, არა იმაზე ნაკლებ სჩანდა სომხურს ძველსა და ახალს ისტორიაში. სომხური ძველი და ახალი ენა, ისტორია და მწიგნობრობის ისტორია ისე ზედ მიწევნით იცის, რომ იგი ამით არც ერთ მხითარისტს არ ჩამოუვარდება. როგორც საქართველოს ძველი დროის ცნობები იცის, ქართველი ხალხის თავგადასავალი და სხვა, ასეთი ღირს შესანიშნავი ცნობები ისევე იცის სომხეთის. უნდა ითქვას, რომ ივანე გვარამაძე ამ ორ ენათა ისტორიის წყაროდ უნდა ჩაითვალოს, ნამეტურ ჩვენთვის, რადგან მან კარგად იცის, თუ სომხურს ძველსა და ახალს მწერლობაში სად რა არის საქართველოს და ქართველთ შესახებ დაწერილი და დაბეჭდილი. სომხურს ენაზედ საქართველოს და ქართველი ერის შესახებ დიდძალი ცნობებია დაბეჭდილი, მთელი მწერლობა არსებობს ჩვენს შესახებ და ჩვენ კი მათი არსებობაც არ ვიცით, თუ რამ ვიცით, ისიც რუსულის ან ფრანგულის წყაროებით, რაც შეეხება სომხურის ენის ძირეულ ცოდნას, ამისი ხომ სულ არ გაგვეგება—რა, ამ ჩვენს დიდ ნაკლს თვალსაჩინოდ ჰფარავს და ავსებს მამა ივ. გვარამაძე, რომელმაც და მართლა მშვენივრად იცის ძველი და ახალი სომხური ენა, მასთან ისტორია და მწიგნობრობა, რის საშუალებითაც ბევრი რამ ძვირფასი განძი სომხურის ენიდამ ქართულს ენაზედ, ბევრი უცხო ჩვენთვის დღემდე უცნობი ცნობები გადმონერგა“.

„მართალია, ივ. გვარამიძის ზოგი ნაშრომი მეცნიერულად არ არის გამართული და სრული, მაგრამ მათ ში მკვლევარი ყოველთვის იპოვის საჭირო მასალას. ამ უაღრესად შრომისმოყვარე და ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ადამიანმა წიგნის გადაწერაში გასაოცარი ნებისყოფა და უნარი გამოამჟღავნა. მის მიერ გადაწერილი მრავალი საისტორიო ქრონიკა თუ მატიანე ნაბეჭდს ჰგავს“. (ი. მაისურაძე).

1904 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ წიგნი მიუძღვნა ივ. გვარამაძის ცხოვრება—მოღვაწეობას.

„...ყველაზე უფრო საყურადღებო შრომა მამა ივ. გვარამაძისა არის „ისტორიული ქრონიკები“, რომლებიც საკმარისად ვრცელი წერილებია, იგი დაიბეჭდა 1878 წელს და 1879 წელს გაზეთ „დროებაში“ ფელეტონებით. ამ ქრონიკებით ივ. გვარამაძემ ქართველ საზოგადოებას ბევრი რამ გააცნო მესხეთის წარსულის და აწმყოს შესახებ, გააცნო ოსმალთაგან საქართველოს დაპყრობა, იქ ქრისტიანობის დაცემა და ქართველობაში ისლამის გავრცელება, ათაბაგთა გათათრება, მათი გვარის ფაშები და მათივე შთამომავალნი. სხვა და სხვა შემთხვევები და დევნილობანი ქართველებზედ, XVII საუკუნე და მესხეთში მომხდარი ამბები და ქრისტიანთა დევნილობა...“

„... საქმე ის არის, რომ 1630 წლიდამ 1820 წლებამდე არ ვიცით, თუ მანამდე აქ რა ამბები იყო ქართველთ თავზედ. სად ვინ რა ტანჯვა და მახვილი მიიღო ოსმალთაგან. ამ წლების განმავლობაში მოისპო ქართული ენა, ქართველთ ნაშთები და ხსოვნა და რასაკვირველია, ეს ხანა არის საჭირო და საყურადღებო ყველა ამაების შესახებ. ივ. გვარამაძის ისტორიული ქრონიკები დაწვრილებით თუ არა, გაკვრით მაინც იძლევა ცნობებს“.

1914 წელს ექ. თაყაიშვილმა თავის კრებულში „ძველი საქართველოს“ მესამე ტომში გამოაქვეყნა „ვინმე მესხისაგან“ შეკრებილი ფოლკლორული მასალები. ივ. გვარამაძის მთელი რიგი შრომები და მხატვრული ნაწარმოებები ცალკე წიგნებად დაიბეჭდა („ქართლის ცხოვრება“, „ეშობლები და მათი შვილები“, „წამება მიქელ გობრონისა“, „ყვავილების კონა“ და სხვა).

ივ. გვარამაძე ეკლესიის ირგვლივ შემოკრებილ მრევლს აცნობდა სახელოვანი ქართველი მწერლებისა და მოღვაწეების ცხოვრება-შემოქმედებას. პრესაში გამოქვეყნებულია მისი სიტყვები პ. უმიკაშვილის, მ. თამარაშვილის, კ. ფირალიშვილისა და სხვათა შესახებ.

„რაც შეეხება მამა ივანე გვარამაძის ქადაგებას, უნდა ითქვას, რომ ყველა ამის ქადაგებანი ერთად შეიკრიბოს, იგი რამდენიმე ტომი გამოვა და მასში ბევრი თვალმარგალიტი ქადაგებაც მოექცევა. სწორეთ ცოდვა იქნება, რომ ასეთი მჭევრმეტყველი მოძღვრის ქადაგებანი ერთად არ შეიკრიბოს, ოდესმე ცალკე წიგნად არ დაისტამბოს. ყველაზე საუკეთესო ცხოვრების სარკეთ ეს მისი ქადაგება ჩაითვლება, სადაც მამა ივანე ნათლად გამოსჩნდება, იმიდან ჩვენ კარგად შევიტყობთ, თუ მამა ივანე რა ენერგიის კაცი ყოფილა, რა მიმართულებისა, რა გვარი შეხედულება ჰქონია საქართველოს ძველსა და ახალს მდგომარეობაზედ, ცხოვრებაზედ, და სხვანი... ეს ქადაგებანი სარკეა მისი, სადაც კარგად და ნათლად გამოჩნდება მამა ივ. გვარამაძე. საჭიროა, რომ ამას თვით მოძღვარმა მაინც მიაქციოს ყურადღება და ყველა თავისი ქადაგებანი ერთად აკინძოს“. (ზ. ჭიჭინაძე).

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ივ. გვარამაძის პედაგოგიური მოღვაწეობა გასული საუკუნის 80-იან წლებში ახალციხის იოანე ნათლისმცემლის სახელობის კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებულ სამრევლო დაწყებით სკოლაში, სადაც ახალციხელი ბავშვები მშობლიურ ენაზე იღებდნენ დაწყებით განათლებას და ეწაფებოდნენ მოძღვრის მაღალზნეობრივ იდეებს. ამ სკოლაში მიიღეს დაწყებითი განათლება მ. თამარაშვილმა, ს. ბავრელმა, ი. ლაზარაშვილმა და სხვებმა. ივ. გვარამაძე გადაჭრით მოითხოვდა, რომ ყველა დაწყებით ქართულ სკოლაში პირველ რიგში მშობლიური ენა შეესწავლათ საფუძვლიანად პირველი კლასიდანვე, და დასძენდა — „გვწამს ქართული ენისა და მისი კილო-კავების, გეოგრაფიული სახელების საფუძვლიანი შესწავლა უშრეტი წყაროა საქართველოს ისტორიისა...“. „გაუქმება ენისა არის ნიშანი ეროვნების მოსპობისა...“ და მოუწოდებდა: ნუ გაზრდით შვილებს უცხო წესზე... შეაყვარეთ სულით და გულით თქვენს შვილებს სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზე, ვინაიდან, „თავისი სამშობლო ენის შესწავლით უნდა გაიცნოს კაცმან თავისი ქვეყანა, თავისი მოდგმა, თავისი ტომი, თავისი არსობის ავ-კარგი, თავისი ნათესაობა, თავისი მეზობლობა...“

შ. ლომსაძის წიგნში „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი“, ვკითხულობთ: „მამას მიხეილი, როგორც ყველაზე გონებამახვილი ბავშვი, ჯერ სწავლაში გამოუცდია და განთქმული მღვდლისა და საზოგადო მოღვაწის, „ვინმე მესხის“ სახელით ცნობილი ივ. გვარამაძისათვის მიუბარებია—იოანე ნათლისმცემლის ე.წ. „ქვე-

მო ეკლესიის“ სამრევლო სკოლაში. მ. თამარაშვილმა ივ. გვარამიძისაგან მარტო წერა—კითხვა კი არ შეისწავლა, არამედ, „ღრუბელსავით შეისვა მამულის სიყვარული და მისთვის თავდადების აუცილებლობა“.

ივ. გვარამაძემ თავიდანვე შენიშნა ნიჭიერი შეგირდის მისწრაფება და საგანგებო წვრთნა დაუწყო მას, როგორც დიდი საქმისათვის მოვლენილ კაცს. შემდგომში სულიერად ამხნევებდა, ნივთიერად ეხმარებოდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა სამშობლოდან უცხო მხარეში გადახვეწილ მ. თამარაშვილს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ურთიერთობა არ გაუწყვეტია თავის მოძღვართან.

ივ. გვარამაძეს მიმოწერა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკ. წერეთელთან, რაფ. ერისთავთან, დ. ბაქრაძესთან, ლ. ბოცვაძესთან და იმ დროის სხვა ქართველ მოღვაწეებთან. ამ წერილებში უმთავრესად თავისი ნაშრომებისა და წიგნების გამოცემის შესახებ საუბრობს, აწუხებს ქართული ენის ბედი.

1896 წლის 22 მარტს ი. ჭავჭავაძისადმი მიწერილ წერილში საუბარია გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებაზე. ამ წერილის ავტორი წარმოგვიდგება, როგორც დიდი მამულიშვილი და გამაჰმადიანებული ქართველებისათვის თავდაუზოგავი მოღვაწე, რაც წერილობითაც აღუნიშნავს იმერთა ეპისკოპოს გაბრიელს.

„მე რომ მოვხუცებულვარ და ვერა მირგია სამშობლოსათვის და ახლა რაღას ვარგებ? თითო ოროლა თუ კრინტს ვძრავ, იმისათვის, რომ ეგებ გაიღვიძონ ჩვენი მხარის ღრმად მძინებულთა და თავს უშველონ რამე, კეთილი მწყემსი ჰსჭირიათ და სად არის.

მანდაურ საქართველოს ყოველ მხრიდან წარდგნენ არჩეულნი პირნი თავიანთ საზოგადოებისაგან და ახალციხითგან და ჯავახეთიდგან არავინ გაჩნდა პატივსაცემად. დიდი ხანია ეს მაწუხებს და მწვავს საშინლად გულს, რომ სამესხეთო ასე დიდად დაცემულია და ხელის მხლებელი და აღმდგენელი არავინ არა ჰყავთ...“ განა დასავიწყიაო, (განაგრძობს ივ. გვარამაძე), საქმენი და ღვაწლი გაბრიელ ეპისკოპოსისა, მაჰმადიანი ქართველებისათვის, ვისი ღვაწლითაც კვლავ ამოქმედდა და გაიხსნა ვარძიისა და საფარის მონასტერი ბერებისათვის“.

საყურადღებოა, რომ ა. წერეთლისა და ივ. გვარამაძის დამოკიდებულებაში ნათლად ჩანს ნდობითა და პატივისცემით გარემოსილი ურთიერთობა. ივარაუდება, რომ ივ. გვარამაძე აკაკის თავის ნაწარმოებთა და თხზულებათა კრიტიკოს რედაქტორად თვლიდა, აკაკიც დიდი გულისყურით ეპყრობოდა მის ნაშრომებს, საფუძვლიანად განიხილავდა მათ და ავტორს თავის აზრს აწვდიდა.

ლიტერატურის მუზეუმის ფონდში დაცულია წერილები „ვინმე მესხისადმი“ ი. როსტომაშვილისაგან, დ. მუღაშაშვილისაგან, რომელიც გაზეთ „ჯვარი ვაზისას“ რედაქტორობდა, ზ. ჭიჭინაძისაგან, ი. ისარლიშვილისაგან და დ. ჯანაშვილისაგან.

ზემოთ ჩამოთვლილი წერილების ავტორები დიდი პატივისცემითა და სითბოთი მოიკითხავდნენ ივ. გვარამაძეს და ყველა ერთხმად აღნიშნავს გამოჩენილი მამულიშვილის ღვაწლსა და დამსახურებას ქართველი ერისა და განსაკუთრებით კი მესხეთისადმი.

„ჩვენ, ქართველები დავალებული ვართ თქვენგან და აქ ყველა თქვენს მეცადინეობას და შრომას ბედკრულ საქართველოსათვის დიდად აფასებენ. თქვენგან დაწერილი ისტორიული მასალები დაუფასებელ ადგილს დაიჭერს საქართველოს ისტორიაში...“ — წერს ზ. ჭიჭინაძე.

ამავე წერილში ზ. ჭიჭინაძეს მოჰყავს სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეთა აზრი ივ. გვარამაძის შემოქმედებაზე და იხსენებს იმ ფაქტს, რომ გ. წერეთელს თავის ლექციაში განსაკუთრებით მოუხსენიებია ივ. გვარამაძის ღვაწლი. წერილი დათარიღებულია 1880 წლის 25 ოქტომბრით.

სხვა წერილები აღნიშნავენ სხვადასხვა საკითხებს სხვადასხვა დროის შესახებ და საინტერესოა ივ. გვარამაძის ფართო საზოგადო დიაპაზონისა და უანგარო მოღვაწეობის დასახასიათებლად.

როგორც გაზეთი „დროება“ გვამცნობს, 1880 წელს ჯავახეთის მიყრუებულ სოფელ ხიზაბავრაში ივ. გვარამაძეს აკად. მარი ბროსეს გარდაცვალების გამო პანაშვიდი გადაუხდია, ხოლო მ. თამარაშვილის გარდაცვალების გამო მთელი დღიური დაუწერია. ასეთივე ხასიათისაა რ. ერისთავის იუბილესა და ა. ყაზბეგის გარდაცვალების აღსანიშნავად წარმოთქმული სიტყვები, რომელთა ავტოგრაფები ინახება ახალციხის მუზეუმში.

1982 წელს გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ ივ. გვარამაძეს „თვალსაჩინო მოღვაწე“ უწოდა და დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით მის მოღვაწეობაზე სათანადო ინფორმაცია გამოაქვეყნა (იხ. 1982 წ. 28 მაისის ნომერი). ინფორმაციის ავტორი გივი ახვლედიანი აღნიშნავს, რომ ივანე გვარამაძეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ავტორი ხაზს უსვამს ივ. გვარამიძის ნაყოფიერსა და უანგარო სამსახურს, გაწეულს თავისი ერისათვის.

აღსანიშნავია ივ. გვარამაძის მოღვაწეობის შესახებ ი. მაისურაძის სტატია, მოთავსებული კრებულში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო განმანათლებლები“ (გამომც. „განათლება“, თბილისი, 1986 წ. კრ. III. გვ. 41). სტატიას დართული აქვს ივ. გვარამაძის ნაშრომთა არასრული სია და აგრეთვე ბიბლიოგრაფია მის შესახებ გამოქვეყნებული მასალებისა.

1982 წლის 28 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო საქმეთა სამმართველოს სხდომათა დარბაზში შედგა საქ. მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ივ. გვარამაძის დაბადების 150 წლისთავს. დოცენტმა ი. მაისურაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.

სხდომამ მიიღო დადგენილება, ივ. გვარამაძის სახელის უკვდავსაყოფად გამოიცეს მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული, პედაგოგიური, ფოლკლორული და ლექსიკოლოგიური ხასიათის თხზულებათა კრებული, დაიბეჭდოს ბროშურა მის ცხოვრება—მოღვაწეობაზე, მესხეთის რაიონებში გაიმართოს ანალოგიური საიუბილეო გამსვლელი სამეცნიერო სხდომები, ასპინძის რაიონის სოფ. ხიზაბავრას სკოლას, ახალციხის ერთ-ერთ ქუჩას და ქ.

ვალეს ბიბლიოთეკას ეწოდოს ივ. გვარამაძის სახელი...

წარმოდგენილი მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ მამა ივანე გვარამაძე იყო დაუცხრომელი მამულიშვილი, ვისი ინტერესები და საქმიანობა ემთხვევა ჩვენი ერის გამოჩენილ მოღვაწეთა — ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა ინტერესებს. მის მიერ აღზრდილი მოწაფეებიც მასავით დიდი გატაცებით ემსახურებოდნენ ჩვენს ერს. ასე, რომ ივ. გვარამაძის სასულიერო და საერო ღვაწლი ქართული კულტურის, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის კულტურის შესწავლა—პროპაგანდის საქმეში ფასდაუდებელია, ხოლო მის მიერ გამოზრდილი მოწაფეების დასახელებაც საკმარისია, რომ ნათელი გახდეს ამ ჭეშმარიტად ნათელი მამულიშვილის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე.

ზურაბ თორია

მღვდელ ივანე გვარამაძის წერილი აკაკი წერეთლისადმი

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ილია ზურაბიშვილის არქივში, ინახება მღვდელ ივანე გვარამაძის წერილი აკაკი წერეთლისადმი. მკითხველს ვთავაზობთ ივ. გვარამაძის წერილს აკაკი წერეთლისადმი პუბლიკაცია მოამზადა მუზეუმის თანამშრომელმა ლ. აფაქიძემ.

„თქვენო ბრწყინვალებავ თ. აკაკი წერეთელო, ბატონო ჩემო!

მოგიკითხავთ საუფლო ლოცვა—კურთხევით პირველად და შემდგომ მოგისამძიმრებ თ. გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანის გარდაცვალებასა. მოწყალე ღმერთმან მისი დანაკლისი დღე თქვენ მოგცესთ და მის მემკვიდრეთა. გთხოვთ ეს სამძიმარი გადასცეთ თ. რაფიელ ერისთავსაცა! ამ წერილთან ერთად გახლავსთ სამძიმრის წერილი „დროების“ რედაქციაზედა, თუ დაბეჭდეს!..

რაც თქვენ მიბრძანდით, ვერა შევიტყვე რა თქვენი. ერთხელ გაზეთში თვალი მოვკარ, ტაბასტა მოგსვლოდათ და დიდად ვნაღვლობდი. გავლილად ბ.ი. ალხაზოვი ვნახე და იმანაც არა მითხრა რა თქვენზედა. ვწუხდი სწორე მოგახსენოთ, მეტადრე სამდურავი თქვა „შრომის“ რედაქციაზედა, რაესვე მუდამ მე მაგას ვტირ, რომ ყველა თავის პიროვნულ ინტერესს ეძებს და მამულის მსხვერპლთა კი არაფრად სთვლიან.

გავლილ კვირას, შუა დიდმარხვის წინად, ვიღაც იგნატოვი გამომძიებელი მოსულიყო ახალციხეს, სომხის კათოლიკეს პლანის თავიანთ ეკლესიის თაობაზედ უჩივლიათ მინისტრთან, რომ ახალციხის ძველ მცხოვრებნი ქართულ ენას ხმარობენ ჩვენს ეკლესიაში და ქართველ კათოლიკობასაც ირქმევენო. ეს და ამისთანა კილაუზური რადაცეები შეურევიათ და საქმედ გაუხდიათ. მგონი „გოლოსშიაც“ ყოფილა რაცღაები.

საჩქაროდ ჩაველ სხვა მიზეზებით რა, ის დამხვდა. მკითხა ზოგიერთი რამ ფაქტები, მართლა თქვენ ქართველ—კათოლიკენი ყოფილხართ ადრეო? გაუძეღ წინ და დავაროვინე ძველი ქალაქის ეკლესიები და ვაჩვენე ისევ წ. გიორგის ტრაპეზის უკან შენახული ძველი ტრაპეზის ქვა ხუცურად ნაწერი, წ—ა ივ. ნათლისმცემლის ეკლესიაში, აგრეთვე წ—ა ჯვრის ეკლესიის ქვის ძეგლი და ქართული ხატები.

შემდგომ ახალქალაქს ავიდა, მეც თან ვახლდი. დაიბარა კარტიკამის მღვდ. იაკობ იგიდხანოვი და რამდენიმე მოხუცებულნი, ჰკითხა ქართველ კათოლიკობის მარხვების თავობაზედ. ცხადად მოახსენეს, რომ ჩვენ 1841 წლამდის ქართველთ ტიბიკონს ვინახევდით, მარხვები სრულ ქართველებთან გვეჭირა და მერმე სომხის ტიბიკონს მიგვაჩვიესო. კითხულობდა აგრეთვე სავარდსა (Rosarios) ვარდისფენობის დღესასწაულსა, შობის ცხრა დღის დიდებასა და ორმოცეულ ლოცვასა.

შემდგომ ჩემთან ერთად ს. ხიზაბავრას უნდა ჩამოსულიყო. მითხრა, მე დავრწმუნდი აღარ ვსაჭიროებ ხიზაბავრას მოსვლასო და მე გეახელით. რამდენიმე დღის შემდგომ ხიზაბავრის ნაცვალი დაებარებინა ხიზაბავრას ჩემს უცოდნელად. მეორე დღეს უვიცად კი კარს მომადგა, მივუტანე, ვუჩვენე ძველი ხელნაწერი ქართული გალობების წიგნები, 80 წლის წინად გადმოწერილი ძველი წიგნებიდგან, ლათინების რიგის გალობა-ფსალმუნები, ჯვარის გზა, სომხურითგან ნათარგმნი ლიტურღიის დიაკვნების მთელი საგალობლები და მისთანა ხმარებული გალობანი. მოიწვია 80 წლის მოხუცებულები და ჰკითხა, ყველამ უპასუხეს, რომ მუდამ ქართული ლოცვა—გალობები გვქონია წირვაზედაო, ვარდისფენობად, მარტის პარასკევის კ-ის გზა, შაბათ ორმოცეული კურთხევანი, ცხრა დღის ნეტარებანი, ოთხშაბათს, პარასკევს და კვირა უქმეებს სავარდის ლოცვანი, აღდგომის გალობა სრულ ქართულად გვქონიაო. ვნახოთ რა შედეგი ექმნება ამ ბოროტებას?

მგონი სასულიერო სომეხთ კათოლიკეთ პრავლენიის გაცარცვა სწადიათ კრო სომეხთ კათოლიკეთ ჩვენგან,

მაგრამ ეგ ხელმწიფე ნიკალამ ჩვენ ძველ მცხოვრებთ **გვიწყალობა** და არა კროებსა, რადგან კავკასიაში ახალ-**ციხე** კათოლიკობის ცენტრი არს, დიდი ნაწილი აქეთგან **განფენილ** არიან!..

მე ვუჩვენე ისტორიულად ჩვენი სომხის ტიბიკონზედ გადასვლა ქართველ კათოლიკობითგან 1631-ით 1635, 1642-ამდის. პატრი პავლე და პატრი კლიმა გალანოსის თავოსნობითა. ეს პირები მოხსენებულია მ. ჩამჩინის ის-ტორიაში, რომ საქართველოს მოსულან, გალანოოსს ქა-რთულიც სცოდნია, პავლესაც სომხური, უკანასკნელს იმ დროს სომხის კათოლიკოზისთვის პაპთან მარჩლების წერილიც მიუწერინებია და ეს ვუჩვენე ფაქტად, ჩვენს ტიბიკონის შეცვლაზედ სახმარს გარემოებათა, თუმც ჩა-მჩინი არას ამბობს ჩვენზედა.

გთხოვთ უმორჩილესად, თუ საჭიროდ დაინახოთ, წე-რილებს ნუ მომაკლებთ. მოგიკითხამთ ლოცვა-კურთხე-ვით და სიყვარულით თ.რ. ერისთავს და ვინც თანაგვი-გრძნობენ და საკუთრად ბ. დ. ბაქრაძე.

მარად თქვენი მლოცველი უღირსი მონა

10 აპრ. 1883 წელსა

ს. ხიზაბავრას. **მესხი ივ. მღ. გვარამაძე**

წერილი ახალციხეზედ იყოს. ჩემი შვილები მიიღებენ“

(ლიტ. მუზეუმი, ხელნაწერი № 22359)

ვ ა რ ძ ი ა ში



ნაშრომი განძად დაშთეგის

ოსმალოს საქართველო 1877 წ.

ილია მართალი

ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენებულს ნაწილებს ოსმალოს საქართველოისას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისათვის, და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში. როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალოს ზედ მოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთ ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განამტკიცებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველს საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთ-თაყვანების სარ-

წმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმიდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ასტყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის" თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოს დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდნენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელ-მთავართა ზედა". ეს მოხდა 586 წ. ქრისტეს შობიდან. ამგვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისაცა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და სასიკეთო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღრმთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენნი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხის-ტყაოსნის" მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თვის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა. თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენის ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ ამ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანასა, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ესე იგი, მას უამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა, და იგი ადგილი წოდებულ იყო სამცხე-საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ, და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-გაწირულობით, თავ-დადებით ებრძოდნენ ოსმალოთა. ასე, რომ ოსმალებმა ვერა დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ-თუღიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავად-აზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდუროობითა; სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტნეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი სამღთო-საერო წიგნები ცეცხლს მიჰსცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამ-

ძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ, და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნული და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტი წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთო მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს ოსმალების იდუმალად თურმე.

ეგრეთ, — მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლ-დანთხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნულნი და ჩაგრულნი — აქ, ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუ თუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორიათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...

ილია მართალი (ჭავჭავაძე)

ასპინძა. თმოგვის ციხე-სიმაგრე



შოთა რუსთაველი. მხატვარი ს. ქობულაძე



სამხრეთ საქართველო ანუ ძველი მესხეთი

საზოგადო მიმოხილვა

მესხეთი უწინდელს დროში ერქვა საქართველოს ნაწილს, რომელიც ჩრდილოეთით ისაზღვრება თრიალეთის მთით, ბორჯომის ხეობით და იმერეთ-გურიის მთებით. დასავლეთით — შავი ზღვით, აღმოსავლეთით — სომხეთით და სათათრეთით, სამხრეთით — ტრაპიზონის კიდით. ამჟამად იგი შეადგენს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრასა და ბათუმის გუბერნიას. ხსენებულს საზღვრებს შუა მდებარე ქვეყანა სივრცითა და მცხოვრებთა რიცხვით უწინდელს დროში სჭარბობდა მთელს ქართლ-კახეთს. თუმცა საქართველოს ბევრი მტერი სცდილობდა სხვადასხვა დროს სამუდამოდ მოეგლიჯა ეს მხარე ჩვენი ქვეყნისათვის, მაგრამ დიდხანს ვერ ეწივნენ თავის წადილსა; მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეში ოსმალეთმა იმძლავრა და მოაშორა იგი საქართველოს. ოსმალეთს, რასაკვირველია, უნდოდა, რომ ეს მხარე სამუდამოდ შეენარჩუნებინა; ამისათვის ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ აქაურის ქართველებისათვის ქართული ენა დაევიწყებინა და თათრული ენა გაევრცელებინა, ქრისტიანობა ამოეფხვრა მათ შორის და მაჰმადის სჯულზე დაეყენებინა. თუმცა აქაურმა ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ოსმალოთ და არას გზით არა სურდთ თავისი სჯულისა და ენის დალატი, მაგრამ ბოლოს იმდენი ტანჯვა და წვალება მიადგათ, რომ იძულებულნი გახდნენ მაჰმადის სარწმუნოება მიეღოთ. ენის გამოცვლა და დავიწყება კი ასეთი ადვილი არ იყო და ამიტომ აქამდი გამაჰმადიანებულს საქართველოში ბევრნი ლაპარაკობენ ქართულსა და დედაენადაც ეს მიაჩნიათ. წარსული საუკუნის დამდეგს, სახელდობრ 1828 წელს, რუსეთმა წაართვა ოსმალეთს ჩრდილოეთი ნაწილი ამ მხრისა — ახალციხისა და ჯავახეთისა. ამ ოცდაათის წლის წინათ, 1877 წელში, შუაგულიც ამ ქვეყნისა შემოიერთა. სამხრეთი ნაწილი კი ისევ ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ დარჩა. საუბედუროდ, ჩვენი ახლად შემოერთებული ძმები რუსეთის ქვეშევრდომობას ვერ შეურიგდნენ, აყრა ამჯობინეს და ნახევრამდე ოსმალეთში გადასახლდნენ.

აქედან სჩანს, რომ მესხეთის ისტორიაში ორი ხანა განირჩევა. პირველს ხანას შეადგენენ ის ხანგრძლივი საუკუნენი, რომელთა განმავლობაში იგი საქართველოს ეკუთვნოდა; მეორე ხანას შეადგენს დრო ოსმალეთის მფლობელობისა. ამ ორ ხანას შუა თითქმის ისეთივე განსხვავებაა, როგორც დღესა და ღამეს შუა. ამას ცხადად დაინახავთ შემდეგი სტრიქონებიდან.

შუა საუკუნეებში, როდესაც საქართველოს სამეფო ჰყვაოდა, მესხეთი ძლიერ დაწინაურებული ნაწილი იყო ჩვენის ქვეყნისა. განათლებით, მოქალაქეობით, სხვადასხვა ხელოვნების ცოდნით მესხნი ბევრად სჯობდნენ სხვა ქართველებსა. ამისი მიზეზი იყო სიახლოვე მათთან საბერძნეთისა, რომისა, ბიზანტიისა და სხვა განათლებული სახელმწიფოებისა. ამ ქვეყნებთან აქაურებს შავი ზღვით ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ, სწავლობდნენ მეცნიერებასა, გონივრულს წესებსა და შემოჰქონდათ ისინი თავის ქვეყანაში. აქ მერვე საუკუნეში პირველად გამოიჩინა თავისი ძალა ბაგრატიონთა გვარმა და აქედანვე გაავრცელა თავისი მფლობელობა მთელს საქართველოზე. აქ არის აშენებული უკეთესი ტაძრები და მონასტრები, უკეთესი მთელს საქართველოში სიმშვენიერითა და ხელოვნებით. აქაური ქართველები იყვნენ მცველნი მაშინდელს საქართველოს სამეფოსი და სახელგანთქმულნი მეომარნი. როდესაც გარეგანნი მტერნი შემოგვესეოდნენ, მესხებს უპირველესი ადგილი ეჭირათ ბრძოლაში. ესევე უნდა ითქვას სწავლა-განათლებაზე. უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო და საერო თხზულებათა მთარგმელნი, სახელოვანნი მწერალნი მესხეთის შვილნი იყვნენ. წმიდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელი, გამოჩენილნი

ღვთის-მეტყველნი, ამ ქვეყანას ეკუთვნოდნენ განვითარებულნი ენითა და სწავლით, პეტრიწი კავკასიძე, პოეტი სარგის თმოგველი, სახელოვანი შოთა რუსთაველი, უკვდავ „ვეფხის-ტყაოსნის“ დამწერი, იყვნენ აგრეთვე ამ მხრის შვილნი. სწავლა-განათლება, მამულის სიყვარული თითქმის ოდიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას შუა საუკუნეებში. რაღა თქმა უნდა, რომ, თუ რომელსამე მხარეს შეუძლია ხსენებულნი მაღალ-ნიჭიერნი და დახელოვნებულნი მწერალნი შობოს, იქ საზოგადოდ ხალხის ენაც კარგად უნდა იყოს შემუშავებული და სწავლა-განათლება გავრცელებული. აი ერთი უცხო მოგზაური რას ამბობს ამ მხარეზედ: „უძველეს დროში მთელი ეს მხარე აღყვავებული იყო; ხელოვნება და მეურნეობა ჩინებული ჰქონდა; თვითონ კლდეებში, სადაც კი ადამიანს ხელი მიუწვდებოდა, გამოჭრილი იყო არხები, რომელსაც ახლაც განცვიფრებაში მოჰყვეხართ; ეს ადგილები დიდროვანის ქვის ზღუდეებით კიბე-კიბე იყო შეჭრილი და შემკული მრავალი ვენახებითა და ბაღით, თუმცა მდებარეობა მხარესი მთა-კლდოვანია, მაგრამ მესხის შრომამ და ხელოვნებამ ყველაფერს სული შთაბერა. აქ ისე უხვად მოდიოდა მოსავალი, რომ როდესაც საქართველოში შიმშილობა ჩამოვარდებოდა, აქაური პური ჰკვებავდა“.

განათლებული სიდარბაისლე მესხთა ისეთი განთქმული იყო, რომ სახალხო ლექსებშიაც კი იხსენება: „პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა“. — ამბობს ერთი სახალხო ლექსი.

ერთი დიდი სამსახური კიდევ მიაგო ამ მხარემ საქართველოსა: მეათე საუკუნემდე მთელი საქართველო დაგლეჯილი და დანაწილებული იყო პატარ-პატარა სამთავროებად და სამეფოებად. მაშინდელმა მესხეთის მფლობელმა დავით კურაპალატმა იშვილა ბაგრატ მესამე, მეფე ქართლისა, და მთელის საქართველოს მეფედ დაადგინა. ამ დროიდან იწყება ძველი საქართველოს ერთობა, გაძლიერება და აღზევება...

მაგრამ ოსმალების შესევა ევროპაში და იმათგან დაპყრობა კონსტანტინეპოლისა და შემდეგ ტრაპიზონის დაჭერა მეტად ცუდი მოვლენა იყო საქართველოსთვის. მესხნი ოსმალთ მოსაზღვრედ სცხოვრობდნენ, მაშასადამე, ოსმალების შემოსევას ვერ გადაურჩებოდნენ. მართლაც, ოსმალნი შემდეგ ტრაპიზონის იმპერიის დამონავებისა, მოაწვნენ ამ მხარეს. ასტყდა სასტიკი ბრძოლა; დიდი ვაჟკაცობა და თავგანწირულება გამოიჩინა მესხეთმა, მაგრამ მტრის სიმრავლისაგან ძლეულ იქმნა და იძულებული გახდა ოსმალეთს დამორჩილებოდა.

ოსმალები ფიქრობდნენ, თუ მესხნი მართლმადიდებელ ქართველებად დარჩებიან, ამით რუსეთი უსათუოდ ისარგებლებს და ეცდება ფეხი ჩამოდგას ჩვენს ქვეყანაშიო. ამის გამო ოსმალებმა იმ თავითვე სასტიკი დევნა დაუწყეს მესხების ენასა, ჩვეულებასა და სარწმუნოებას, ამითი უნდოდათ ქართველობა შეესუსტებინათ, გაექროთ და გაეთათრებინათ. თავად-აზნაურობა დაიქსაქსა აქედან და საქართველოს სხვა კუთხეებს შეეხიზნა. ხალხი ასწერეს და უწინდელზე ბევრად მეტი ხარჯი დაადვეს, საეპისკოპოსოები და მონასტრები დასცეს და მათი ქონება და ავეჯეულობა მიითვისეს. ეკლესიების მაგიერ მეჩეთები აღმართეს. ქართველი ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ, უწიგნოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული ნელა-ნელა მიეცა მაჰმადიანობას. ხოლო ბევრი აქაური ქართველი იმითი ასცდა გამაჰმადიანებას, რომ ფრანგის, ან სომხის სარწმუნოება მიიღო...

სამართალი მოითხოვს ვთქვათ, რომ რაკი ქართველებმა მაჰმადიანობა მიიღეს, ახალმა მთავრობამ მათ დაუწყო უფრო უკეთესი მოპყრობაც, ვიდრე ეპყრობა თვით ოსმალებსა, სხვათა შორის, ოსმალეთმა შესძღვნა გამაჰმადიანებულს მესხეთს ერთი დიდი სიკეთე. მან სრულიად გააუქმა ბატონყმობა და აქ დარჩენილნი თავად-აზნაურნი შეიქმნენ უბრალო მემამულენი, რომელთაც ნება არა ჰქონდათ გლეხებისაგან მოსავლის მეხუთედის მეტი აეღოთ.

თუმცა რამდენიმე საუკუნეა გავლილი მას შემდეგ, რაც მესხნი საქართველოს განშორებულნი იყვნენ, მაგრამ აქამდე ისინი თითქმის არ განსხვავდებიან ქართველებისაგან არც ხასიათით, არც ზნეობითა და ჩვეულებით და არც შინაური ყოფა-ცხოვრებით. შესანიშნავია აგრეთვე, რომ მთელს ამ მხარეში განთქმულია თამარ მეფის სახელი ისევე, როგორც სხვაგან საქართველოში. იქაც თამარს მიაწერენ ყოველს ძველს შენობას: ციხე-სიმაგრეებსა, მშვენიერ ხიდებსა და ტაძრებს. მამა-პაპური სარწმუნოება აქამდე არ არის სრულიად დავიწყებული. ბატონი გიორგი ყაზბეგის მოწმობით, ზოგნი მაჰმადიანობას მხოლოდ გარეგნობით აღიარებენ, გულში კი ისევ ქრისტიანულს სარწმუნოებას იმარხავენ. მარხვის დღეებს ძველებურად ინახავენ. ჩვენებურ ბედნიერ დღეებს დღესასწაუ-

ლობენ, ძველ ტაძრებთან იკრიბებიან და ლოცულობენ, თანაც სწირავენ სანთელ-საკმელსა, ქათამსა, ზვარაკმოზვერსა და სხვას. დიდძალი ხალხი დაიარება 14 ენკენისთვეს ხახულის ღვთის-მშობლის მონასტერში, რომელიც მდებარეობს ჭოროხის ხეობაში და რომელიც ძველადვე სახელგანთქმულია მთელ საქართველოში. ხახულის ღვთის-მშობლის ხატი გელათის მონასტერში ასვენია და დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფისაგან მდიდრად არის შემკული. ხახულის მონასტერი აქამდე მთლად დაცულია აქაური ქართველებისაგან. რომ აქა-იქ ჭოროხის ხეობაში ქართველების რიცხვში ურევიან ნამდვილი მართლმადიდებელის სარწმუნოების მიმდევარნი, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ფარხალის ხეობაში, იქ, სადაც არის მშვენიერი ხელოვნების მონასტერი ფარხალი, 1874 წელს ბ-მა გიორგი ყაზბეგმა პოვა ქართველ მართმადიდებელთა მრევლი, რომელსაც თავისი საკუთარი მღვდელი თურმე ჰყავდა, გვარად ღებრიძე. რომ ცოტანი არ უნდა იყვნენ აქამდე ქრისტიანნი გამაჰმადიანებულ მესხეთში, ჩუმად ან ცხადად, ამას გვაგულისხმებინებს ის მოვლენა, რომ ბევრი აქაური ტაძარი და მონასტერი აქამდე დაცულია. სჩანს, ამ წმინდა ადგილებს მცველად ერთგულნი მორწმუნენი ჰყოლია, თუ რომ ოსმალები მათ ვერ შეეხებიან.

დიდი მნიშვნელობა, რომელიც ამ მხარეს ჰქონდა ძველს დროში მთელი ქართველებისათვის, ბევრით დამოკიდებული იყო აქაური ბუნების სიმდიდრეზე, მრავალი მთა, რომლებითაც მოფენილია მთელი ეს ქვეყანა, შემოსილი იყო და არის ხშირი ტყით, რომელიც აძლევდა მასალას არა მარტო შენობისათვის, არამედ ნავებისა, გემებისა და ხომალდების კეთებისათვის. აქაურნი ველნი და ვიწრო ღელენი მთებს შუა იპყრობენ მეტად ნაყოფიერ ნიადაგს, რომელსაც მრავალგვარი მოსავალი მოჰყავს. მოსავალს ხელს უწყობს აგრეთვე აქაური თბილი ჰაერი, რომლის მიზეზი არის სამხრეთით მდებარეობა ამ ქვეყნისა და სიახლოვე შავი ზღვისა. ზღვისავე სიახლოვის გამო ამ მხარეს ძალიან ხშირად მოსდის წვიმა, რის გამოც იგი წყლით მდიდარია. უმთავრესი მდინარენი არიან: ჭოროხი, რომელიც ქვემო წელში ნავთმზიდველია, მტკვარი, რომელიც მომდინარეობს მესხეთში ას ორმოცდაათი ვერსის მანძილზე და ჩამოდის ქალაქს არტაანსა, ფოცხოვი, აჭარის წყალი, შავშურა და სხვა მრავალი წვრილი წყლები. ეს წყლის სიუხვე დედამიწის ნაყოფიერებას მეტად აძლიერებს და მდიდარს მცენარეობას ჰბადებს. ყოველი მცენარე, რომელიც ხარობს ქართლ-კახეთში, აქაც იზრდება. ამას გარდა, აქ ბევრი ხოდის იმისთანა ხილი, რომელიც ქართლ-კახეთის სიცივეს ვერ იტანს: ზეთისხილი, ლიმონი და აპელსინი, ანუ ფორთოხალი.

უპირველესი სარჩო ხალხისა სიმინდი, ღომი, ქერი და ხორბალია. ხვნა-თესვის გარდა, აქაურნი მცხოვრებნი შინაურის საქონლის მოშენებასაც მისდევენ: ძროხისა, ცხენისა, ცხვრისა და თხის შენახვა იციან. თამბაქოსაც ბევრს• სთესავენ: უფრო კიდევ მეტი მოჰყავთ ზეთის-ხილი, ლიმონი და ფორთოხალი, საზოგადოდ ხალხი მეტად შრომის მოყვარულია, ზღვის პირად მცხოვრებელნი უფრო ვაჭრობას მისდევენ, თავისი საკუთარი ნავები და გემები აქვთ და სხვადასხვა ნაწარმოები გასასყიდად გააქვთ სტამბოლსა და საფრანგეთში. ზღვის პირს მოშორებულნი მცხოვრებნი კი დამყარებულნი არიან ხვნა-თესვასა და საქონლის მოშენებაზე.

ქონებით მესხნი შემძლებელი ხალხია. ოჯახობა და სახლ-კარი ლაზათიანად და ფაქიზად აქვთ მოწყობილი. უცხო კაცს უკვირს და მოსწონს იმათი სიფაქიზე და სისუფთავე. შენობა ზოგან ქვიტკირისაა, უფრო კი ხის სახლებს აშენებენ, რადგანაც ხე-ტყე უხვად აქვთ. აქ სრულიად ვერა ნახავთ იმისთანა მიწურს სახლებს, რომელშიაც შემწყვდეულნი არიან ქართლელები, და იმისთანა ფარღალალა ხის ოთახებს, რომელთაც იმერლები აკეთებენ და სადაც კედლიდან თავისუფლად შედის წვიმა, ქარი და თოვლი. მესხებს არამც თუ ძირის ოთახები აქვთ კარგად მოწყობილი, ხშირად მეორე სართულსაც ადგმენ ლაზათიანი ფანჯრებითა და მოაჯირებით. ერთი სიტყვით, კეთილს ცხოვრებას აქ უფრო შეჩვეულია ხალხი, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილებში. და ეს იმიტომ, რომ ოსმალეთის მთავრობამ ბატონყმობა აქ იმავ თავით გააუქმა და გლეხებს თავისუფლება მიანიჭა.

მესხეთში გადასახლებამდე ითვლებოდა 200,000 სული მცხოვრები. მაგრამ ნახევრამდე ხალხი ოსმალეთში გაიკრიბა, ასე რომ ახლა მხოლოდ 100,000 მცხოვრები უნდა იყოს ახლად შემოერთებულს მხარეში.

აქ აღსანიშნავია და სასიხარულოა ის მოვლენა, რომ, სადაც კი ერთად ცხოვრობდნენ ქართველი მაჰმადიანები და მართლმადიდებელნი, ყველგან მათ მეტად ძმური განწყობი-

ლება აქვთ ერთმანეთში და ფრიად კეთილი მეზობლობა. სხვა ქართველებიც არამც თუ არ ცდილობენ ქართველი მაჰმადიანების გაქრისტიანებას, პირიქით, მათ შორის ავრცელებენ, მუქთად ურიგებენ მათ საღმრთო წიგნს „კურანსა", რომელიც ამას წინათ გადათარგმნა და დაბეჭდა ქართულს ენაზე ბ-მა პეტრე მირიანაშვილმა.

მესხეთს შეადგენს შემდეგი ნაწილები: ახალციხე, ჯავახეთი, აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, ერუშეთი, ლივანა და ჭანეთი.

კერძო განხილვა

ახალციხის მხარე

თრიალეთის მთის სამხრეთით ახალციხის მხარე და ჯავახეთი მდებარეობენ. ეს ქვეყნები დიდი ხნით იყვნენ ოსმალეთის ხელში და მხოლოდ 1829 წელს შემოიერთა რუსეთმა.

ახალციხის მხარეს მეტად მაღალი მდებარეობა აქვს. ამის გამო აქ ძალიან გრილი ჰავაა. ზამთარი ცივი იცის და ხშირად სამ-ოთხს თვეს დედამიწა თოვლით არის დაფენილი. გიორგობისთვეში, როცა შემოდგომის მშვენიერი თბილი დღეებია ქართლსა და კახეთში, ახალციხის მხარეში თოვლი სძევს და ზამთარი გაჩაღებულია. სიგრილისა და სიცივის გამო ამ ქვეყანაში ქართლისა და კახეთის ბევრი ხილი სრულიად არ ხარობს. აქ ვერა ნახავ წაბლსა, ლეღვსა და ბროწეულსა: ყურძენი ვერ იტანს აქაურს ცივს ზამთარსა და ვენახები აქ თითქმის სრულიად არ არის და ღვინოსაც, რასაკვირველია, აქაურნი მცხოვრებნი მოკლებულნი არიან. ვაშლი და მსხალი კი ჩინებული მოდის და ბლომადაც. ახალციხის მაზრაში ქართველი ტომი ცხოვრობს, მაგრამ ყველა კი ქრისტეს სარწმუნოებას არ აღიარებს. ეს მხარე, როგორც ვთქვით, დიდხანს ოსმალეთს ემორჩილებოდა. უმეტესი ნაწილი აქაური ქართველებისა გაამაჰმადიანა და თუმცა ახლა ჩვენს სახელმწიფოს ეკუთვნიან, მაგრამ სჯული კი მაჰმადისა უჭირავთ. ქართული ენა კი ბევრმა წმინდად იცის. ერთს ნაწილს ახალციხის მცხოვრებისას აქამდე ქრისტიანობა მტკიცედ დაუცავს. გამაჰმადიანებული ქართველები და ქართველი ქრისტიანები უფრო ცალ-ცალკე სოფლებში სცხოვრობენ და ერთად არეულნი არ არიან; მაგრამ მისვლა-მოსვლა და მეზობლობა კი ერთმანეთში გახშირებული აქვთ.

ახალციხის მხარეში მამული სრულიად ბეგების საკუთრებაა. ეს ბეგები არიან ჩამომავალნი უწინდელის, აწ გამაჰმადიანებულის, აზნაურ-თავადიშვილებისა. გლეხკაცი საკუთარს მამულს მოკლებულია, მაგრამ ბატონყმობის ულელს კი დიდი ხანია მოშორებულია. გლეხკაცი საღალოდ მუშაობდა და მუშაობს ბეგების მამულსა და ღალაში აძლევდა მეხუთედზე მეტს არა. თუ გლეხი ერთი ბეგის მამულიდან მეორე ბეგის მამულში გადასვლას მოინდომებდა, დამშლელი არავინ იყო. თვითონ ბეგებს კი არ ჰქონდათ უფლება გლეხები გადაესახლებინათ. აქაურის გლეხკაცების წარმოება მდგომარეობს ხვნა-თესვაში, შინაურის პირუტყვის მოშენებასა და ბაღოსნობაში. აქაური ბაღები ვაზების მაგივრად სხვადასხვა ჩინებული ხეხილით არის სავსე; მეტადრე მსხალი და ვაშლი კარგის გემოსი და ჯიშისა ჰხარობს. კაკალი მეტად დიდი იზრდება და სხმაც ბევრი იცის. შინაურს საქონელში აქ უფრო ხშირია ცხვრისა და ღორის ყოლა. ჭირნახულში სთესვენ: სიმინდს, შვრიას, ქერსა და პურსა, უფრო ახალთესლსა.

ახალციხის მხარეშიაც ერთი ქალაქია — ახალციხე. ძველს დროში ამ ქალაქს ლომისი ერქვა. ახლანდელი სახელი დაერქვა მეჩვიდმეტე საუკუნეში. როცა ოსმალებმა აიღეს ახალციხე, ძველი ციხე დააქციეს, ახალი ააშენეს და იწყეს აქ ბატონობა. ახალციხე სძევს პატარა მდინარე ფოცხოვზე, რომელიც დასავლეთის მხრივ ერთვის ახლო მომდინარე მტკვარსა. ფოცხოვი ახალციხეს ორ ნაწილად ჰყოფს: სამხრეთის მხარეს ახალი ქალაქია გაშენებული, ჩრდილოეთის მხარეს — ძველი ქალაქი. ახალი ქალაქი დაჭერილია სომხებითა და აქ უფრო კარგი სახლებია, განიერი, სწორე და წმინდა ქუჩები, მინამ ძველს ქალაქში. ძველის ქალაქის მცხოვრებლებს შეადგენდნენ ქართველები და ურიები, სრულიად გაქართველებულნი ენით. ქართველებში ბევრი ფრანგია, ზოგი კი მართლმადიდებელი. ძველს ქალაქშივე არის განთქმული ციხე, მაღლა კლდეზე აშენებული, ზედ ფოცხოვის ნაპირზე. ახალციხეში სულ 20,000 მცხოვრებელია. აქ ორი სასწავლებელია: სამოქალაქო სასწავლებელი და უფასო სკოლა ქართველი ქალებისა.

ახალციხის მხარეში შემდეგი შესანიშნავი სოფლებია: აბასთუმანი, სადაც სამკურნალო წყლებია; რუსთავი, სადაც დაიბადა უწარჩინებულესი პოეტი მთელის საქართვე-

ლოსი შოთა რუსთაველი; ურაველი, შესანიშნავი რკინის წყლითა, აწყური, თავისი ფრიად შესანიშნავი ძველი ციხითა; ასპინძა, სადაც ერეკლე მეფემ ოსმალოს ჯარი საშინლად დაამარცხა, და სხვანი.

აქვე არის ორი დიდებული ნაშთი წარსულისა: ვარძია და საფარა. საზოგადოდ, ძველად ახალციხის მხარე მდიდარი იყო მონასტრებითა. პირველ მონასტრად ითვლებოდა ვარძია, რომელიც სძევს სამხრეთ-აღმოსავლეთით ახალციხიდან, მტკვრის ახლო, ხერთვისის ხეობაში. ყველა სხვა ქართული მონასტრებიდან ვარძია გაირჩეოდა იმითი, რომ იგი აშენებული როდი იყო სხვა მონასტრებივით. მისი მრავალი სენაკები ბერებისათვის, ეკლესიები და სამეფო სასახლეები გამოქვაბულნი, გამოჭრილნი იყვნენ კლდეებში და ისეთი ოსტატობით, რომ ბევრად სჯობდნენ აშენებულს შენობებსა. ვარძიის აგება დაიწყო თამარის მამამ, გიორგი მეფემ, ხოლო დაამთავრა იგი თვით თამარ მეფემ. მანვე გაიმართა აქ ორი სამეფო სასახლე — ერთი საზაფხულო და ერთიც საზამთრო, რომელნიც კლდეში იყვნენ გამოჭრილნი. აქ ხშირად უყვარდა მყუდრო ცხოვრება და დასვენება საქართველოს სამაგალითო დედოფალსა. ეს დიდებული და მდიდარი მონასტერი მტრის ხარბს თვალს ძლიერ იზიდავდა, რის გამოც ვარძია რამდენჯერმე იქმნა გაცარცული უსჯულოებისაგან საქართველოს სისუსტის დროსა. უკანასკნელად მეთექვსმეტე საუკუნეში ვარძია სრულიად ააოხრა და ბერებიც ამოჟლიტა სპარსეთის ერთმა შაჰმა. მასუკან ვარძია ვეღარ წამოდგა ფეხზე და ვეღარც მოღონიერდა. ბოლოს სრულიად დაცარიელდა, გაუქმდა, როცა ახალციხის მხარე საქართველოს მოსწყდა და ოსმალოს ჩაუვარდა ხელში.

მიუხედავად ამისა, 15 აგვისტოს, ღვთის-მშობლის მიძინების დღესა, რომლის სახელზედაც აშენებულია აქაური მთავარი ეკლესია, აქ მოდიან სალოცავად ქართველები, არა მარტო ქრისტიანები, არამედ თვით გათათრებულებიცა.

ექვსი ვერსის მანძილზე ახალციხიდან სამხრეთით სძევს მეორე შესანიშნავი მონასტერი — საფარა. რა დიდებული მონასტერი იყო წინათ საფარა, ცხადად სჩანს იქიდან, რომ მასში აქამომდე დაცულია თორმეტი ეკლესია. მათ შორის პირველი ადგილი ეჭირა სიდიდითა და სიმშვენიერით წმიდა საბას ეკლესიას. ეს ეკლესია ძლიერ ჰგავს გელათის ტაძარს, მხოლოდ მშვენიერი ჩუქურთმებითა და ქანდაკოვანებით ბევრად ამჯობინებენ მას. საუცხოვო მდებარეობა მონასტრისა ტყით შემოსილს მთებში. მეტად წმინდა და საღი ჰაერი და ანკარა წყაროები იყო იმისი მიზეზი, რომ ამ კუთხის მთავრებს, რომელთაც ათაბეგები ერქვათ, აქ ჰქონდათ აშენებული საზაფხულო სასახლე, რომელშიაც ატარებდნენ ზაფხულის თვეებსა. უფრო სახელოვანი ათაბეგების სურათები მშვენიერი ქართული ტანისამოსით აქამომდე დაცულია ამ მონასტრის კედლებზე. მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნეში ეს მხარე ჩაუვარდა ხელში ოსმალეთსა. მან დევნა დაუწყო ქრისტიანებს და საფარის მონასტერი გაუქმებამდე მიიყვანა. მხოლოდ ამ უკანასკნელს წლებში ეს მონასტერი განაახლეს რუსმა ბერებმა და დაისადგურეს შიგა. ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ შესანიშნავი მაცხოვრის ხატი საფარის მონასტრისა ქართველებმა წამოასვენეს მეთვრამეტე საუკუნეში და დაასვენეს თბილისში ანჩისხატის ეკლესიაში, სადაც დღესაც ასვენია.

ჯავახეთი

აღმოსავლეთით ახალციხის მხარეს უძევს ჯავახეთი, რომელიც ახლა ახალქალაქის მაზრას შეადგენს. ამ ქვეყანას უჭირავს ახალციხის მხარეზე კიდევ უფრო მაღლობი და ტიტველი მინდვრები. ამიტომ აქ კიდევ უფრო გრილი ზაფხული იცის და ცივი ზამთარი, მინამ ახალციხის მხარეში. თუმცა აქ მიწის ნიადაგი მეტად ნოყიერია, მაგრამ ტყე სრულიად არ მოიპოვება; მდინარეებიც ამიტომ მცირედ არის. ამ მდინარეებში მეტად გემრიელი კალმახი ბუდობს.

უმთავრესი საქმე ჯავახებისა არის ხვნა-თესვა. ხვნა ბლომად იციან, რადგანაც სახნავი მამული უხვად აქვთ და მოსავალიც ჩინებული იცის, მეტადრე პურმა და ქერმა, ჯავახი ჰყიდის პურსა და ქერსა და აღებული ფულით ყიდულობს, რაც საჭიროა იმისათვის. თუმცა ჯავახეთი ურწყავი ქვეყანაა, მაგრამ აქ მოსავალი ძვირად მოსცდება, ამიტომ რომ ამ ქვეყანას შავი ზღვიდან წვიმა უხვად მოსდის. ხვნა-თესვის გარდა, ჯავახები შინაური პირუტყვის მოშენებასაც ძლიერ მისდევენ, მეტადრე ცხვრისას, რადგანაც იალაღი ჩინებული აქვთ.

უტყეობა ძლიერ აწუხებს ჯავახებსა; შეშას თითქმის მთელი ჯავახეთი მოკლებულია. შეშის მაგივრად ჰხმარობენ წივას და რა ტანჯვაში უნდა იყვნენ ამ გარემოების გამო

ჯავახები, მეტადრე აქაურს მეტად ცივს ზამთარში, ეს ადვილი წარმოსადგენია.

სოფლებს ჯავახეთში ისეთი ლამაზი შეხედულება არა აქვს, როგორც სხვაგან საქართველოში. ამისი მიზეზი ის არის, რომ აქ ვენახები არ იპოვება; სიცივის გამო არც ყურძენი და არც რამე ხილი აქ სრულიად არა ჰხარობს. სახლებს აქ აშენებენ ისევე, როგორც ახალციხეში, ე. ი. ქვითა და ტალახითა.

ჯავახეთი ერთად-ერთი კუთხეა საქართველოსი, სადაც ტბები ბლომად არის. მათ შორის უფრო შესანიშნავია ფარავნის ტბა და ბარალეთისა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯავახეთში სცხოვრობენ ბოშები, ანუ ციგნები, რომელნიც მხოლოდ ქართულს ენაზე ლაპარაკობენ. ეტყობა, უძველეს დროში მოსულან აქა.

ჯავახეთში ერთი პატარა ქალაქია — ახალქალაქი, რომელიც ახალციხესავით მაღლობს ადგილზე არის აშენებული ორ დიდ ხევს შუა. წინა საუკუნეებში ახალქალაქი წმინდა ქართული ქალაქი იყო. ეხლა კი მცხოვრებლები აქ თითქმის სულ სომხები არიან, რიცხვით 1.500 კომლი. აქ არსებობს სამ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი: შესანიშნავი სოფლები არის: გომარეთი, ხიზაბავრა, ბარალეთი, ტოლოში და სხვ. აქაურს სოფლებში გლეხობა უმეტეს ნაწილად ქართველებისაგან შედგება.

ა ჭ ა რ ა

აჭარას უჭირავს ჩრდილოეთის ნაწილი მესხეთისა და ისაზღვრება: ჩრდილოეთით — გურიით, აღმოსავლეთით — ახალციხის მხრითა და ჯავახეთით, სამხრეთით — კარჩხალის, ანუ შავშეთის ქედითა და ჭოროხით, დასავლეთით — შავი ზღვით, აჭარა დაფენილია არსიანის მთის კალთებით, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მისდევს და აჩენს მრავალს ხეობას; ამ ხეობაზე მირბის მთის პატარა წყლები, კალმახებით სავსე, ნიადაგს ანაყოფიერებს და შემდეგ ჭოროხს ერთვის. ეს ხეობანი არიან საკმაოდ განიერნი და იპყრობენ მშვენიერს სახნავ-სათეს მინდვრებსა და საძოვრებს. ამიტომ ჭირნახულის მოყვანა და შინაურის საქონლის შენახვა შეადგენს აქ უმთავრეს წარმოებას, ჭირნახულში თითქმის მარტო სიმინდსა თესვენ; პური და ქერიც მოჰყავთ, მაგრამ ძალიან ნაკლებად. ამისი მიზეზი ის არის, რომ სახნავ-სათესი მინდორი ნაკლებად. აქვთ და მხოლოდ სიმინდს შეუძლია იმოდენა მოსავალი მისცეს თავის პატრონს პატარა ადგილიდანაც, რომ მთელის წლის სარჩოდ ეყოს. საქონელს ბევრს ინახავენ, უფრო ზემო აჭარაში. საზღვარზე მდებარე სოფლებიდან დიდძალი კარაქი და ერბო გამოაქვთ გურიაში და კარგ ფასად ჰყიდიან. ბაღოსნობაც გავრცელებულია. ხეხილი აქ ყოველგვარი ხარობს, მხოლოდ ზეთის-ხილი, ლიმონი და ფორთოხალი ვერ იტანს აქაურს მაღლობ ადგილების სიცივესა და ხეირობს მხოლოდ მყუდრო და დაბლობს ადგილებში. საუკუთესო ჯიშის ვაშლი და მსხალი ისე ბლომად მოდის, რომ ბევრი გააქვთ გასაყიდად ახალციხესა, ოზურგეთსა, არტაანსა და სხვაგან. ვენახიც ბევრია და რადგანაც მაჰმადის სარწმუნოება ღვინის სმას უკრძალავს აქაურ ქართველებს, ამიტომ ესენი ყურძნად ჰხმარობენ, ან ჰყიდიან; დაწურვა ყურძნისა და ღვინის დაყენებაც იციან, მაგრამ ამას ბედვენ მხოლოდ ისინი, რომელნიც მტკიცედ არა სდგანან თავის სარწმუნოებაზე და ღვინის სმას შეჩვეულნი არიან. ხშირად სავსე ვენახს ახალციხელები ყიდულობენ, თვითონვე სწურავენ ყურძენს და ტკბილი მიაქვთ თავიანთ ქვეყანაში, სადაც ვაზი სიცივის გამო, ვერა ხეირობს.

ეს ნაყოფიერი და ლამაზი კუთხე უფრო ადვილად შეიძენდა სიმდიდრეს, რომ მისვლა-მოსვლა ძნელი არა ყოფილიყო. მთელს აჭარაში ერთს საურმე გზას ვერ იპოვნით, მხოლოდ ბილიკები მისდევს ერთი სოფლიდან მეორე სოფლამდე და ამ ბილიკებზედ მარტო ცხენით შეიძლება სიარული. როგორც ეტყობა, უწინდელ დროში საქართველოს მეფეებს აქ ბევრი გზაც უკეთებიათ და ხიდებიც უმართავთ, მაგრამ შემდეგ, ოსმალების ხელში, გზებიც გაუქმებულა და ხიდებიც დაშლილა. ზოგი უწინდელი ხიდი კი ისეთი მკვიდრი გამომდგარა, რომ აქამდე მთლად შენახულა. უგზოობის გამო ყოველგვარი ჭირნახულის გამოტანა აჭარიდან და შეტანა მეტად ძნელია და ეს გარემოება წარმოებას ძლიერ აბრკოლებს.

მთელი აჭარა მხოლოდ ქართველებით არის დასახლებული; ბინადარი ცხოვრება აქ არა უცხო ტომს არა აქვს. მხოლოდ აქა-იქ ჰხედავ სომეხსა, ანუ ბერძენს მედუქნეებად. აჭარლები აგებულებითა, ენითა და ჩვეულებით ნამდვილი ქართველები არიან დღევანდლამდე. აი რას ამბობს ბ-ნი გიორგი ყაზბეგი, რომელმაც ოცდაათის წლის წინათ დაიარა აჭარა, როცა ეს ქვეყანა ჯერ კიდევ ოსმალეთს ეჭირა: „სოფელ ბორჯომს რომ დავეშვით, შორიდან ნახირი დავინახეთ; თანაც პატარა ბიჭების გროვა შევამჩნიეთ.

ვარძია. მეფეთ მეფე გიორგი III და მეფეთ მეფე თამარი

მალე იმათი ყივილ-ხივილი ცხადად მოგვესმა. აჭარლები პირველად ვნახე და ვფიქრობდი, ნუთუ ერთმანეთს თათრულად ელაპარაკებიან? ნუთუ საქართველოს არსება აჭარაში გაქარწყლებულა? ბოლოს ახლო მივედი და, ღმერთო ჩემო, თურმე ისევ ქართველები ყოფილან. ბალღები ქართულად ილანძღებოდნენ! ჩვენი მისვლა რომ დაინახეს, ბავშვები დაჩუმდნენ და ფიცხლავ გზაზე შეიკრიბნენ ჩვენს საყურებლად. ჩვენც დავდექით. თხუთმეტიოდე ყმაწვილი ბიჭი ერია, მათ შორის რამდენიმე უფრო კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უნდა შეგეხედათ, რა მშვენიერი სახისანი იყვნენ. ძონძები რომ გაეხადოთ, გეგონებათ, დიდკაცის დარბაზში დაზრდილანო, ისეთი თეთრ-წითელნი და ლამაზნი არიან; ჩვენს მთიულებსა ჰგვანან, მთიულების სახის იერი მოსდევთ. ვინც კი შეგვხვდა, სულ ტანადი მხარ-ბეჭიანი და თვალადნი იყვნენ. სუფთა, გაწმენდილი სახე, ცოტა მოდიდო ცხვირი და შავარდენის შეხედულობა, გრძელი და ხშირი თმა, ყაბალახ-შემოხვეული, — ეს ყოველი წარმოგვიდგენს აჭარელის სურათსა. ტანისამოსი გურული აცვიათ, სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, შინ ოჯახობაში, ქართულად ლაპარაკობენ, თათრული ენა მხოლოდ ხანში შესულმა კაცებმა იციან".

აჭარელი გურულივით მარდია, მხნე და გამბედავი, თოფ-იარაღი ძლიერ უყვარს და მეტად მარჯვე მსროლელიც არის. ამას გარდა, საუკეთესო ზნეობითი თვისებანი აჭარლების არის: მოხუცებულის პატივისცემა, სტუმრის მიგებება, ღირსეულად თავის დაჭერა, ზრდილობა, თავაზიანობა, ცნობისმოყვარეობა და დაუღალავი გამრჯეობა. მთელი დღე კაცი მინდორში შეუწყვეტლად მუშაობს, დედაკაცი — სახლობაში. ყმაწვილი რა წამს მოჩიტდება, მაშინვე მწყემსად გადის და მთელს დროს ტყეში ატარებს.

აჭარაში შესანიშნავი სოფლები არის: თხილოვანი, ხულა, დიდაჭარა, ქედა, კიბე, საღორეთი და სხვანი.

შავშეთი და ერუშეთი

აჭარიდან რომ სამხრეთისაკენ გამგზავრდე, კარჩხალის მთა დაგიხვდება. ამ მთას რომ გადახვალ, ჩახვალ შავშეთში, რომელსაც აღმოსავლეთით უძევს არსიანის მთა. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარე ამ კუნჭულისა დაფენილია კარჩხალისა და არსიანის მთის კალთებით, — იგი მთიან-გორიანი ადგილია და ხეობები ვიწრო აქვს. მხოლოდ შუაგული წარმოადგენს ფართო ვაკეს და იპყრობს ბევრს სახნავთ-სათეს მინდვრებსა. ამ მინდვრებს რწყავს სათლელის მდინარე,რომელსაც ერთვის ბევრი მთის წყალი. ნიადაგი აქ მეტად მომცემია. შავშეთში თესავენ ნაკლებად პურსა, ბლომად — სიმინდსა, რომელიც იმდენი მოჰყავთ, რომ ინგლისელებს ბევრი გააქვთ აქედან ყოველ წლივ.

შავშელები ლაპარაკობენ წმინდა ქართულს ენაზე და გამოთქმით ძლიერ ემსგავსებიან ხევსურებს. შავშელნი ძველს დროში, როდესაც საქართველოს სამეფო არსებობდა, დიდს ვაჟკაცობასა და თავგამოდებულებას იჩენდნენ მტრების წინააღმდეგ. მაგრამ ახლა კი შავშელებში უწინდელი ვაჟკაცობა სრულიად გამქრალა. ესენი ისეთნი მშიშარანი არიან, რომ იმათი მხდალობა და მფრთხალობა აჭარლებში ანდაზად ითქმის. ეს დავარდნილობა, დაჩაგრულობა და გულგატეხილობა უნდა დაჰბრალდეს იმ გარემოებას, რომ შავშეთი განაპირა კუთხეა საქართველოსი და ჩვენი ქვეყნის ყველა მტერი პირველად ამ კუთხეს მოადგებოდა ხოლმე. დიდხანს უძლეს შავშელებმა დაუსრულებელს ბრძოლასა და აუარებელს უბედურებას, მაგრამ ბოლოს ვეღარ შესძლეს, გული გაუტყდათ და დაჩაგრულნი შეიქმნენ: აი რას ამბობს ბ-ნი ყაზბეგი შავშელების ხასიათზე: „შავშეთის სოფელს ყვირილას რომ მივედით, გაგვაკვირვა აქაურის მცხოვრებლების შეხედულობამ: ისეთი საცოდავი სახე ედვათ, რომ ვაჟკაცურის იერისა ერთიც ვერა ვნახეთ, სულ ძონძებში იყვნენ გამოხვეულნი, მწუხარენი და დაგვალულის ტანისანი. ეტყობათ, რომ თავჩაკრულნი, გათელილნი და ღარიბნი არიან. შავშელების მფრთხალობამ მეტადრე მაშინ იჩინა თავი, როდესაც ამ თხუთმეტის წლის წინათ ოსმალოს მართებლობამ მოიწადინა თოფ-იარაღის ჩამორთმევა. ხვანთქრის ბრძანება მთელს ოსმალოს საქართველოში მარტო შავშელებმა აღასრულეს. აჭარლებმა, ჭანებმა და მაჭახელებმა უარი სთქვეს და იარაღი შერჩათ. შავშელები, უხანჯლოდ და უდამბაჩოდ დარჩენილნი, აჭარლებისა და მაჭახელების თავჩასაკვრელნი გახდნენ და მათგან მოსვენება აღარა ჰქონდათ".

შესანიშნავია, რომ შავშელები თავის თავს ქართველებად აღიარებენ; ყველამ იცის და ახსოვს, რომ იმის სამშობლო ძალადობით გამოუგლეჯიათ ოსმალებს საქართველოსაგან და ძალდატანებით გაუმაჰმადიანებიათ. სადაც ძველი ეკლესიებია, პატივსა სცემენ და, სხვათა შორის, სანთელს ხშირად უნთებენ. ძველი ეკლესიების ნანგრევები მრავალია

შავშეთში და იმათში ყველაზე მომეტებულად შესანიშნავია ჯერაც მთელი ტბეთის ეკლესია. „ტბეთის ეკლესიას შეუძლია დაამშვენოს თვით რომი, რომელიც განთქმულია ქვეყანაზე ძველის ეკლესიებითაო“, — ამბობს ბ-ნი ყაზბეგი. „ტბეთის ეკლესია თავისის შინაგანისა და გარეგანის მშვენიერებით უფრო დიდსა და მაღალს გრძნობას აღძრავს კაცის გულში, ვიდრე თვით სვეტი-ცხოვლის ეკლესია მცხეთაშიო. აღმოსავლეთის მხარეს ზედწარწერა შერჩენია: აგრეთვე თვით ეკლესიაში მხატვრობა ისეთია, რომ ჰმოწმობს ფრიად მაღალს ხელოვნებას იმ დროებისას. აშენებულია ეს ეკლესია თითქმის ათასი წლის წინათ, 918 წელს“.

შესანიშნავი სოფლები შავშეთში არის: ტბეთი, არტანუჯი და სხვანი.

შავშეთის აღმოსავლეთით, არსიანის მთის გადაღმა ძევს ერუშეთი. ეს კუთხე ბევრითა ჰგავს შავშეთს. თვალსაჩინო განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აქ სომხები და ოსმალები ბევრი ცხოვრობენ, მეტადრე სამხრეთის ნაწილში, და ამ გარემოებას ძლიერ შეუსუსტებია ქართველობა: ქართული ენა უფრო ნაკლებ იციან აქა და ოსმალურს ხასიათსა და წესებს ფესვები გაუდგამს. აქ შესანიშნავი ქალაქია არტაანი, რომელიც მტკვრის პირასა სძევს. ქართველები ამ ქალაქში ძალიან ნაკლებად იპოვებიან, უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა სომხები და ოსმალები არიან.

ქობულეთი

იმ ნაწილს მესხეთისას, რომელიც გურიიდან ჭოროხამდე არის გაგრძელებული აჭარას და შავს ზღვას შუა, ჰქვია ქობულეთი. ქობულეთი უწინ გურიის ნაწილი იყო და ამიტომ აქაურნი მცხოვრებნი აქამდისაც გურულებს ჰგვანან ყოველიმხრით. სახითა და ტანით, ტანსაცმლით, სახლების შენობითა და მდგომარეობით, ხასიათით და ჩვეულებით, მხნეობითა და შრომისმოყვარეობით; ქართულადაც გურულს კილოზე ლაპარაკობენ. გურულებისაგან განირჩევიან მხოლოდ მაჰმადის სარწმუნოებით, რომელიც ძალდატანებით მიაღებინეს ოსმალებმა, მაგრამ ქრისტიანობის პატივისცემა ხალხს აქამდე დაუმარხავს გულში: ბევრი ოსმალეთის მფლობელობის დროსაც კი შვილებს ანათვლინებდნენ ქრისტიანულად და ბავშვებს ბევრს ქრისტიანულს წესს ასწავლიდნენ. ნათესაობაც გახშირებული იყო და არის გურულებსა და ქობულეთელთა შორის. მრავალ ქობულელს ბეგებსა და გლეხკაცებს ცოლად გურული ქალები ჰყავთ. ამ მოყვრობის გამო გურულსა და ქობულელს ერთმანეთში დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ და საზღვარს ახლო მდებარე სოფლები ქორწილსა, ქელეხსა და სხვა წვეულებას ისე არ გადაიხდიან, რომ ერთმანეთი არ მოიწვიონ. ერთი სიტყვით, ჭირსა და ლხინში სრული ერთობა აქვთ.

გურიაში, ნაგომარზე, მკათათვის 17-ს წმინდა მარინეს დღეობა იციან და დიდი იარმუკა იმართება. აქ დიდძალი ხალხი იკრიბება არა მარტო გურიიდან, არამედ ქობულეთიდანაც. ქობულელებს მიაქვთ თავისი ნაწარმოები, ჰყიდიან გურულებზე და აღებული ფულით ჰყიდულობენ გურულების ნაწარმოებს, ჯირითსაც მართავენ ამ დღეობას და ეჯიბრებიან ერთმანეთს გურულნი და ქობულელნი ვაჟკაცობასა, სიმარდესა და ცხენოსნობაში.

ქობულეთს უმეტეს ნაწილად მთიან-გორიანი ადგილი უჭირავს და აქ მხოლოდ ვიწრო ხეობებს ჰხედავთ. სახნავგსათესი მინდორი ძალიან ნაკლებად არის და ამიტომ მცხოვრებელნი საკმარისად ვერა სთესვენ სიმინდსა და ღომსა, რომელიც შეადგენს იმათს საჭმელს, ეს ნაკლებობა მიწის არის მიზეზი ქობულეთის სიღარიბისა.

ქობულეთში ძევს ქალაქი ბათუმი შავის ზღვის პირად, მახლობლად ჭოროხის შესართავისა. ქალაქი შესანიშნავია მეტად მყუდრო და ფართე ნავთსადგურით, რომელიც სამკუთხივ დაბალი მიწის ნაპირით არის შემოზღუდული და მხოლოდ დასავლეთის მხრის განიერი სრუტით დაკავშირებულია შავს ზღვასთან. ამ ნავთსადგურში მშვიდობიანადა და უვნებლად დგას ხომალდები და გემები თვით დიდი ქარიშხლის დროსაც კი, როდესაც ზღვა საშინლად ღელავს. ადგილის მდებარეობა ბათუმსა ჰხდის სავაჭრო ქალაქად. მის სავაჭრო მნიშვნელობას მეტად ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ბათუმი წინათ პორტოფრანკო იყო, ესე იგი იმისთანა ქალაქი, სადაც უცხო ქვეყნებიდან ყოველგვარი საქონელი უბაჟოდ შემოჰქონდათ. რკინის გზის შტოს გაყვანამ გურიიდან ბათუმამდე კიდევ უფრო გააძლიერა ვაჭრობა ამ ქალაქში. ბათუმში 60 ათასი მცხოვრებელია. აქ არსებობს შემდეგი სასწავლებლები: ვაჟების გიმნაზია, ქალების გიმნაზია, სამოქალაქო სასწავლებელი და წერა-კითხვის საზოგადოების სკოლა, რომელშიაც ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ქრისტიანები ერთად სწავლობენ.

ლ ი ვ ა ნ ა

ქობულეთის სამხრეთით და შავშეთის დასავლეთით ძევს ლივანა, რომელსაც უჭირავს ორივე ნაპირი ჭოროხისა, მარჯვენა და მარცხენა. ჭოროხი გამოდის კლარჯეთის მთებიდან, მიდის ჯერ სამხრეთისაკენ, მერმე ჩრდილოეთისაკენ იქმს პირსა, შემდეგ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისაკენ მიმდინარეობს, ბოლოს ბრუნდება ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ერთვის შავ ზღვას. ჭოროხი მიმდინარეობს ორას ორმოცდაათი ვერსის სიგრძეზე. ასე, რომ რიონსა და ალაზანზე ბევრად გრძელია. ქვემო წელში ჭოროხი განიერი, ღრმა და ჩქარი წყალია და ამიტომ ნავები მიდი-მოდის სამოცდაათი ვერსის სიგრძეზე ბათუმიდან ართვინამდე. ეს თვისება ჭოროხისა მეტად ძვირფასია ლივანასათვის, ამიტომ რომ აქ გზები სრულიად არ მოიპოვება და, ჭოროხი რომ ნავთშიდავი არა ყოფილიყო, ლივანელებს თავიანთი ნაწარმოების გამოტანა გასასყიდად და ვაჭრული მისვლა-მოსვლა ძლიერ გაუძნელდებოდათ.

ლივანა დასავლეთის მხრივ დაფენილია ჭანეთის ქედის კალთებით; აღმოსავლეთით — კარჩხალის მთის ტოტებით. ამიტომ ეს ქვეყანაც მთიან-გორიანია და მდიდარი სხვადასხვა-გვარი ხეობითა. ნიადაგი მეტად ნაყოფიერია, მდინარე წყალი და წვიმის წყალი უხვად აქვს და ჰაერიც თბილია. ამიტომ ეს ქვეყანა შემოსილია მდიდარი მცენარეებით, გარდა ზოგიერთის ტიტველა კლდეებისა, და ფრიად კარგი მოსავალი მოჰყავთ ყველგან. აქ მცხოვრებნი თესავენ პურს და სიმინდსა და იმდენი მოჰყავთ, რომ არამც თუ თვითონ საჭმელად უხვადა აქვთ, არამედ ბლომად ჰყიდიან ინგლისის ვაჭრებზედაც, რომელთაც ჭირნახული ბათუმამდე ჭოროხით ჩამოაქვთ და შემდეგ შავი ზღვით მიაქვთ. ბაღოსნობაც ძალიან გავრცელებულია. აქაური ბაღები სავსეა ბროწეულით, ნუშით. ლეღვით, ზეთისხილით, ლიმონ-ფორთოხლით და სხვა ხილით. ხილს ძალიან ბევრსა ჰყიდიან. რადგანაც აქაურს მთებსა და სერებზე იალაღი ბლომად არის, ამიტომ საქონლის ყოლაც გახშირებულია; ინახავენ ცხენსა, ჯორსა, ძროხასა და ცხვარსა. მშვენიერის ყველის კეთებით ლივანელები უწინაც განთქმულნი იყვნენ და ახლაცა. სხვადასხვა ხელოსნობითაც ცნობილნი არიან აქაურები; ნავების კეთებაში, წისქვილის მართვაში და სხვაში დახელოვნებულნი არიან. სახერხი ქარხნები ბლომად აქვთ, აგრეთვე აქ ბევრს აგურხანებსა ნახავთ, სადაც აგურის გარდა, მშვენიერ კრამიტსაცა სჭრიან; შეხვდებით ჭურჭლის ქარხნებსა, კირის ქურახანებსა და სხვ. ხუროობა და დურგლობა აგრეთვე კარგი იციან. ერთი სიტყვით, ლივანელები ბევრგვარ საქმეს მისდევენ, ეხერხებათ კიდეცა და ამიტომ თითქმის ყველა იმ მხრის ქართველებზე უფრო დოვლათიანი არიან და მიჩვეულნი კეთილს ცხოვრებასა.

უფრო მჭიდროდ არის დასახლებული ის ნაწილი ლივანასი, რომელიც ჭოროხის ნაპირებს გასდევს. აქ ერთი ლაზათიანი სოფელი მეორეს მისდევს და ეს გამწკრივებული სოფლები საამურს სანახავს წარმოადგენენ. აქაურების წარმოსადგეგი ტანი, ფხიზელი პირისსახე, მახვილი გონება, ღირსეული თავის დაჭერა და ტკბილი ქართული ენა კაცს მოაგონებს ძველის დროის ქართველებსა. სარწმუნოებით თუმცა მაჰმადიანნი არიან, მაგრამ კარგად იციან. რომ უწინ ქრისტიანები ყოფილან და აქამდე პატივსა სცემენ წმიდა ადგილებსა; აქაც მრავალი ძველი ეკლესია მოიპოვება. მათ შორის შესანიშნავია ოპიზის ეკლესია, რომელსაც გარს შემორტყმული აქვს მრავალი და ფართო შენობანი; ეტყობა, რომ უწინ აქ დიდი მონასტერი ყოფილა.

ჭოროხის ხეკბტზე სტკორტდ ლივანაში ძევს ქალაქი ართვწრი, სტდად 20.000 მეტი მცხოვრებელია. ამათში ასი კომლი სომეხია, ექვსასი კომლი ქართველი ფრანგი და ათას სამასი კომლი გამაჰმადიანებული ქართველი. ამის გამო ხუთი მეჩეთია, ოთხი ფრანგების ეკლესია და ერთი სომხებისა. მეჩეთებთან და ეკლესიებთან სკოლები არის გამართული. ართვინში, მეტადრე ეკლესიებში, აქამდე თურმე იპოვება ძველი ხელთნაწერი ქართული წიგნები. ართვინში სავაჭროდ ბევრი ახალციხელი დაიარება.

ჭ ა ნ ე თ ი

ჭანეთი არის გრძელი და ვიწრო ქვეყანა. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იგი გაჭიმულია ბათუმიდან ტრაპიზონამდე ას სამოცდაათი ვერსის მანძილზე, სიგანეზე კი მომწყვდეულია ჭანეთის ქედსა და შავ ზღვას შუა. ზოგან ეს ქედი ისე უახლოვდება ზღვის ნაპირს, რომ იმათ შუა ათი ვერსის სიგანე ძლივსღა რჩება. სულ დიდი სიგანე ჭანეთისა ძლივს შეადგენს ორმოც ვერსსა. თუმცა ჩვენ ჭანეთის სამხრეთის საზღვრად ტრაპიზონი

დავასახელეთ, მაგრამ მოგზაურები ამტკიცებენ, რომ ტრაპიზონის იქით მხარეც ჭანებით არის დასახლებულიო. მთელს ჭანეთში უნდა ცხოვრობდეს ასი ათასი სული.

უწინ, თამარ მეფის დროს, ეს ქვეყანა ტრაპიზონამდე მთლად ძველს საქართველოს ეკუთვნოდა: მაგრამ შემდეგში იმის ყველა სხვა ნაწილებზე ადრე იქმნა მოშორებული. უფრო ადრე გადაუდგა ქრისტიანობასა და მიიღო მაჰმადის სარწმუნოება. ამიტომ ამ ქვეყანაში ახლა უფრო ნაკლებად იპოვება ძველი ეკლესიები და ქრისტიანული ჩვეულებანი. ეხლაც იგი თითქმის სრულიად ოსმალეთის ხელშია; მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი, რომელიც ჭოროხის მარცხენა ნაპირსა ძევს, სამხრეთით ბათუმისა, შემოიერთა რუსეთმა 1878 წელს, წარსულის ომის გათავების შემდეგ.

ჭანები ძმები არიან მეგრელებისა. ძველისძველად ჭანები და მეგრელები შეადგენდნენ ერთსა ერსა და გაბმით ეჭირათ მთელი აღმოსავლეთი ნაპირი შავი ზღვისა და სამხრეთი ნაპირი ნახევრობით. შემდეგში გურულები აღმოსავლეთით მიაწვნენ შავი ზღვის პირს, შუა გააპეს მეგრულ-ჭანურის ტომი, დასახლდნენ ეხლანდელს საცხოვრებელს ადგილზე და გააცალკევეს დიდი ხნის ერთად მცხოვრები ძმები. ჩვენი პატივცემული ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის აზრით კი, ახლანდელი გურულები მეგრელნი არიან.

ჭანებს უცხოელნი ლაზებს ეძახიან და იმათს ქვეყანას ლაზისტანს. ეს ქვეყანა დაფენილია ჭანეთის ქედის ტოტებით. ამ ტოტებს შუა ჩამოსდევს თორმეტი უფრო მოზრდილი ხეობა, შემოსილი მაღალი და მსხვილი ტყითა და მდიდარი მცენარეებით, აქაური ბუნება საზოგადოდ ძლიერ ხელს უწყობს მცენარეობას. ნიადაგი ნოყიერია, წვიმა ხშირად მოდის, რადგანაც ჭანეთის ქედი აღმოსავლეთისაკენ ძნელად უშვებს შავი ზღვის ღრუბლებს, იხვევს გარშემო და აწვიმებს ჭანეთზე; ჰაერის სითბოც დიდია, რადგანაც თბილი დასავლეთის ქარი შავი ზღვიდან თავისუფლად მოდის და გრილს აღმოსავლეთის ქარს კი ჭანეთის ქედი იჭერს. ამიტომ აქ უფრო ადვილადა და კარგი თვისებისა მოდის ნაზი ხილეულობა: ლიმონი, ფორთოხალი, ზეთის ხილი და სხვანი. მაგრამ დიდი ზომით აქ არც ბაღოსნობას მისდევენ და არც ხვნა-თესვასა. ჭირნახული ისე ნაკლებად მოსდით, რომ ჭანები ყოველს წელს ბათუმსა და ფოთში ჰყიდულობენ სიმინდსა და ფეტვსა. მიზეზი არის დიდი სივიწროვე მიწისა. თითქმის მთელი ეს ქვეყანა, როგორც ვთქვით, დაფენილია მთებითა და მხოლოდ ზღვის პირად მისდევს ვიწრო ვაკე ადგილი, სადაც მჭიდროდ ჩამწკრივებულია აქაური სოფლები. შინაური საქონლის ყოლაც აქ ჩვეულებად არა აქვთ.

მაგრამ ტყუილად არ არის ნათქვამი ქართული ანდაზა: „ზოგი ჭირი მარგებელიაო". მიწის სივიწროვეს ჭანები დაუყენებია იმისთანა გზაზე, რომლითაც ბლომად იძენენ ქონებას. ისინი გამხდარან ზღვის შვილებად, უსწავლიათ ნავებისა და ხომალდების მართვა და ისე დახელოვნებულან ამ ძნელსა და საშიშ საქმეში, რომ იმათ ხელში ძნელად მოხდება უბედურება ზღვაში. იმათ ოსტატობას, სიმარდეს, გულადობასა და მოხერხებულობას ზღვაში ინგლისელებიც კი ჰკვირობდნენ, რომელთაც ტოლი არა ჰყავთ ნაოსნობასა და მეხომალდეობაში. მენავეობა და მეხომალდეობა კარგად აჯილდოვებს ჭანებსა და აძლევს კეთილი ცხოვრების სახსარს. ჭანები მარტო სხვისი ხომალდების მარჯვე ტარებასა არა სჯერდებიან. მათ თავისი საკუთარი ნავები და სანდლები აქვთ და მიაქვთ სხვადასხვა სავაჭრო ერთი ადგილიდან მეორე ადგილას. ზღვასთან ბრძოლასა და მისვლა-მოსვლას უცხო ქვეყნებში ხალხი გაუხდია მოძრავი, გამბედავი, ფხიზელი და ახალ-ახალი საქმეების მიმდევარი. ჭანები თავისი საკუთარი ნაწარმოებიდან ჰყიდიან უცხო ქვეყნებში ხე-ტყესა, ლიმონსა, ფორთოხალსა, ზეთის ხილსა და ხელოსნურს ნივთეულობას, უფრო კი უცხო ქვეყნის ნაწარმოები დააქვთ სავაჭროდ. მაგალითად: ფოთსა, ბათუმსა და სოხუმში იაფად ჰყიდულობენ სიმინდსა, ღომსა, აბრეშუმსა, ბზასა და კარგ ფასად ჰყიდიან შავი ზღვის სამხრეთს ნაპირებზე. მედუქნეობაც ძლიერ ეხერხებათ ჭანებს. შავი ზღვის პირად სამეგრელოდან მოყოლებული სინოპამდე სავაჭრო დუქნები, როგორც ქალაქში. ისე სოფლებში, უფრო ჭანებს ეკუთვნის. სხვადასხვა ხელობის ცოდნაც გავრცელებულია ჭანებში; ხუროობასა და კალატოზობაში ძლიერ განთქმულნი არიან. სამხრეთს საქართველოში, აგრეთვე გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და ზემო ქართლში ბევრი ხის სახლებია ამათგან აგებული.

ჭანელი დედაკაცებიც დიდს გარჯილობას იჩენენ. ესენი მარტო ოჯახობის მოვლასა და შინაურს საქმეებს არა სჯერდებიან, ხვნა-თესვა და მკაც იმათ უკისრნიათ, — ამით კაცებს ღონისძიებას აძლევენ ვაჭრობასა და ხელოსნობას უერთგულონ. ამდენს შრომასა და ჯაფას, რამდენსაც ჭანელი დედაკაცები იტანენ, საქართველოს არა კუთხეში არ ეწევა ქალი.

ამიტომაც არის ჭანეთი დოვლათიანი და ქონებით თითქმის საქართველოს ყველა

კუთხეს სჯობია. სახლები ჭანებს უდგათ ლაზათიანი, შიგნით-გარეთ თეთრად გალესილი, ფანჯრებიანი და ბუხრიანი, სუფთა ტახტები დაფენილი აქვთ ხალიჩებით და ქეჩებით. სიწმინდე და მორთულობა სახლებისა საამურ სადგომად ხდის მათ. ჩაცმა-დახურვა კიდევ უფრო აშკარად გვაჩვენებს ჭანების შეძლებას. მაუდისა, შალისა და აბრეშუმის ტანისამოსი თითქმის ყველა კაცსა და ქალსა აქვს. გამოჭრილობა და შეკერილობა აქაურის ტანისამოსისა გურულია; მაგრამ ბევრად უფრო კარგისა და ძვირფასის ქსოვილისა, ანუ მატერიისა. ამ კეთილის ცხოვრებისა და გარჯილობის გამო აქაურნი მცხოვრებნი ჯანმრთელნი, ძარღვიანნი და ამტანნი არიან.

უფრო მოზრდილი სოფლები ჭანეთში არის: გონია, ხოფა, ლაროგა, არხავე, ირიზა, ათინა და სხვა.

იაკობ გოგებაშვილი



ასპინძის რაიონი. წუნდა

დაუჯდომელი ანუ აკათისტო

იგი არის სადიდებელი საგალობელი, დაუჯდომელი ანუ აკათისტო იმიტომ ეწოდება, რომ ამ ლოცვის შესრულების დროს მღვდელმსახურები და მრევლი არ უნდა დასხდნენ, არამედ ფეხზე უნდა იდგნენ. ან უნდა დაიჩოქონ (ბერძნულად a-არ, ხოლო xaqisu-ვზივარ).

მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, პირველი აკათისტო შეიქმნა ბერძნულ ენაზე და მიეძღვნა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, სამადლობელოდ მის მიერ კონსტანტინეპოლის სამგზის გადარჩენისა მტერთაგან განადგურებისაგან მე–7–8 საუკუნეებში. იგი მართლმადიდებელმა ეკლესიამ დააწესა, რათა საყოველთაოდ ყოფილიყო შესრულებული ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სადიდებელ-სამადლობელი საგალობელი ყოველ წელიწადს, დიდი მარხვის მე-5 შვიდეულის შაბათ დღეს. დაახლოებით იმ დროს მოხდა ღვთისმშობლის მიერ კონსტანტინეპოლის პირველი ხსნა მტერთაგან. ამ შაბათს ეწოდება დაუჯდომელის შაბათი და ცისკრის ლოცვაში ჩაერთვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის აკათისტო.

დროთა განმავლობაში მსოფლიოს მართლმადიდებელმა ეკლესიებმა ამ პირველი აკათისტოს მსგავსად შექმნეს სხვა აკათისტოებიც. მათთან განსაკუთრებით აღიარებული წმიდანების სახელზე, ასევე, მაცხოვრის ცხოველსმყოფელი ვნებებისა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სხვადასხვა ხატის მიმართ და სხვა. ყველა აკათისტო დაწერილია პირველი აკათისტოს მსგავსი აგებულებით, პირველი აკათისტო შესდგება 12 კონდაკისა და 12 იკოსისაგან და ედრება ბერძნული ანბანის ასოთა რიცხვს. ასეც სწერია „მარხვანში“ დაუჯდომელის შაბათის ცისკარში—„ხოლო ესე კონდაკნი და იკოსნი არიან მებრ ალფა-ვიტასა, ესე იგი 24“. პირველი კონდაკი „ზესთა მბრძოლისა“ არ შედის იმ 12 კონდაკის რიცხვში და მასში გადმოცემულია მთელი აკათისტოს მოკლე შინაარსი, თემა. შინაარსის მიხედვით აკათისტო იყოფა ორ ნაწილად, პირველ ნაწილში ჩაქსოვილია ისტორიული შინაარსი, სადაც სწერია იესო ქრისტეს განხორციელებისა და ცხოვრების პირველი წლების შესახებ. მეორე ნაწილში ჩაქსოვილია დოგმატურ—ზნეობრივი სწავლება. ამასთან, კონდაკებში სწერია ღვთის სიტყვის განხორციელების საიდუმლოსა და მის მიერ მონიჭებული მადლის სიუხვის შესახებ, ხოლო იკოსებში კი წერია დიდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა, მისი უდიდესი სრულყოფილება, მისი დიდებულება ღვთის წინაშე და მრავალი მოწყალება, რომელსაც იქმს მორწმუნეთა მიმართ.

ამა თუ იმ წმიდანის სახელზე შექმნილ ყველა აკათისტოში ჩაქსოვილია, როგორც ზემოთქმული, ასევე ამ წმიდანთა მიერ გაწეული კეთილი მსახურება ღვთისა და ერისადმი, თავდადება ეკლესიისათვის და სხვა.

ყველა აკათისტოში, ისევე, როგორც სხვა ლოცვებში, ჩვენ ვადიდებთ ღმერთს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და წმიდანებს, ვმადლობთ მათ და ვევედრებით. ასეთივე შინაარსი არის ჩაქსოვილი წმიდა ნინოს აკათისტოში და ასეთივე მნიშვნელობით გამოიყენება იგი.

მართალია, ეკლესიის მიერ დაწესებულია, რომ პირველქმნული აკათისტო წაკითხულ იქმნეს ღვთისმსახურების დროს ტაძარში დიდი მარხვის მე-5 შვიდეულში შაბათი დღის ცისკარზე, ანუ დაუჯდომელის შაბათს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდეს მისი წაკითხვა სხვა დროს. როგორც სასულიერო, ასევე საერო პირთ შეუძლიათ და კარგი იქნება, რომ ხშირად ილოცონ ხოლმე როგორც ღვთისმშობლისა, ასევე სხვა აკათისტოები.

აკათისტოს წაკითხვის უფლება ყველას აქვს, სასულიერო პირთაც და ერისკაცთაც. იგი შეიძლება ილოცონ ეკლესიაშიც, ანუ ტაძარში და მორწმუნეთა ბინებში და სხვაგან, შეიძლება თითოეულმა ილოცოს თავისთვის, ცალკე და შეიძლება ჯგუფურადაც ილოცონ, შეიძლება ერთმა წაიკითხოს და სხვებმა მოისმინონ და შეიძლება, რომ საკითხავები გაიყონ ერთმანეთს შორის და თანამიმდევრობით წაიკითხონ.

აკათისტოს წაკითხვის ორი ძირითადი წესი არსებობს: როდესაც აკათისტოს წაიკითხავენ ეკლესიაში წირვა—ლოცვამდე, ან მის შემდეგ ტაძარში თუ ტაძრის გარეთ და როდესაც მას წაიკითხავენ ეკლესიაში შესრულებულ ლოცვაში ჩართვით.

პირველ შემთხვევაში, წამკითხველი დადგება ხატის წინ, ჩვეულებრივ კი იმ ხატის წინ, რომელი წმიდანის აკათისტოსაც კითხულობენ, უკეთუ აქვთ იმ წმიდანის ხატი, და წაიკითხავენ იმ თანმიმდევრობითა და წესით, როგორც წერია თითოეულ აკათისტოში. მიღებულია, რომ აკათისტოს კითხვა დავიწყოთ დასაწყისი ლოცვებით. ასეთ შემთხვევაში, უკეთუ მღვდელი ლოცულობს,

იგი პირველად იტყვის ასამაღლებელს—„კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი...“, შემდეგ ითქმის ამინ, დასაწყისი ლოცვები და ტექსტი. უკეთუ ერისკაცი ლოცულობს, იგი ასამაღლებლის ნაცვლად იტყვის ასე—“ ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა, უფალო, „იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ, ამინ“ და დასაწყისი ლოცვები. შემდეგ კი აკათისტოს ტექსტი.

აკათისტოს კითხვას ვიწყებთ, როგორც ასეთი, შესავლით, ასევე უამისოდაც, პირდაპირ ტექსტით.

ზოგი სასულიერო პირი მუხლთმოდრეკის ლოცვის შემდეგ წარმოსთქვამს ხოლმე მცირე „შეგვიწყალენს“, სადაც სახელდებით ახსენებს კათალიკოს-პატრიარქს და მათ, ვის საჯანმრთელოდა და ცოდვათა საპატიებელადაც ლოცულობს, რაც დასაშვებია და კარგი. ასევე შეუძლიათ ილოცონ ერისკაცებმაც, მოიხსენონ ცოცხალთა სახელები და შესთხოვონ უფალს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელსა და წმიდანებს, რათა მათ (მორწმუნეებს) ეპატიოთ ცოდვები, მიენიჭოთ ჯანმრთელობა, კეთილ თხოვათა და ჩანაფიქრთა შესრულება და სხვა. ამის შემდეგ მღვდელი იტყვის მცირე განტევებას იმ წმიდანის მოხსენებით, ვისი აკათისტოც წაიკითხა; ხოლო ერისკაცნი კი იტყვიან ასე: „ლოცვითა წმიდისა დედისა ჩვენისა, ნინო ქართველთა განმანათლებელისათა (ან რომელიმე წმიდანის სახელს, ვის მიმართაც ლოცულობენ), უფალო, იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ, ამინ.“ ამის შემდეგ ემთხვევიან ხატს, მღვდლის მიერ ისხურებენ ნაკურთხ წყალს, ხოლო უკეთუ უმღვდელოდ ლოცულობდნენ, თავად ისხურებენ ნაკურთხ წყალს და წავლენ მადლობელნი ღვთისა და მის წმიდათა მიმართ.

აკათისტოთა წაკითხვა შეიძლება დღე-ღამის ყოველ დროს. ასევე შეიძლება წაკითხულ იქნეს წლის ყველა დღეს, მაგრამ ჩვეულებრივად ასეც ხდება ხოლმე, რომ ეკლესიაში დაწესებული ყველა ლოცვის შემსრულებელს ფაქტიურად აღარ რჩება ხოლმე საამისო დრო და ძალა, რომ დამატებით რომელიმე აკათისტო წაიკითხოს, მაგალითად, დიდი მარხვის დღეებში და სხვა. გარდა ამისა, უკეთუ აკათისტოს წავიკითხავთ აღდგომას და ზოგიერთ სხვა დღეებში, მაშინ მისი ლოცვის წესი მცირედ იცვლება. მაგალითად, არის დღეები, როდესაც არ შეიძლება დაჩოქება, არ შეიძლება დასაწყისი ლოცვებიდან „მეუფეო ზეცათაოს“ თქმა. უნდა ვიგალობოთ „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...“ და სხვა. ამიტომაც თითოეული მლოცველი ერისკაცი, ვინც არ იცის ამ ცვლილებათა წესი, წინდაწინ უნდა შეეკითხოს თავის მოძღვარს და გაარკვიოს, რა ცვლილებებია დასაცავი დროის ამა თუ იმ მონაკვეთში და სხვა.

როდესაც მღვდელი ანუ მღვდელმთავარი აკათისტოს წაკითხვას ინებებს ღვთის ტაძარში, ცისკრის ლოცვის შესრულებისას, მაშინ მან უნდა იხელმძღვანელოს დაუჯდომელის შაბათის ცისკრის ლოცვის ტიპიკონით. ეს ასე ხდება:

„ღმერთი, უფალის“ შემდეგ იგალობება ტროპარი წმიდანისა, ვის აკათისტოსაც ვლოცულობთ.

პირველი ფსალმუნების შემდეგ ითქმის მცირე კვერექსი. აქ გაიღება აღსავლის კარები და იგალობება პირველი კონდაკი, გრძლად, ტკბილი ხმით. აჯობებს, რომ სამღვდელოებამა და ხალხმა იგალობონ, გალობის დროს დიაკონი შეასრულებს დიდ კმევას. კმევას იწყებს საკურთხევლიდან.

პირველი კონდაკის გალობის დასრულების შემდეგ მღვდელი ტრაპეზის წინ წაიკითხავს მის შემდგომ საკითხავებს მე-4 კონდაკის ჩათვლით. ყოველი კონდაკის წაკითხვის შემდეგ მგალობელნი, ან მრევლი გალობენ თითოჯერ „ალილუიას“; ხოლო იკოსის შემდეგ კი იკოსის ბოლოს წაკითხულ გიხაროდენს. მე-4 კონდაკის წაკითხვის შემდეგ კვლავ იგალობება პირველი კონდაკი და გალობის დასასრულს დაიხურება აღსავლის კარები.

შემდგომად მეორე ფსალმუნებისა და მცირე კვერექსისა, კვლავ გაიღება აღსავლის კარები და კვლავ იგალობებენ პირველ კონდაკს. დიაკონი ამის გალობის დროს ასრულებს მცირე კმევას. ამის შემდეგ მღვდელი წაიკითხავს ტრაპეზის წინ მე-4 იკოსს მე-7 კონდაკის ჩათვლით, ხოლო მლოცველნი თითოეული კონდაკ—იკოსის დასასრულს იგალობებენ პირველთქმულისაებრ. ბოლოს კვლავ პირველ კონდაკს იგალობებენ და დაიხურება აღსავლის კარები.

ჩვეულებრივად წაიკიდხება ცისკრის ლოცვები და მე-3 სძლისპირის შემდეგ ითქმის მცირე კვერექსი. კვლავ გაიღება აღსავლის კარები და იგალობება კვლავ პირველი კონდაკი. დიაკონი შეასრულებს მცირე კმევას. მღვდელი კვლავ ტრაპეზის წინ წაიკითხავს მე-7 იკოსს მე-10 კონდაკის ჩათვლით, იგალობება პირველი კონდაკი და აღსავლის კარები დაიხურება. მე-6 სძლისპირისა და ტროპართა შემდეგ კვლავ ითქმის მცირე კვერექსი, კვლავ გაიღება აღსავლის კარები და იგალობება პირველი კონდაკი, მღვდელი წაიკითხავს მე-10 იკოსსა და ყველა დანარჩენს. მგალობლები ანუ მლოცველნი იგალობებენ თითოეული კონდაკ—იკოსის შემდეგ ზემოთქმულისაებრ, ხოლო დიაკონი კი ასრულებს დიდ კმევას. მე-13 კონდაკს მღვდელი სამჯერ წაიკითხავს და თითოეული წაკითხვის შემდეგ მგალობლები ანუ მლოცველები იგალობებენ ალილუიას სამგზის. ტიპიკონში არ უჩვენებს, მაგრამ მიღებულია, რომ ეს ბოლო კონდაკი სამღვდელოებამ დაჩოქილმა წაიკითხოს და მლოცველებმაც ასევე დაჩოქილებმა მოისმინონ. ამის შემდგომ მღვდელი წაიკითხავს კვლავ პირველ იკოსს, შემდეგ კი პირველ კონდაკს, ანდაც, პირველ კონდაკს. კვლავ იგალობებენ უკეთუ დაჩოქილები კითხულობდნენ მე-13 კონდაკსა და მის შემდგომთ. ამ ადგილას წამოდგებიან სამღვდელოება და ხალხი. შემდგომად ამისა წაიკითხავენ სვინაქსარს და ილოცებენ ცისკრის დანარჩენ ნაწილს. მარხვანში არაა ნაჩვენები დაუჯდომელის შაბათის ცისკრის ლოცვაში აკათისტოს ბოლოს სათქმელი მუხლთმოდრეკის ლოცვა, მაგრამ პრაქტიკულად მიღებულია და კეთილადაც მოეზავება, რომ სვინაქსარის წაკითხვამდე მღვდელმა ანუ უპირატესმა სასულიერო პირმა წაიკითხოს მუხლმოდრეკის ლოცვა ტრაპეზის წინ, შემდგომად პირველი კონდაკის წაკითხვისა ან გალობისა.

ასეთნაირად ჩაურთავენ ცისკრის ლოცვაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის აკათისტოს დიდი მარხვის მეხუთე

შვიდეულის შაბათს და მსგავსად მისა, ასეთნაირადვე შეიძლება ჩაერთოს სხვა წმიდანის აკათისტო ცისკრის ლოცვაში, როგორც ამა თუ იმ წმიდანის დღესასწაულზე, ასევე სხვა, სადაგ დღეებში, როდესაც ინებებს მღვდელმსახური, ანაც, მორწმუნე ერისკაცი თხოვს. ფრიად კეთილი იქნება, უკეთუ მორწმუნეთა თხოვნით (ანუ შეკვეთით) შესასრულებელი წირვის წინ, ცისკრის ლოცვაში აკათისტოსაც ჩაურთავენ იმ წმიდანისას, რომლის მიმართაც აქვს მორწმუნეს განსაკუთრებული ლოცვის სურვილი.

ცისკრის ლოცვაში აკათისტოს ჩართვისას მღვდელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკათისტოს საკურთხეველში კითხულობს, ტრაპეზის წინ და კითხვის დროს აღსავლის კარები ღიაა, მაგრამ მღვდელმსახურს შეუძლია აკათისტო წაიკითხოს შუა ტაძარშიც. ასეთ შემთხვევაში, მღვდელი მაინც აღებს აღსავლის კარებს; გამოდის, დგება შუა ტაძარში წმიდანის ხატის წინ და იქ კითხულობს აკათისტოს. ყოველი კითხვის დასრულების შემდეგ იგი კვლავ აღსავლის კარებიდან შევა საკურთხეველში და ჰხურავს მას; დიაკონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვეულებრივ აკმევს ხოლმე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი კმევას იწყებს არა საკურთხევლიდან, არამედ შუა ტაძრიდან, ხოლო კმევის დასრულების შემდგომ დგება ანალოგიის წინ, ცოტათი გვერდით და აკათისტოს კითხვის ჟამს გამუდმებით უკმევს წმიდანის ხატს მძიმედ, წყნარად. ასევე, აკათისტოს კითხვის დროს ანალოგიის გვერდითა ორივე მხარეს დგამენ დიდ შანდლებს.

როგორც ყველა ლოცვას, ასევე აკათისტოსაც დიდი ძალა აქვს და მისი გულმოდგინედ მლოცველნი მივიღებთ სულიერ დიდ მადლს და თხოვათა კეთილად აღსრულებას.



ასპინძა. ხერთვისის ციხე-სიმაგრე

ДЖВАРИ ВАЗИСА №-4



В текущем году в жизни Грузинской Церкви произошло величайшее событие — 1 октября в Тбилиси открылась духовная академия. Грузинский народ, который еще в древние века гордился своими академиями, давно ждал этого дня. В связи с этой датой в журнале публикуются приветственное слово Католикоса—Патриарха всея Грузии Илии II, а также информация и доклады участников торжественного заседания. (стр. 5)

В этом году исполнилось 10 лет со времени издания Грузинской Патриархией по Божьей воле и благословению Пресвятой Богородицы нового грузинского церковного журнала «Джвари вазиса». На этот факт сердечно откликнулись грузинские верующие. Печатаем письмо председателя издательского отдела, епископа Зосимы, в котором описывается пройденный за это время журналом путь, здесь же публикуются поздравления писателей и общественных деятелей. (стр. 15)

Месхети — древнейший уголок Грузии, где впервые зародилась христианская жизнь. Здесь первыми побывали Апостолы Андрей Первозванный и Симон Канонит. В Месхети цвели культура, образование, церковная архитектура, настенная живопись, деятелность Святых отцов, проживало грузинское население. Однако безжалостная вражеская рука все истребила полностью, разрушила и стерла с лица земли крепости, церкви и монастыри, были расхищены культурные ценности, сожжены древнейшие христианские рукописи. Длилось это целых триста лет. Уголок оказался полностью оторванным от Грузии, что серьезным образом отразилось на его жизни. В прошлом веке русско—грузинские объединенные войска сумели освободить одну его часть. Однако и в условиях царизма не увидели мира жители этой земли. Месхети стал пробуждаться постепенно, вновь начинает торжествовать христианский дух, что подтверждается открытием там ранее действующих церквей. Ведутся реставрационные работы, в которые свой большой вклад вносит Грузинская Церковь.

В текущем году с целью осмотра церквей и встречи с жителями в этом уголке путешествовал Католикос—Патриарх всея Грузии Илия II. Эти дни еще раз убедили нас в том, что древнейший очаг христианства вновь пульсирует, что никакая сила не смогла его уничтожить.

В статье «Пастырско—владыческий пут», авторами которой являются директор Грузинского государственного литературного архива В. Гургенидзе и летописец патриархии В. Сабиашвили, широко освещено путешествие Его Святейшества и Блаженнейшества в Месхети. Здесь же печатается проповедь епископа Ахалцихского и Самцхе—Джавахетского Анании (Джапаридзе) «Первая литургия в Сапаре». (стр. 22—47)

В прошлом веке было много духовных и светских лиц, стремившихся к спасению древнего Месхети. Одним из таких является священник Иване Гварамадзе. О его жизни и заслугах рассказывает писатель З. Тория в статье «Священник Иване Гварамадзе» (стр. 56) Здесь же публикуется одно письмо И. Гварамадзе из фонда литературного музея Грузии, адресованное поэту Акакию Церетели.

Под рубрикой «Наша сокровищница» публикуется письмо святого Ильи Праведного (Чавчавадзе) «Османская Грузия», в котором содержится история этого края (стр. 58). Тутже печатается очерк великого грузинского общественного деятеля и педагога 19-го века, автора «Родной речи» и «Бунебис кари» (Окно в природу) Якова Гогебашвили «Южная Грузия» (стр. 58).

В рубрике «учения» читателю предлагается беседа об Акафисте. (стр. 74)



'DJVARI VAZISA'.
GROSS OF VINE.

In the current year, on October 1st, the Tbilisi Theological Academy was opened. it was the most significant fact in the life of the Georgian Church. The georgian nation, well—known with its academies in early ages, for a long time waited for this desired day. in connection with this date some information, reports and speeches delivered at the solemn meeting are published in the journal. This section opens with the greeting speech of His Holiness and Beatitude I L I A II, Catholicos—Patriarch of All Georgia.

10 years have passed since the Georgian Patriarchate published new ecclesiastical georgian journal 'Djvari Vazisa'. This significant date was responded by georgian believers warmly. The letter, by Bishop Zosime, the chairman of publishing department, reviewing the passed way of the journal,s activity is printed here as well, as the greetings of writers and public figures.

Meskheti — is the ancient part of Georgia, where the christian life took its first steps. The two Apostles — St. Andrew the First-Called and St. Simon the Canaanite were the first to preach the Gospel there. For that time the great culture, church architecture, the most brilliant frescoes and various branches of art flourished on the ancient land of Meskheti inhabated by georgians, where lived and worked the great Saint fathers. But committed acts of violence and conquerors mirciless hands entirely shattered everything, ruined and razed to the ground fortresses and castle, churches and monastries, stole and carried away treasures, burnt up to ashes the most important ancient manuscripts, literature and converted this ancient hearth of Christianity to Moslem faith. Everything georgian and every georgian were pursued by conquerors during three hundred years. Turned away from its motherland—Georgia, Meskheti was separated from christian life and this left heaviest mark on its life.

In the last century Russian—Georgians united powers were able to release most of them from the captivity. But tsarizm policy didnt bring peace for this long suffered people. On the contrary, they were more dispersed and disorganized. Today the georgian people's love for the motherland and christian spirit though slowly, but are awakening again. Today the churches are being reopened and it is going on quite a number of restoration works in this ancient part of Georgia. The Georgian Orthodox Church does its great bit to these noble deeds.

In the current year Catholicos—Patriarch of All Georgia ILIA II paid a visit to Meskheti to survey the situation of church-monastries and to meet with people. This event was of great importance in the life of this long—suffered province, causing the sincere joy and happiness there. These magnificent and unforgettable days once more made us certain that numerous dangers in no way couldnt annihilate the ancient christian part of Georgia. The light of Christ is awakening in the ancient Meskheti.

The journal presents the article 'The Primatial and Pastoral way', by V. Gurgenidze, Director of State Literture Archives and V. Sabiashvili, chronicler of the Patriarchate, giving broad information about the travelling of Catholicos—Patriarch of ALL Georgia ILIA II in Meskheti.

The previous letter titled 'Moslem Georgia', by ilia the Righteous [Chavchavadze] is reviewing the history of Meskheti.

The sermon 'The First Liturgy in Saphara', by Anania, Bishop of Akhaltsikhe and Samtskhe—Djavakheti, is printed in this section.

In the last centuries a lot of the clergymen as well as the laymen did their best to save the ancient Meskheti. One of them is Ivane Gvaramadze. The article 'Priest Ivane Gvaramadze', by Z. Toria, acquaints us with his life and great merits. The letter written hy priest Ivane Gvaramadze to georgian poet Akaki Tsereteli [from the fund of the Georgian Literature Museum], is published here as well.

Georgian public figure Iakob Gogebashvili the famous lived and worked in the 19th century. He was author of 'Mother Tongue' and 'The door of Nature'. Under the heading 'Labour will turn into Treasure' is printed Iakob Gogebashvili's vast essay 'in The South Georgia'.

Here is printed 'Acaphist'.



საბინინის ალბომიდან: დედა ღვთისმშობელი გადასცემს
ჯვარს მოციქულთასწორ, ქალწულ ნინოს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლოცვა საშინელისა მის ძვრისათვის 3
ნათელი ქრისტესი განანათლებს მას (თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნა) . . 5
ჯვარი სწერია „ჯვარი ვაზისას“ (ჟურნალის ათი წელი) 15
გზა სამოძღვრო-სამეუფო. კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოგზაურობა
მესხეთ-ჯავახეთში 22
ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი
ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე). პირველი წირვა საფარაში 47
ზ. თორია. მღვდელი ივანე გვარამაძე 51
მღვდელ ივ. გვარამაძის წერილი აკაკი წერეთლისადმი 56
ნ ა შ რ ო მ ი გ ა ნ ძ ა დ დ ა შ თ ე ბ ი ს
ილია მართალი (ჭავჭავაძე) ოსმალოს საქართველო 58
ი. გოგებაშვილი. სამხრეთ საქართველო, ანუ ძველი მესხეთი 62
ს წ ა ვ ლ ა ნ ი
დაუჯდომელი, ანუ აკათისტო 74
რეზიუმე რუსულ ენაზე 77
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 78

ჯვარი ვაზისა № 4 1988
საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შიოშვილი)
ჟურნალის რედაქტორი **თ. კობალაძე**

საქართველოს საპატრიარქო.
თბილისი. 1988 წ. სიონის ქ. № 4. ტ. 72-04-53
ტირაჟი 3000. შეკვეთა № 3713

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა. თბილისი. 380060. კუტუზოვის ქ. № 19

«Джвари вазиса» (Лозовый крест) № 4. 1988г.
Грузинская Патриархия

Тираж 3000. Заказ № 3713

Набрано способом фотонабора

Типография АН Груз. ССР. Тбилиси. 38060. ул. Кутузова 19.

ქართული ანბანი

ⴰ	ⵓ	ⵄ	a	1
ⴱ	ⵉ	ⵅ	b	2
ⴳ	ⵊ	ⵖ	g	3
ⴷ	ⵋ	ⵔ	d	4
ⴹ	ⵌ	ⵗ	e	5
ⴻ	ⵍ	ⵘ	v	6
ⴼ	ⵎ	ⵙ	z	7
ⴽ	ⵏ	ⵚ	ë	8
ⴾ	ⵐ	ⵛ	t	9
ⴿ	ⵑ	ⵜ	i	10
ⵀ	ⵒ	ⵝ	ḳ	20
ⵁ	ⵓ	ⵞ	l	30
ⵂ	ⵔ	ⵟ	m	40
ⵃ	ⵕ	ⵠ	n	50
ⵄ	ⵖ	ⵡ	j	60
ⵅ	ⵗ	ⵢ	o	70
ⵆ	ⵘ	ⵣ	p	80
ⵇ	ⵙ	ⵤ	ž	90
ⵈ	ⵚ	ⵥ	r	100

ⵉ	ⵛ	ⵦ	s	200
ⵊ	ⵜ	ⵧ	ṭ	300
ⵋ	ⵝ	⵨	y	
ⵌ	ⵞ	⵩	u	400
ⵍ	ⵟ	⵪	p	500
ⵎ	ⵠ	⵫	k	600
ⵏ	ⵡ	⵬	ɣ	700
ⵐ	ⵢ	⵭	q	800
ⵑ	ⵣ	⵮	š	900
ⵒ	ⵤ	ⵯ	č	1000
ⵓ	ⵥ	⵰	c	2000
ⵔ	ⵦ	⵱	ʒ	3000
ⵕ	ⵧ	⵲	ḍ	4000
ⵖ	⵨	⵳	č	5000
ⵗ	⵩	⵴	x	6000
ⵘ	⵪	⵵	q	7000
ⵙ	⵫	⵶	ǰ	8000
ⵚ	⵬	⵷	h	9000
ⵛ	⵭	⵸	w	10000